პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მარტი **ორშაბათი** 2014

№ 060 (14 281) ფასი 80 თეთრი

# ბექა ღვინიაშვილი

## ოდენ 18 წამი ფინალში, ოდენთალთან მოსაგებად! ოდენ ერთი ოქრო სამსუნიდან...



12

# დაგელოცოთ მარჯვენა

# გმირები



## აბა კანკავამ ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა

## ანო ანანიძემ როსტოვს ყაზანში მოაგებინა



ქართული ლეგიონი 4

# ლიდერი ლივერპული




ევროთასები 5-9

# ნინო სალუქვაძე ვერცხლით ბრუნდება



ნინო სალუქვაძე

**ნინო სალუქვაძემ** გვიან ღამით ამერიკულ ფორტ ბენინგში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასზე სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპი მისთვის არც ისე კარგი შედეგით - 581 ქულით დაასრულა და ნახევარფინალში ბოლო, მერვე ადგილით შევიდა. სამაგიეროდ, იქ ისროლა კარგად - 17 ქულა დააგროვა და მხოლოდ 18-ქულიან შვეიცარიელ **ჰაიდი დიჩელმი-გერბერს** ჩამორჩა. 17 ქულა ჰქონდა ბულგარელ **ანტოანეტა ბონევასაც**, მაგრამ ჩვენებურს უკეთესი დამატებითი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და ფინალში შვეიცარიელთან ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა, ბონევა კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გადაერთო ჩინელ **ჯინჯინ ჭანთან** საასპარეზოდ. ფინალში 4 სერიის შემდეგ ანგარიში 4:4 იყო, მაგრამ დარჩენილი ორი დიჩელმი-გერბერმა მოიგო და საბოლოოდ 8:4 იმარჯვა. ოქროს მედალიც მას დარჩა, ბრინჯაო კი ჭანმა მოიპოვა, დაამარცხა რა ბონევა 7:1.

**ირაკლი თავაძე**

# თითქმის ითქმის

# დინამო ჩემპიონია




ფოტო: fcdinamo.ge

2

# დღეს რეალში ექსკლუზივი ტაბიძე ივარჯიშებს!

ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელიც დადასტურებულია და ქართველ გულშემატკივარს გაახარებს - დღეს გამთენიისას, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ჯიმი ტაბიძე**, მადრიდის „რეალის" ოფიციალური მიწვევით, ესპანეთში გაემგზავრა, საღამოს კი „სამეფო კლუბის" 19-წლამდელთა გუნდში ივარჯიშებს.



ჯიმი ტაბიძე

მცირე ხნის წინ, „ლელო" წერდა, რომ ტაბიძე, „ლივერპულის" მიწვევით სტაჟირებაზე იმყოფებოდა ინგლისურ გრანდში. როგორც შევიტყვეთ, მადრიდელები ტაბიძით ინგლისში მის წასვლამდეც იყვნენ დაინტერესებულნი. „რეალისთვის" ცნობილი იყო მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ლივერპულის" ყურადღება, რომელიც ახალგაზრდა ქართველმა დაიმსახურა.

შეთანხმებულია, რომ 18 წლის მცველს „სამეფო კლუბში" დააკვირდებიან. ტაბიძე საქართველოში 19-წლამდელთა ელიტრაუნდის დაწყებამდე დაბრუნდება, მისი საკითხი კი ზაფხულამდე გადაწყდება. ეს ინფორმაცია „საბურთალოს" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** დაგვიდასტურა.

ტაბიძის ამბავი ამტკიცებს, რომ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მომარაგებასთან ერთად, „საბურთალო" ევროპულ გრანდებთან ხიდის როლსაც კარგად ასრულებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I–VI ადგილები

# მა-რცვა-ლა-ძე!

29.03. თბილისი. დინამო არენა
1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

1:0 მარცვალაძე (73)

დინამო (4-3-3): ლორია - კვირკველია, რეხვიაშვილი, გველესიანი, იანსე - გორგიაშვილი (57. პაპუნაშვილი), პაპავა, ძარია - ჩისკო, მარცვალაძე (89. მოდებაძე), მერებაშვილი (77. გლიშიჩი).

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ხიდეშელი, ცინცაძე, გოგა

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ზესტაფონი (4-5-1): პავლოვიჩი - თ. ლონლაძე, რენე ფერეირა, ქელიძე, გურული - შარიქაძე, ჭანტურიშვილი (76. ფანცულაია), კუხიანიძე (64. ჭანკოტაძე), დოლიძე (86. ტატანაშვილი), გენაძე - საბანაძე.

სათადარიგოები: მეშველიანი, თედორე გრიგალაშვილი, სარდალეიშვილი, ენდელაძე

გაფრთხილება: მერებაშვილი (41), ქელიძე (90), მერებაშვილი (90)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის გაძლიერებული და საჩემპიონოდ მადამომძლავრებული „ზესტაფონისთვის“ „დინამოსთან“ ეს შეხვედრა, ეგებ, სეზონის უმთავრესი მატჩიც იყო. **გია გეგუჩაძის** გუნდი „დინამო-არენას“ 2014 წელს დაუმარცხებელი და მეტიც - გოლგაუშვებელი ესტუმრა. მეორე ეტაპზე ქულათა მაქსიმალური რაოდენობით კი, ცხადია, იმერულმა კლუბმა ლიდერთან სხვაობაც შეამცირა და ასევე რომ გაგრძელებულიყო...

თუმცა „გაგრძელებულიყო“ უკვე ისტორიას ჩაბარდა. არ გაგრძელდა, „ზესტაფონის“ ტრიუმფალური სვლა დამთავრდა და... მალე „დინამოს“ ჩემპიონობას ოფიციალურად მივულოცავთ. ჩემპიონის მორიგ ტიტულს ახლა „დინამოს“ მხოლოდ სასწაული თუ ჩამოაშორებს, სასწაულების მოხდენა კი, შაბათის მატჩმაც ცხადყო, ამჟამინდელ „ზესტაფონს“ არ ძალუძს, ალარაფერს ვამბობთ ექვსეულის სხვა გუნდებზე. სხვა გუნდებზე ზემოთ კი ცხრილში „ზესტაფონი“ ტყუილად არ დგას.

„დინამოს“ საჩემპიონო, 3-ქულიანი გოლი კი იმ ფეხბურთელმა გაიტანა, რომელსაც მთელი კარიერის განმავლობაში სწორედ დინამოელთა კარში გაჰქონდა და სადაც გადაეყრებოდა, იქ ამწარებდა. რუსეთიდან საქართველოს ჩემპიონატში მობრუნებულ **ოთარ მარცვალაძეს** ერთი შეხედვითაც კარგად ეტყობა, რომ ჩვეულ ფორმაში არ არის, ადრე ბევრად უკეთეს კონდიციებში ყოფილა, მაგრამ შაბათს ასევე კარგად გამოჩნდა ისიც, თუ რისი თავი აქვს და როგორი კლასის ფეხბურთელია.

მატჩის 73-ე წუთამდე თბილისელთა ფორვარდს მოედანზე არც მაინცდამაინც ქარბორბალა დაუყენებია, ხან პასს აკეთებდა, ხანაც ბურთს მეტოქეს უთმობდა... მოკლედ, 73 წუთის განმავლობაში მარცვალაძეს ზესტაფონელები დიდად არ შეუწუხებია, მაგრამ სწორედ ამ წუთზე ისეთი შეაწუხა, მტერს და ავს - ესეც მარცვალაძე და მისი დონე! როცა ყველაზე მეტად დასჭირდა გუნდს მისი კლასი, მარცვალაძე მთელი თავისი ოსტატობით ავანსცენაზე სწორედ მაშინ გამოჩნდა - **დავით კვირკველიას** მიერ აუტიდან მიწოდებული ბურთი მან მუხლით გაისწორა, მერე კი კორპუსით ისე დაფარა, ჭაბუკი მეტოქე **ვახტანგ ჭანტურიშვილი** ახლოს არ მიიკარა და საჯარიმოს კუთხის სიახლოვიდან (კარისკენ არც გაუხედავს) ისეთი „მოქრილი“ დაარტყა, ზესტაფონელთა მეკარე **ბოიან პავლოვიჩი** პირშიჩალაგამოვლებული დატოვა. სერბი მეკარე ჰაერში კი გაინვართა, მაგრამ მარცვალაძის დარტყმული ისეთი ზუსტი გამოდგა, ერთი კი არა, სამი პავლოვიჩი ვერ მოიგერიებდა.

გაიხარა მარცვალაძემ და გაახარა „დინამო“, მაგრამ წამშივე, შესაძლო იყო, სტატუს-კვო ალმდგარიყო. სწორედ იმ ფლანგელმა მცველმა, საიდანაც „დინამომ“ „ზესტაფონისთვის“ საბედისწერო აუტი ჩააწოდა, **თეიმურაზ ლონლაძემ** ბურთი ვარდნაში დაატოვებინა **ჩისკოს** და ფეხზე წამომდგარმა მაშინვე საჯარიმოში ჩაკიდა. სადღაც პენალტის ნიშნულთან მის პასს ზესტაფონელთა მთავარი მეგოლე **ნიკა საბანაძე** ელოდა, რომელმაც ვარდნაში სცადა **გიორგი ლორიასთვის** გატანა, მაგრამ უშედეგოდ - დინამოელთა მეკარემ ბურთს ადგილი ზუსტად შეურჩია.



გამარჯვების გოლი ოთარ მარცვალაძემ (მარცხნივ) გაიტანა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ეს იყო და, „ზესტაფონს“ მეტოქის კართან მაინცდამაინც მწვავე მომენტი აღარ შეუქმნია, საპასუხოდ კი იმდენი მომენტი მიიღო, მატჩის ბოლოსკენ მასპინძლებს ყველა რომ გამოეყენებინათ, ეგებ, დიდი ანგარიშითაც წაეგო.

შესვენების შემდეგ სტუმარმა მხოლოდ ერთი სათამაშო მონაკვეთი კი არა, მთლიანად მეორე ტაიმი წააგო. ფეხბურთში ასე ამბობენ - მეორე ტაიმს მწვრთნელი იგებსო. ჰოდა, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ კიდეც, რომ მწვრთნელთა დუეტშიც „დინამოს“ თავკაცმა იმარჯვა.

მისმა გუნდმა ფრთხილად ითამაშა. ცხრილში ქულათა სხვაობის გათვალისწინებით, „დინამოსთვის“ ფრეც ხელსაყრელი იქნებოდა. „ზესტაფონი“ კი ხეირს მეტწილად მოედნის შუა ნაწილიდან ეძებდა და მასპინძლებს სწორედ საჯარიმოს ოვალიდან ემუქრებოდა ხოლმე, მაგრამ „დინამოს“ კარის მისადგომები საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი. ამ საქმეში, ცხადია, დიდი წვლილი სწორედ ცენტრალურ მცველებს მიუძღვოდათ.

„ზესტაფონის“ ყველაზე რეალური მომენტი სწორედ ის იყო, რაზეც უკვე ვთქვით. მარცვალაძის მიერ გატანილის გარდა კი, საგოლედ ჩინებული შანსები მიეცათ ჩისკოს, **პაპუნაშვილს, მერებაშვილს, გლიშიჩს**, მაგრამ 1:0 საკმარისი აღმოჩნდა. ხოლო ის, რაც მარცვალაძემ გააკეთა, ერთხელაც ვთქვათ - „დინამოსთვის“ საჩემპიონო გოლი იყო. ჰოდა, ალბათ, არავინ დაგვძრახავს, რომ საჩემპიონო გოლის გამტან მარცვალაძის გვარი დამარცვლით გამოვთქვათ: მა-რცვა-ლა-ძე!!!

### მატჩის შემდეგ

გია გეგუჩაძე (ზესტაფონი): „როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული მატჩი გამოდგა. ასეთი თამაშებისას გუნდი მთელი 90 წუთი მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა იყოს, ჩვენები კი წამით მოდუნდნენ და მაღალი კლასის ფეხბურთელმაც სწორედ მაშინ დაგვსაჯა. ერთხელაც გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. „დინამოს“ კი ცხადია, ვულოცავ გამარჯვებას“.

მალხაზ ჟვანია (დინამო): „საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო. ზედიზედ 6 მატჩი გვქონდა მოგებული და ვიცოდით, რომ ასეთ მეტოქესთან გაგვიჭირდებოდა. პირველ ტაიმში „ზესტაფონი“ ბურთს უფრო მეტს აკონტროლებდა, მაგრამ ყველაფერს გავუძელით და შესვენების შემდეგ მეტად შევუტიეთ. ამ ჩანაფიქრმა შედეგიც გამოიღო“.

**კობა ინასარიძე**

# ჩირგაძე-შოუ!

29.03. რუსთავი. ფოლადი.
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 2 |
| ჩიხურა | 0 |

1:0 დ. საჯაია (49. ჩირგაძის პასით), 2:0 გიგაური (88. ჩირგაძის პასით)

79-ე წუთზე ხმალაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

მეტალურგი (4-2-3-1): ბედიაშვილი - სეთურიძე (49. ექვთიმიშვილი), მახვილაძე, ვ. კილასონია, დ. საჯაია - დობროვოლსკი, კაკაშვილი (70. ხაბელაშვილი) - ქავთარაძე, ვასაძე, ჩირგაძე - ჩიმაკაძე (59. გიგაური).

სათადარიგოები: ლომაია, მიქაბერიძე, ტორონჯაძე, სეფიაშვილი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ჩიხურა (4-2-3-1): თევდორაძე - ოდიკაძე, ლ. ქელიძე, გ. კვარაცხელია, ჩიკვაიძე - დათუნაიშვილი (66. ჯილაური), ხმალაძე - დეკანოიძე, ნ. კვასხვაძე, გაბედავა - ს. ლომია (59. ე. გრიგალაშვილი).

სათადარიგოები: კაშია, ბექვაია, ლომაშვილი, მწყერაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დათუნაიშვილი (14), საჯაია (37), მახვილაძე (78), ე. გრიგალაშვილი (90)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ „მეტალურგმა“ საშინაო მატჩი მოიგო და **ვარლამ კილასონიას** გუნდს უკვე მესამე ადგილის შანსიც გაუჩნდა. თუმცა როგორც „ჩიხურასთან“ მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, „მეტალურგისათვის“ ევროტურნირების საგზური არც არავის დაუგეგმავს. „სეზონის ბოლომდე დარჩენილ ყველა მატჩში, დღევანდელის მსგავსად, გამარჯვებისათვის ვიბრძოლებ, დანარჩენი კი მერე გამოჩნდებაო“, - განაცხადა ვარლამ კილასონიამ შეხვედრის შემდეგ და თავის ფეხბურთელებს თავდადებული თამაშისათვის მადლობაც გადაუხადა.



გიორგი ჩირგაძემ (ბურთით) ორი საგოლე პასი მიითვალა

ნინო გელაშვილის ფოტო

სხვათა შორის, მასპინძელ ფეხბურთელთა ბრძოლისუნარიანობასა და მონდომებას საგანგებოდ გაუსვა ხაზი დამარცხებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმაც და გამოცდილ სპეციალისტს **სოსო ფრუიძეს** ჩვენც ვეთანხმებით. აი, „ჩიხურას“ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებად მოტივირებული გამოიყურებოდა.

თუმცა, მხოლოდ მოტივაციაში არ არის საქმე: შაბათს „მეტალურგმა“ სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა და ამაში, ლომის წილი, ფეხბურთელებთან ერთად, მთავარ მწვრთნელსაც მიუძღვის; ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მსვლელობისას ვარლამ კილასონიამ რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუა შეუცვალა და ეს გადაადგილებები (მეორე ტაიმშიც რომ გაგრძელდა) ეფექტიანიც აღმოჩნდა. ასე მაგალითად, მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე მოასპარეზე **გიორგი ქავთარაძემ** საპირისპირო ფლანგზე გადაინაცვლა, მანამდე ცენტრფორვარდად გამწესებული **ბესიკ ჩიმაკაძე** - მარჯვენა გარემარბად „გარდაიქმნა“, ხოლო შეტევის წინა ხაზი გიორგი ჩირგაძემ დაიკავა.

გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 23 წლის **გიორგი ჩირგაძემ** სეზონის უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა: იმის გარდა, რომ ამ ტანმაღალმა შემტევმა ორი საგოლე პასი გააკეთა, საერთოდაც, მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთობ აქტიური გახლდათ და მეტოქის მცველებსაც არაერთი თავსატეხი გაუჩინა.

...პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა მოედანზე უფრო პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა და სახიფათო მომენტებიც ბევრი არ შექმნილა. მატჩის დასაწყისშივე იყო ეპიზოდი, როცა სტუმრები **საბა ლომიას** ნაქცევისათვის პენალტს ითხოვდნენ, თუმცა ამაზე ბევრად უფრო საკამათო სიტუაციები (ოღონდ - საპირისპირო კართან) მეორე ტაიმში იყო, თუმცა სჯობს, ისევ თანმიმდევრობით მივყვეთ და კვლავაც პირველ ტაიმზე ვისაუბროთ.

სტუმრებმა მეტ-ნაკლებად სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს (**ბესიკ დეკანოიძე**), მასპიძლებმა კი - ორჯერ. პირველ ეპიზოდში **დენის დობროვოლსკიმ** (თანაგუნდელ **გიორგი ვასაძესთან** ერთად უაღრესად შრომატევადი სამუშაო რომ შეასრულა) თითქმის 40-მეტრიდან „ცაციათი“ ძლიერად დასცხო, მაგრამ ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა (ისე როგორც **ვარლამ კილასონია-უმცროსის** საჯარიმო დარტყმა).

...მეორე ტაიმი სანახაობრივადაც უკეთესი და მოვლენებითაც დახუნძლული გამოდგა; თანაც, მასპინძელთა პირველივე იერიში შედეგიანი აღმოჩნდა: გიორგი ჩირგაძემ ბურთი თითქმის ცენტრიდან წამოიღო და მერე მოხდენილი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე **დავით საჯაია** დატოვა; „მეტალურგის“ ახალგაზრდა მარცხენა მცველი ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში და „შტატიანი“ ფორვარდის სტილში გაიტანა გოლი!

მასპინძლები გოლის მერეც არ შეჩერებულან და ჩირგაძემ „სტანდარტული“ სახიფათოდ შეასრულა. ამასობაში სტუმრებიც გააქტიურდნენ და ერთ ეპიზოდში **ნიკა კვასხვაძის** უაღრესად სახიფათო გამჭოლ გადაცემას პარტნიორთაგან ვერავინ მიუსწრო, თორემ ხიფათი გარდაუვალი იქნებოდა. თუმცა, ბევრად უფრო სახიფათო მომენტი მაშინ იყო, დავით ოდიკაძის ჯარიმის შემდეგ **ლევან ხმალაძის** „თავური“ ხარიხამ რომ აისხლიტა! „ჩიხურა“ წინ დიდი ძალებით მიდიოდა, რითაც მასპინძლები უფრო ხეირობდნენ და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელს, თუმცა **დავით გიგაურისა** და **ივანე ხაბელაშვილის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია.

ამასობაში კი, დადგა ამ მატჩის კულმინაციაც: „მეტალურგის“ ორი მცველის გარემოცვაში მყოფი **გიორგი გაბედავა** მასპინძელთა საჯარიმოში წაიქცა და არბიტრმა **თორნიკე გვანცელაძემაც** ბევრის აზრით, საკამათო პენალტი დანიშნა. რუსთაველი ქომაგებისა თუ „მეტალურგის“ მწვრთნელ-ფეხბურთელთა პროტესტი ამაო გამოდგა, თუმცა „ჩიხურამ“ ეს ჩინებული შანსი ვერ გამოიყენა: **გრიგოლ ბედიაშვილმა** მართლაც ჩინებულ ნახტომში შეძლო პენალტის მოგერიება.

არადა, მანამდე საპირისპირო კართან ვნახეთ ასევე ერთობ საკამათო გადაწყვეტილება, როცა მარჯვენა ფლანგიდან **გიორგი ქავთარაძის** გამჭოლი გადაცემა მის მერე ბურთი საკუთარ საჯარიმოში მყოფ **ლაშა ჩიკვაიძეს** ხელში მოხდვა, თუმცა, არბიტრს წესების დარღვევა არ დაუფიქსირებია...

...მატჩის უკანასკნელი წუთი იწყებოდა, როცა ზეენერგიულმა გიორგი ჩირგაძემ ამჯერად უკვე მარჯვენა ფლანგზე იაქტიურა და ამჯერადაც უზუსტესი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი მერაბ გიგაური მოძებნა - ამ უკანასკნელმა თავისი ახალი გუნდის მაისურით პირველი გოლი გაიტანა და მატჩიც სულ მალე დამთავრდა...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

დინამო

# ჩემპიონობა ხელის განვდენაზე

ტურის და, ალბათ, წლის ცენტრალურ შეხვედრაში თბილისის „დინამომ" „ზესტაფონი" 1:0 დაამარცხა და კონკურენტი 11-ქულიანი სხვაობით ჩამოიტოვა. ფაქტობრივად, 90-პროცენტიანი ალბათობით, ეროვნულ ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა გაირკვა.

„ძალიან მნიშვნელოვანი და პრინციპული შეხვედრა იყო და არ ვიცი, თამაში რატომ არ გამოგვივიდა. დავილაპარაკებთ და დასკვნებს გამოვიტანთ. ფეხბურთში ყველა შეხვედრას ვერავინ მოიგებს, მაგრამ დასანანი ისაა, რომ ეს წელიც კარგად დავიწყეთ და კონკრეტული შეხვედრაც. მინიმუმ, ქულის მოპოვება მაინც შეგვეძლო. მაგრამ რაღაც ვერ აგვეწყო. რას ვიზამთ, ამით ცხოვრება არ მთავრდება. ჩემპიონატი გრძელდება და ვეცდებით, დარჩენილი შეხვედრები კარგად ჩავატაროთ", - ამბობს „ზესტაფონის" ნახევარმცველი **რევაზ გეწაძე**.

**გიორგი მერებაშვილი**, თბილისის „დინამოს" შემტევი: „ბოლო წლებში, ჩვენი შეხვედრები ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. ახლაც ასე მოხდა. თანაც, მოედანზე გასულ თითოეულ ფეხბურთელს გააზრებული ჰქონდა, რომ ეს იყო 6-ქულიანი თამაში და, ფაქტობრივად, ჩემპიონის ბედი წყდებოდა. მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ კარგადაც ვითამაშეთ და გაგვიმართლა კიდეც. მარცვალაძემ ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა. ეგაა, მოედნის საფარი საუკეთესო მდგომარეობაში არ იყო, რაც ორივე გუნდს ხელს გვიშლიდა და მაყურებელს რომ უნდოდა, ისეთი სანახაობრივი თამაში არ გამოგვივიდა. მთავარია, სასურველ შედეგს მივაღწიეთ. წინ კიდევ 8 ტურია, არის ალბათობა, რომ ქულები დავკარგოთ, მაგრამ შევეცდებით, ჩემპიონობა უახლოეს თამაშებში დავიკანონოთ".

ერთ-ერთ ეპიზოდში მერებაშვილმა „ზესტაფონის" კაპიტანმა **თემურ ლონლაძემ** წაიკინკლავეს. დინამოელს კომენტარი ამაზეც ვთხოვეთ: „ასეთი რამ ფეხბურთში ხდება. ლონლაძესთან ვმეგობრობ, კარგი ადამიანია და ეს ემოციური ეპიზოდი არ ნიშნავს, რომ ვიჩხუბეთ. ამას გაგრძელება არ მოჰყოლია და არც მოჰყვება - ფეხბურთი კაცების სპორტია, მატჩის დროსვე შევრიგდით და ემოციებს წერტილი მოედანზევე დავუსვით".

**გიორგი ლორია,** თბილისის „დინამოს" მეკარე: „ჩემპიონობისკენ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრაა დარჩენილი და მათ მოგებასაც შევეცდებით".

**გიორგი გველესიანი,** თბილისის „დინამო" მცველი: „ყველამ იცის, რომ ეს შეხვედრა ჩვენთვის ძალიან პრინციპული იყო. „ზესტაფონი" კარგი გუნდია და ბოლო 7 შეხვედრაში ბურთიც არ ჰქონდა გაშვებული. საბედნიეროდ, მიზანს მივაღწიეთ და კონკურენტს 11-ქულით გავუსწარით, რაც ამ მომენტისთვის დიდი ჰანდიკაპია. ასე რომ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

## I–VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 24 | 17 | 3 | 4 | 55 | 17 | 54 |
| 2 | ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 32 | 16 | 43 |
| 3 | ჩიხურა | 24 | 11 | 5 | 8 | 41 | 37 | 38 |
| 4 | მეტალურგი | 24 | 10 | 6 | 8 | 28 | 27 | 36 |
| 5 | სიონი | 23 | 10 | 6 | 7 | 29 | 24 | 36 |
| 6 | გურია | 23 | 11 | 0 | 12 | 25 | 32 | 33 |

ცხრილი მომზადებული gff.ge-ს მიხედვით

გურია-სიონი გადაიდო
8 აპრილს გაიმართება

**XXV ტური**

**3 აპრილი, ხუთშაბათი**

სიონი-მეტალურგი

**4 აპრილი, პარასკევი**

ჩიხურა-დინამო (თბ)

**5 აპრილი, შაბათი**

ზესტაფონი-გურია

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (ზესტაფონი) | 14 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 13 |
| გოგა (დინამო თბ) | 9 |
| მოდებაძე (დილა/დინამო თბ) | 9 |

## VII–XII ადგილები

30.03. გორი. თ. ბურჯანაძე. 800 მაყურებელი

**დილა 1**
**ვიტ ჯორჯია 2**

0:1 დავლაშელიძე (6), 1:1 ბერიაშვილი (23. კოშკაძის პასით), 1:2 სიჭინავა (65. კორიფაძის პასით)

დილა (4-4-2): ლეგაშვილი - მ. კობახიძე (68. რაჟამაშვილი), ო. ხიზანეიშვილი, კვახაძე, ნ. ჯიშკარიანი - შალამბერიძე, რაზმაძე, გურეშიძე, კოშკაძე (72. ბოლქვაძე) - ვ. კვარაცხელია (59. ახალკაცი), ბერიაშვილი.

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, წიქარიძე, გოროზია

მწვრთნელი: გია გიგატაძე

ვიტ ჯორჯია (4-5-1): შეროზია - საბაძე, გეთიაშვილი, კალანდია, გ. მჭედლიშვილი - წყაროზია, დავლაშელიძე, ნ. მაისურაძე (89. გახარია), ნ. სიჭინავა (74. კურდღელაშვილი), კორიფაძე - ე. ლობჟანიძე (86. ხვისტანი)

*სათადარიგოები:* ისერგიშვილი, ჩიტიშვილი, ლ. ლონლაძე, კვირკვია

მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: წყაროზია (69), შალამბერიძე (71)

არბიტრი: ლაშა სილაგავა

# გორი ნაგებებს დაეჩვია

გორში ქვედა ექვსეულის მეორე მატჩი ჩატარდა და „დილამ" მეორე საშინაო დაპირისპირებაც (ერთნაირი ანგარიშით) 1:2 წააგო. „ვიტ ჯორჯიამ" კი პირველ მარცხს ამჯერად გამარჯვება მიაყოლა.

მატჩი საინტერესო იყო იმითიც, რომ „დილა" პირველად უნდა გაეყვანა მოედანზე ახალ მთავარ მწვრთნელ **გია გიგატაძეს**, ვისგანაც ადგილობრივი ქომაგები გარკვეულ სიახლეებს ელოდნენ. პირველი სიახლე ის იყო, გორელთა სასტარტოში ერთბაშად ორი ცენტრალური თავდამსხმელი (**ბერიაშვილი, კვარაცხელია**) გამოჩნდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამან გაამართლა.

„ვიტ ჯორჯია" თავიდანვე ერთობ კარგად დაუდგა მეტოქეს - არც ტერიტორიული უპირატესობა დაუთმო და შეტევებშიც აქტიურობდა. გოლიც პირველად სტუმრებმა გაიტანეს. მე-6 წუთზე გორელებმა საჯარიმოდან ცუდად გამოიტანეს ბურთი, რომელიც **დავლაშელიძეს** მიუვიდა და მისი ძლიერი დარტყმული **ლეგაშვილისგან** მარცხენა მაღალ კუთხეში შეფრინდა - 0:1.

გოლს „დილას" განწყობაზე ნეგატიურად არ უმოქმედია, მეტიც - მასპინძელი თანდათან გაუშინაურდა მეტოქის ნახევარს. განსაკუთრებით აქტიურობდა **ბერიაშვილი**, რომელმაც ერთ ეპიზოდში შესანიშნავი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **კვარაცხელია**, თუმცა ამ უკანასკნელმა საკმაოდ კარგი მომენტი გაფლანგა.

23-ე წუთზე **კოშკაძემ** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიტანა ბურთი და კარის სიახლოვეს ბერიაშვილი მოძებნა - ზუსტი დარტყმა და ანგარიში გათანაბრდა.

36-ე წუთზე იმავე ბერიაშვილმა ეფექტური ინდივიდუალური რეიდი განახორციელა - სამ მოწინააღმდეგეს აუარა გვერდი, მაგრამ ბოლო წამს ბურთი მცველმა ააცალა ფეხიდან.

ამასობაში კი, „ვიტ ჯორჯია" კონტრშეტევებზე აწუხებდა მეტოქეს, ოღონდ, ლეგაშვილის კართან რეალურ ხიფათს ვერ ქმნიდა. ტაიმის მიწურულს ბერიაშვილს კიდევ ერთხელ შეექმნა საგოლე შანსი, როცა **შალამბერიძის** პასი ახლოდან მანძილიდან გოლად ვერ აქცია.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა გააგრძელეს დაწოლა მეტოქის კარზე. იყო კომბინაციები, მონდომება, მაგრამ არ იყო შედეგი. სტუმართა კონტრიერიშებით უფრო სახიფათო იყო. მე-60 წუთზე, **მაისურაძის** ჩაწოდებული ბურთი **ლობჟანიძემ** თავით გადაგზავნა მეტოქის კარში, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

ხუთ წუთში ანალოგიური ხიფათი შექმნა „ვიტ ჯორჯიამ" და **კორიფაძის** ჩაწოდებული **სიჭინავამ** თავურით დააგვირგვინა - 1:2.

გიგატაძემ შეტევა გააძლიერა - უკან სამი მცველი დარჩა და „დილა", ფაქტობრივად, ვა-ბანკზე წავიდა. ერთ ეპიზოდში **ახალკაცის** მიერ ჩაწოდებული ბურთი კარის სიახლოვეს მიიღო შალამბერიძემ და ძლიერად დაურტყა შეროზიას, რომლის ნახტომმაც „ვიტ ჯორჯია" გადაარჩინა.

შეხვედრის მიწურულს „დილას" ფეხბურთელები ქულის გადასარჩენად უიმედოდ მიაწყდნენ სტუმართა საჯარიმოს, მაგრამ ამით სასიკეთოს ვერაფერს მიღწიეს.

**მატჩის შემდეგ**

ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია): **„ვიცოდით, რომ ურთულესი შეხვედრა გველოდა, ვინაიდან „დილა" ბრწყინვალე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, თუმცა ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გაიღეს იმისთვის, რომ წარმატებისთვის მიეღწიათ და ამიტომაც გავიმარჯვეთ".**

გია გიგატაძე (დილა): **„მეტოქემ გვაჯობა თამაშით, ტაქტიკით და გამარჯვებაც დაიმსახურა. ჩვენი მარცხის მიზეზი ისიც იყო, რომ გუნდი, როგორც ვატყობ, ფიზიკურადაც ვერ არის სათანადო კონდიციაში. მომდევნო მატჩი „ტორპედოსთან" გვაქვს და რაღაც უნდა მოვახერხოთ წარმატებისთვის. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება".**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

30.03. მცხეთა. მცხეთა პარკი
უმაყურებლოდ

**მერანი 0**
**სპარტაკი 0**

მერანი (4-2-3-1): მამალაძე - მელიავა, იობაშვილი, გაბუნია, ხუბუა - ჯოჯუა, ჩუკვურანი - ფონიავა (90. ჩხეტიანი), ბაბუნაშვილი (79. ბენაშვილი), კუჭუხიძე (59. გეგეჭკორი) - ციცხვაია.

*სათადარიგოები:* ბეგაშვილი, დეკანოსიძე, ჯლამაია, გეგია

მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე

სპარტაკი (4-2-3-1): ნადირაძე - ჭაფოძე, კაკუბავა, მგელაძე, კ. ხიზანეიშვილი - შონია, პარუნაშვილი - თუხარელი, თექთურმანიძე, კემუხტაშვილი (46. ცერცვაძე) - მეტრეველი (67. ეხვაია).

*სათადარიგოები:* ნანიევი, მაისაშვილი, ბურძენაძე, მაქაცარია, გაბაშვილი

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: შონია (71), გაბუნია (74), ჭაფოძე (81).

არბიტრი: ა. ბასლეჰლო

# რა არის უმაყურებლო ფეხბურთი?



სპარტაკის შეტევა მეკარე მამალაძემ განმუხტა S

საქართველოს ჩემპიონატში წლეულს უცნაური ამბები ხდება. ცხინვალის „სპარტაკის" ამბავი გასაგებია, მაგრამ მათ გარდა, საკუთარ ქალაქებში ვერ თამაშობენ ბოლნისის „სიონი", „ზუგდიდი", მარტვილის „მერანი", პირველი წრე გასვლით „მასპინძლობაში" გაატარა ლანჩხუთის „გურიამ". მეორე წრეში ამ „ბედნიერთა" რიცხვს ქუთაისის „ტორპედოც" დაემატა, რომელიც მეტოქეებს თბილისში მასპინძლობს.

მეორე უცნაური ამბავი მარტვილელთა საშინაო არენად „მცხეთა-პარკის" შერჩევა იყო. საერთოდ, წლეულს გუნდი საკუთარ ქალაქში არ თამაშობს, მაგრამ ადრე „სახლთან" ახლოს, სამტრედიაში მაინც იღებდა მეტოქეებს, ახლა კი სამტრედიაშიც უარი უთხრეს სტადიონის გაქირავებაზე - როგორც „მერანის" პრეზიდენტმა **ფრიდონ ინჯიამ** გვითხრა, მიზეზი - ქობულეთის „შუქურასთან" სათასო შეხვედრაში მომხდარი არეულობაა.

ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მარტვილელები უახლოეს 5 საშინაო შეხვედრას უმაყურებლოდ ჩაატარებენ. ათვლა გუშინ დაიწყო და „მერანის" პირველი უმაყურებლო ფეხბურთიც ვიხილეთ: ძნელი სათქმელია, ქარიან ამინდში ცარიელი ტრიბუნების წინ გამართული ეს მატჩი უფრო ფეხბურთელების დასჯას ჰგავდა. ისე, ჩვენი ნება რომ იყოს, გუნდს არა უმაყურებლოდ თამაშს, არამედ, მინიმუმ 2 ათასი ქომაგის მობილიზებას ვაიძულებდით, თორემ ჩვენი ფეხბურთი მაყურებელს ისედაც დაშორდა. საერთოდ, ძნელი სათქმელია, უმაყურებლო ფეხბურთი სპორტის რა სახეობაა?

...ამინდმა და ცარიელმა ტრიბუნებმა მეტოქეებზე გავლენა მოახდინა. შეუძლებელია, ასეთ დროს მოთამაშეს გაუჩნდეს ალმაფრენა და სისხლი აუდუღდეს, რის ხარჯზეც „მერანს" საკუთარ სტადიონზე რამდენიმე შეხვედრა შემოუტრიალებია. თუმცა ვინ უნდა გაამტყუნო, როცა ეს ყველაფერი ისევ მარტვილელთა ზოგიერთი უგუნური გულშემატკივრის დამსახურებაა...

მატჩი „სპარტაკის" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ბოლოს მარტვილელებმა მდგომარეობა გამოასწორეს და მეტოქეს საკუთარი თამაში მოახვიეს. პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი შეტევა არ ყოფილა. მეტოქეები მე-19 წუთზე გამოცოცხლდნენ, როცა **გაბუნიას** მიერ კარისკენ გაგზავნილი ბურთი ცხინვალელთა მოთამაშეს მოხვდა - „მერანი" პენალტის დანიშვნას ითხოვდა, საჯარიმოში ბურთი ხელით შეაჩერესო. სირიელმა არბიტრმა **აბდულა ბასლეჰლომ** პრეტენზია უსაფუძვლოდ ჩათვალა და თამაში გააგრძელა.

მეორე ტაიმში უფრო ცოცხალი გამოდგა. „მერანს" მოგება ჰაერივით ესაჭიროებოდა - „სპარტაკის" კარის აღებას ცდილობდა **კუჭუხიძე**, მაგრამ მეტოქეს ვერ აჯობა. მატჩის მიწურულს **გეგეჭკორმა** შორეული ფლანგური გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე ისევ კუჭუხიძე გაიყვანა, მაგრამ ტანმაღალმა მერანელმა ამჯერადაც ვერ გაიტანა.

„სპარტაკმა" ბოლო 15 წუთი გაიბრძოლა. ცხინვალელებს მეტოქის საჯარიმოში შესვლა უჭირდათ და ბედი შორეული დარტყმებით სცადეს: სამ წუთში საჯარიმოს სიახლოვიდან ცდილობდნენ კარის აღებას **პარუნაშვილი** (2-ჯერ) და **თექთურმანიძე**, ყველაზე რეალური მომენტი კი 77-ე წუთზე **ნიკა მგელაძეს** ჰქონდა. ის კუთხურიდან თექთურმანიძის ჩაწოდებულ ბურთს კარის წინ დახვდა, მაგრამ მიზანს ააცილა და თავისიანთა დაწინაურების ერთადერთი რეალური შანსი ხელიდან გაუშვა.

83-ე წუთზე მომენტით უკვე „მერანმა" ვერ ისარგებლა - **ფონიავა** ვალდებულიც იყო, მეტოქის კარი აელო. ის საჯარიმოში ორ მცველს მოხდენილად გაცდა, მაგრამ მეკარე **გიორგი ნადირაძესთან** პირისპირ დარჩენილმა მეტოქეს ვერ აჯობა.

საბოლოოდ, მარტვილელებმა მცხეთური „საშინაო" შეხვედრა ვერ მოიგეს და პირველ ლიგას კიდევ უფრო დაუახლოვდნენ, ხოლო „სპარტაკმა" ადგილის შენარჩუნების იმედი დაიტოვა. თუმცა, წინ კიდევ 8 ტურია და ჯერ ნაადრევია იმის თქმა, დარჩენის ვის რა შანსი აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი

## I ლიგა

**B ზონა XIX ტური**

| | |
|---|---|
| სამგურალი-სტუ | 1:0 |
| დინამო (ბთ)-საბურთალო | 2:1 |
| სასკო-ლოკომოტივი | 3:1 |
| ბეთლემი-სულორი | 0:1 |
| მაჭახელა-კოლხეთი (ხ) | 1:0 |
| ბახმარო-დილა 2 | 3:2 |
| ჭიათურა-სამტრედია | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 19 | 15 | 2 | 2 | 43-17 | 47 |
| 2. დინამო (ბთ) | 19 | 14 | 1 | 4 | 39-12 | 43 |
| 3. მაჭახელა | 19 | 12 | 5 | 2 | 32-12 | 41 |
| 4. სასკო | 19 | 12 | 2 | 5 | 37-17 | 38 |
| 5. ჭიათურა | 18 | 10 | 1 | 7 | 30-25 | 31 |
| 6. სამგურალი | 19 | 8 | 4 | 7 | 32-32 | 28 |
| 7. საბურთალო | 19 | 7 | 3 | 9 | 29-26 | 24 |
| 8. ლოკომოტივი | 18 | 7 | 2 | 9 | 39-28 | 23 |
| 9. ბეთლემი | 19 | 7 | 2 | 10 | 21-25 | 23 |
| 10 კოლხეთი (ხ) | 19 | 6 | 4 | 9 | 22-40 | 22 |
| 11 სტუ | 19 | 6 | 2 | 11 | 32-40 | 20 |
| 12. დილა 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 21-35 | 18 |
| 13. ბახმარო | 19 | 1 | 7 | 11 | 20-52 | 10 |
| 14. სულორი | 19 | 2 | 2 | 15 | 9-45 | 8 |

30.03. განმუხური.

**ზუგდიდი 0**
**ტორპედო 1**

0:1 მ. ლონლაძე (53)

ზუგდიდი (4-4-2): ზარქუა - ქათამაძე, აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი - ბულია (46. გ. სამუშია), ქებაძე, სიხარულია (69. გუგუჩია), ც. სამუშია (66. შ. ლომია) - ნიტაიშვილი, კრეკელიჩი.

*სათადარიგოები:* მ. ქვილითაია, დ. ქირია, ნ. ქირია, ლ. მჭედლიშვილი

მწვრთნელი: გიორგი დარასელია

ტორპედო (4-4-2): რ. კვასხვაძე - ჩადუნელი, ს. თოდუა, სავჩენკოვსი, ადამაძე - ჩიკვილაძე (75. კვერნაძე), ზ. გელაშვილი, ო. მამასახლისი (34. ბერუაშვილი), მარკოზაშვილი - ლექვთაძე (58. ნ. ხარაბაძე), მ. ლონლაძე.

*სათადარიგოები:* ა. ადამია, ელიავა, გოგიჩაიშვილი, დ. ხურციძე

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: გელაშვილი (87), კვასხვაძე (90)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

## VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 24 | 9 | 5 | 10 | 31 | 32 | 32 |
| 8 | ტორპედო | 24 | 9 | 5 | 10 | 25 | 32 | 32 |
| 9 | დილა | 24 | 8 | 8 | 8 | 30 | 26 | 32 |
| 10 | სპარტაკი | 24 | 7 | 3 | 14 | 21 | 32 | 24 |
| 11 | ზუგდიდი | 24 | 6 | 5 | 13 | 14 | 32 | 23 |
| 12 | მერანი | 24 | 5 | 4 | 15 | 18 | 42 | 19 |

ცხრილი მომზადებული gff.ge-ს მიხედვით

**XXV ტური**

**4 აპრილი, პარასკევი**

ტორპედო-დილა
ვიტ ჯორჯია-მერანი

**5 აპრილი, შაბათი**

სპარტაკი-ზუგდიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# გმირობა მოედანზე

## ჯაბა კანკავამ კიევის დინამოს კაპიტანი სიკვდილისგან იხსნა

## ქართული ლეგიონის უჩვეულო გოლიანობა



პირველადი დახმარება ოლეგ გუსევს ჯაბა კანკავამ აღმოუჩინა

**გვინდოდა** ქართული ლეგიონისთვის უჩვეულოდ მრავალგოლიან უქმეებზე თხრობით დაგვეწყო, მაგრამ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ჯაბა კანკავამ ისეთი რამ ჩაიდინა, რომ სპორტის თემასაც სცილდება და გმირობას უტოლდება. „დნიპრო"-„დინამოს" მატჩის პირველ ტაიმში მაღალი ბურთისთვის საბრძოლველად ჯაბა კანკავა და კიეველთა კაპიტანი ოლეგ გუსევი წავიდნენ, მაგრამ ორივეს „დნიპროს" მეკარემ დაასწრო. ნახტომში მუხლით მან კინაღამ გუსევი შეიწირა. სტუმართა ფეხბურთელმა გონება დაკარგა და შეიძლება იქვე დალუპულიყო, რომ არა ჯაბას სიმარდე. ქართველმა გუსევს ენის „გადაყლაპვის" საშუალება არ მისცა და რამდენიმე წუთში ის სიკვდილს გამოსტაცა.

უქმეებზე კი 9 ქართული გოლი გავიდა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯანო ანანიძის გასროლა იყო...

### ერთიც და 350-ია

ვფიქრობთ, მთლად საფუძველს მოკლებული არ იყო გუნდის დროებითი კაპიტნის, **ლევან კობიაშვილის** გაფრთხილება - „ჰერტა" ჯერ სამშვიდობოს არ არის გასულიო. მართალია, ბერლინელები 12 ქულით უსწრებენ გავარდნის ზონას, მაგრამ „ჰერტა" საშინელ ფორმაშია. გუნდს 6 მატჩია, არ მოუგია, ბოლო 4 კი მიჯრით წააგო.

ამჯერად, „ჰერტა" გელზენკირხენში „შალკესთან" 0:2 დამარცხდა. 36 წლის ქართველმა 90 წუთი ითამაშა და ისევ გუნდის კაპიტანი იყო.

„შპორტალმა" ქართველს ცუდი შეფასება დაუწერა - 5 ბალი. *„კობიაშვილის თამაშმა დაგვიმტკიცა, რომ მას არასწორ პოზიციაზე აყენებენ. ცენტრალურ მცველად ის ბევრს ყოყმანობს (როგორც იყო პირველი გოლის ეპიზოდში), იმის მიუხედავად, რომ დიდი გამოცდილება აქვს. მისი პასების მხოლოდ 68% მივიდა ადრესატამდე".*

აქვე გეტყვით, რომ ეს ლევანის 349-ე მატჩი იყო ბუნდესლიგაში.

II ბუნდესლიგის „ფორტუნას" განაცხადში კვლავ ვერ ხვდება **ლევან ყენია**. III ლიგაში „უნტერჰახინგისა" და „ვეენის" მატჩში (1:1), 63-ე წუთამდე ითამაშა მასპინძელთა ნახევარმცველმა **ლუკას ჰუფნაგელმა**.

### კაშიას ოქროს ხელმოწერა

კიდევ ერთი „ქართული" გუნდია საშინელ ფორმაში - არნემის „ვიტესი", რომელიც ზედიზედ ორი მარცხის მერე შინ მხოლოდ ფრეს გამორჩა **მარკო ვან ბასტერნის** „ჰეერენვენთან" - 2:2. მატჩამდე „ვიტესის" ფეხბურთელებმა სიურპრიზი მოუმზადეს ფანებს - სკამებზე 27 ათასი სამადლობელი ბარათი იდო ფეხბურთელების ხელმოწერებით, რომელთა შორის 1 იყო „ოქროს ხელმოწერით" - ვისაც **გურამ კაშიას** ხელმოწერილი ბარათი შეხვდა, მან 2014/15 წლების სეზონის აბონემენტი უფასოდ მიიღო. თავად ქართველ კაპიტანს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, **ვაკო ყაზაიშვილი** კი ძირითადში იყო. აქტიურობდა კიდეც და მომენტებსაც ანიავებდა, მან ყვითელი ბარათიც მიიღო და ერთი საგოლე კომბინაციაც წამოიწყო.



როსტოვს ყაზანში ჯანომ მოაგებინა



გიორგი ილურიძე



ლევან კობიაშვილმა (მარცხნივ) თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა

პოლონეთში ლიდერმა „ლეგიამ" ფაქტობრივად საჩემპიონო დუელში აჯობა „ლეხს", 1:0 მოუგო და 10 ქულით გაუსწრო. ამ შეხვედრის მხოლოდ ბოლო 26 წუთის თამაში შეხვდა **ლადო დვალიშვილს**.

„გორნიკის" და „იაგელონიას" მატჩი 3:3 დასრულდა. სტუმართა რიგებში არ ყოფილა **გიორგი ფოფხაძე**, ხოლო **ნიკა ძალამიძე** 74-ე წუთზე შეცვალეს.

კვიპროსში **ლევან მაღრაძის** „ერმისი" ლიმასოლის აელ-ს ესტუმრა და 0:4 განადგურდა. ქართველი მცველი შესვენებაზე (0:3-ზე) შეცვალეს. „ერმისი" 52 ქულით მეოთხე ადგილზეა. „ანორთოსისის" შემადგენლობაში (1:3 „ომონიასთან") არ უთამაშია **შოთა გრიგალაშვილს**.

მალტის ჩემპიონატში **ნუკრი რევიშვილისა** და **ირაკლი მაისურაძის** „ვალეტამ" სტუმრად 2:0 დაამარცხა „სლემა".

### ჯანოს გოლი

რუსულ პრემიერლიგაში 23-ე ტურის თამაშები გაიმართა. უიმედო აუტსაიდერი „ანჟი" „ურალს" ეწვია და 1:2 დამარცხდა. **გია გრიგალავამ** ნაგებულთა რიგებში 90 წუთი დაყო მოედანზე. მან „ჩემპიონატისგან" ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო (სმოლოვთან ერთად) - 4,5 ბალი.

ყაზანში „რუბინი" 1:2 დამარცხდა „როსტოვთან". ამ თამაშის ბედი **ჯანო ანანიძემ** გადაწყვიტა, რომელმაც **არტიომ ძიუბას** პასით გამარჯვების გოლი გაიტანა პირველი ტაიმის მიწურულს. გოლი ისეთი თვალსასეირო არ ყოფილა, როგორც ჯანოს ბოლო სათასო გასროლა, თუმცა მნიშვნელობით მეტიც გამოდგა. ანანიძე 67-ე წუთზე შეცვალეს. **საბა კვირკველიამ** (რუბინი) 90 წუთი ითამაშა. ჩემპიონატში 21 წლის ქართველმა მეორე გოლი გაიტანა.

I დივიზიონში **ვალდას ივანაუსკასის** „სკა-ენერგიამ" 3:0 გაანადგურა „შინიკი". მასპინძელთა რიგებში სამივე ქართველმა ითამაშა სხვადასხვა „დოზით" - **გიორგი ნავალოვსკი** შეუცვლელად გაისარჯა, **გოგიტა გოგუა** 85-ე წუთზე გაიყვანეს, ხოლო **კახა ალადაშვილი** 76-ე წუთზე შევიდა. ლიდერი „მორდოვია" შინ „ნეფტეხიმიკს" დაუზავდა - 2:2. **აკაკი ხუბუტიამ** მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა.

სხვათა შორის, სტუმართა პირველი გოლი რუსეთის მოქალაქე ქართველმა, **მერაბ ურიდიამ** გაიტანა.

ნალჩიკში „სპარტაკი" „გაზოვიკთან" 0:1 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში **დავით სირაძემ** მეორე ტაიმი ითამაშა, **ზურაბ არზიანი** (გაზოვიკი) განაცხადში არ ყოფილა.

### ოქრიაშვილმა ყოფილ გუნდს გაუტანა

უკრაინულ პრემიერლიგაში მე-20 ტური გაიმართა. ლვოვში „კარპატიმ" „სევასტოპოლს" 2:0 მოუგო. სტუმართა რიგებში არ გამოჩენილა **მათე ღვინიანიძე**, ხოლო მასპინძლებში - **ბუბა დაუშვილი**. ამ შეხვედრაში ერთი ქართული გოლი გავიდა - უკრაინის მოქალაქე **ევგენი ბოხაშვილმა** გამოიჩინა თავი. ეს 21 წლის ფორვარდის პირველი გოლია პრემიერლიგაში.

**თორნიკე ოქრიაშვილმა** ყოფილ გუნდს გაუტანა, მაგრამ ამით „ჩერნომორეცი" „ილიჩივეცთან" მარცხისგან ვერ იხსნა - 1:3. ილიჩივეცელი **დავით თარგამაძე** დუბლებშია გადასროლილი, თორნიკემ კი 90 წუთი ითამაშა. 87-ე წუთზე მან პრესტიჟის გოლი გაიტანა - ამ სეზონში პირველი, სულ კი მე-5 უკრაინულ პრემიერლიგაში.

„დნიპრო"-„დინამოს" საფეხბურთო მხარეს რაც შეეხება, მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. **ჯაბა კანკავამ** 90 წუთი ითამაშა, „დნიპროს" შემადგენლობაში სხვა ქართველები არ გამოჩენილან.

### გუშინ 12 წუთი, დღეს დანარჩენი

კიდევ ერთ ქვეყანაში დაიწყო ჩემპიონატი, სადაც **სანდრო გურულის** ახალმა გუნდმა სოლიგორსკის „შახტიორმა" შინ ბატე დაამარცხა - 2:0. სანდრომ პირველი ტაიმი ითამაშა, გოლები კი მეორეში გავიდა. მოგილევის „დნეპრი" შინ 0:1 დამარცხდა მინსკის „დინამოსთან" - 0:1. 21 წლის მცველმა **გიორგი მნათობიშვილმა** „დნეპრის" რიგებში 90 წუთი ითამაშა.

კვირას აზერბაიჯანის დედაქალაქში სეზონის ამ დროისთვის უჩვეულო ამინდი იყო - თოვლი და ქარბუქი, რის გამოც **კახა ცხადაძის** „ინტერისა" და „რავანის" მატჩი მე-12 წუთზე შეწყდა და დღეს განახლდება იმავე წუთიდან. ოდნავ მოგვიანებით „ყარაბაღმა" შეძლო თავისი მატჩის დასრულება „გაბალას" წინააღმდეგ (3:0). ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა **ნიკოლოზ გელაშვილი**, რომელიც ბოლოს შევიდა მოედანზე.

ტური კი პარასკევს **ლაშა კასრაძის** გოლით გაიხსნა - ექსვიტჯორჯიელმა „სუმგაიტთან" ანგარიში გახსნა, მაგრამ აზალ-მა საბოლოოდ 1:2 წააგო. ეს ლაშას პირველი ლეგიონური გოლია.

### 4 ქართული გოლი ლიტვაში

ლიტვაში ბრწყინვალედ თამაშობენ კლაიპედას „გრანიტასის" ქართველები, **გიორგი ალავერდაშვილი** და **თამაზ ჩარგეიშვილი**. „გრანიტასმა" სტუმრად „დაინავა" გაანადგურა 5:0. ორივე ქართველმა დუბლი შეასრულა: ალავერდაშვილმა მე-19 და 87-ე წუთებზე, ჩარგეიშვილმა - 37-ე და 90-ე წუთებზე. ეს „გრანიტასის" პირველი გამარჯვება იყო სეზონში. 5 ტურის მერე, ალავერდაშვილი 4 გოლით ბომბარდირებში დაწინაურდა, ჩარგეიშვილს 3 გოლი აქვს გატანილი.

ლატვიაში საბოლოოდ მაინც დაუშვეს ჩემპიონატში „დაუგავპილსი" და „სკონტო". გუშინ „დაუგავპილსმა" შინ 1:2 დათმო „იელგავასთან". წაგებულთა რიგებში 52-ე წუთზე **ჯემალ ჯალიაშვილმა** გაიტანა. **თამაზ პერტიას** „სკონტომ" კი „სპარტაკსს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო.

უზბეკეთის ჩემპიონატის მე-3 ტურში **კახა მახარაძის** გოლით „ფახთაქორმა" „ყიზილყუმს" 1:0 მოუგო. „ფახთაქორი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ქულები არ დაუკარგავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ლადო თითქმის ჩემპიონია

იტალიურ სერია B-ში ქართველთა „ემპოლიმ" მათ გარეშე მოუგო „იუვე სტაბიას" (2:1) - **ლევან მჭედლიძემ** ახლახან გადააგდო ყავარჯნები, ხოლო **ირაკლი შეყილაძე** სათადარიგო იყო. „ემპოლი" 53 ქულით მეორე ადგილზეა.

საფრანგეთის ნასიონალ დივიზიონის ლიდერი „ლუზენაკი" „ვანს" ესტუმრა და 2:2 დაუზავდა. ლიდერთა რიგებში I ტაიმი ითამაშა **ამირან სანაიამ**.

პორტუგალიაში **ავთო ებრალიძის** „ჟილ ვისენტე" მადეირულ „მარიტიმუს" დაუზავდა - 1:1. ჩვენებური 59-ე წუთზე შეცვალეს. როგორც იქნა, მოიგო **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ". ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია „ქაისერი ერჩიესფორთან" 3:0 გამარჯვებით შეწყდა. **ზურაბ ხიზანიშვილის** „ქაისერი" დღეს თამაშობს.

ხორვატიაში „ჰაიდუკმა" 3:1 მოუგო „ზადარს". **გიორგი ილურიძე** თამაშში 76-ე წუთზე ჩაერთო და 4 წუთში პენალტიც მოინადირა, მაგრამ კაპიტანმა **მალოჩამ** ვერ გაიტანა.

U17

## შანსი აღარ არის

**სერბეთში** მიმდინარე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდის მეორე შეხვედრაში ჩვენი ჭაბუკები მასპინძელ თანატოლებთან 0:2 დამარცხდნენ და ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგეს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში **ნოდარ აკობიას** შეგირდები გერმანელებთან 0:4 დამარცხდნენ.

ამჯერად, ჩვენებმა პირველი 40 წუთი უგოლოდ დაამთავრეს, შემდეგ კი სერბებმა იძალეს და ჯერ **შაპონიჩმა** 64-ე წუთზე, ხოლო ხუთ წუთში **კარიშიჩმა** საქართველო თამაშგარეში დატოვეს. დღეს ჭაბუკი ქართველები ირლანდიელებს შეხვდებიან. ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუ რომელი გუნდი ითამაშებს ამ ჯგუფიდან მალტაზე გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სერბეთი-გერმანიის მატჩში გაირკვევა. ტურნირის მეორე დღეს გერმანელებმა ირლანდიას 3:0 მოუგეს.

საქართველომ კი სერბეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ქურდაძე, ქობულაძე, კაკიაშვილი, ნადარაია, კომახიძე, მამუჩაშვილი (59. კიკნაძე), გოშთელიანი (45. არაბიძე), ბერიძე (76. ქორიძე), კალმაძე, ჯობავა, მიქელთაძე.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| სერბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

**ლუკა თალაკვაძე**

europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

# ლივერპულის ზედიზედ მერვე

„ემირეიტსზე“ შეტევაზე მომართული გუნდების დაპირისპირებაში ვინმე შეიძლება გოლების წვიმასაც ელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. **ლორან კოშელნის** დანაკლისის მიუხედავად, დედაქალაქელთა დაცვამ ამოცანას თავი გაართვა და „ქალაქელებს“ ფრთების გაშლის საშუალება არ მისცა. მაღალ დონეზე ითამაშა **პერ მერტეზაკერმა**. გერმანელი პოზიციურად თითქმის არ ცდებოდა და იმ ეპიზოდს თუ არ მივათვლით, როცა **ვოიცეხ შჩესნის** შეცდომის შემდეგ კინაღამ საკუთარი კარი დალაშქრა, შეიძლება ითქვას, ის კლდესავით იდგა. „ჩელსისთან“ და „სუონსისთან“ უკანა ხაზის უბადრუკი ასპარეზობის შემდეგ, ამის ხაზგასმა საჭიროდ მოგვეჩვენა. „არსენალის“ მოუგებელი სერია სამ თამაშს ითვლის, ბოლო ხუთ ტურში კი გუნდს ერთადერთი მოგება აქვს. სხვაობა მეოთხე ადგილისთვის მებრძოლებთან თანდათან მცირდება, თუმცა „სიტისთან“ მატჩის დასრულების შემდეგ „მეთოფეთა“ გულშემატკივარს უკმაყოფილების საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. **არსენ ვენგერის** შეგირდებს ასე კარგად რა ხანია, არ უთამაშიათ. იყო მომენტები, როცა „სიტის“ საკუთარი ნახევრიდან კი არა, თის თავისუფლად გათამაშების საშუალება, მაგრამ სტუმარმა შანსები ქარს გაატანა.

გამარჯვებულის ვინაობა 52-ე წუთზე **ჯონ ტერის** ავტოგოლმა გამოავლინა. კაპიტანს სტანდარტულის გათამაშების შემდეგ გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ხარიხას სანტიმეტრებში ააცილა. ორჯერ შეეძლო გატანა **ედენ აზარსაც**, მაგრამ ბელგიელს ორჯერვე **ხულიან სპერონიმ** აჯობა. „ჩელსის“ თითო-ოროლა მომენტი ჰქონდა, აი, „არწივებისგან“ კი ბოლასის, **ჯეისონ პანჩეონს**, ჯერომსა და **ჯო ლედლის** შეეძლოთ თავის გამოჩენა.

## ღრუბლებით დაფარული

ფანებმა პირობა შეასრულეს და „ოლდ ტრეფორდის“ თავზე **დევიდ მოიესის** საწინააღმდეგო ბანერი „გამოფინეს“. თამაშის დაწყებამდე ცაზე ღრუბლები ჭარბობდა, ასე რომ, ჩანაფიქრი ისეთი ეფექტური ვერ გამოვიდა, როგორც იდეის ავტორებს წარმოედგინათ. ანგარიში ბირმინგემელებმა ეფექტური საჯარიმოთი გახსნეს. „ეშმაკებმა“ დამრიგებელი ამჯერად მა- „ნორვიჩს“ „ლიბერთი სტედიუმზე“ ქულის აღების შანსიც არ ჰქონია.

„საუთჰემპტონმა“ „ნიუკასლს“ იოლად გადაუარა. „წმინდანებმა“ ოთხი გოლი გაიტანეს, თუმცა სანამ ანგარიშს გახსნიდნენ ერთი ამდენი მომენტი იქამდე გააფუჭეს. **მაურისიო პოჩეტინიოს** გუნდში ტრადიცია არ ირღვევა - შეტევაში უმთავრეს როლებს ამ გუნდში ინგლისელები თამაშობენ და თანაც საკმაოდ ეფექტურად.

## კიდევ ერთი ალიყური

სეზონის წინ „ლივერპულიც“ და „ტოტენჰემიც“, მაქსიმუმ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის პრეტენდენტებად მიიჩნეოდნენ. პირველმა მოლოდინს გადააჭარბა, მეორემ კი მიზნისთვის ბრძოლა დიდი ხნის წინ შეწყვიტა. **ანდრე ვილაშ ბოაშის** გაშვებამ „დეზებს“ ვერაფერი არგო. **ტიმ შერვუდი** პორტუგალიელის დარად უბრალოდ კი არ მარცხდება გრანდებთან, არამედ პირწმინდად ნადგურდება. „უაით ჰარტ ლეინზე“ 0:5, რასაც შეეწირა კიდევ ახალგაზრდა მწვრთნელი, „ენფილდზე“ 0:4-მა შეცვალა. ჩრდილოლონდონელები დეკემბერშიც და ახლაც უსაშველოდ სუსტად გამოიყურებოდნენ დაცვაში.



„ლივერპული“ მორიგ გოლს ზეიმობს

საჯარიმოდანაც კი უჭირდა ხეირიანად ბურთის გამოტანა.

„სიტიმ“ ანგარიში კონტრშეტევაზე გახსნა: **ხესუს ნავასმა** და **იაია ტურემ ლუკას პოდოლსკის** ბურთი ერთობლივი ძალისხმევით აართვეს. საჯარიმომდე ის **დავიდ სილვამ** მიიტანა და **ედინ ჯეკოს** გადასცა. ბოსნიელის დარტყმა ძელს მოხვდა, გადმოვარდნილ ბურთზე კი **ტომას ვერმალენს** ისევ სილვამ დაასწრო და დაუცველ კარში შეაგორა. ეპიზოდში მთავარმა დამნაშავემ შეცდომა მოგვიანებით გამოისყიდა, როცა **მატიო ფლამინის** გაატანინა. ლუკასს გამარჯვების ბურთის გატანა თავად შეეძლო, თუმცა მისი დარტყმა **ჯო ჰარტმა** ფეხით მოიგერია.

## ჩელსი ლიდერი აღარ არის

„არსენალთან“ გოლების ფეიერვერკის შემდეგ „ჩელსის“ უქმეებზე მიჯრით მეორე ლონდონური დერბი ელოდა. უცნაურია, მაგრამ „კრისტალ პალასმა“ ფავორიტი ყველა კომპონენტში დაჯაბნა, გარდა ბურთის ფლობისა, და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: რომ არა **ლი მეისონის** მეტისმეტად ლოიალური მსაჯობა, **პეტრ ჩეხის** კარში მინიმუმ ორი პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა. თამაშის წესებს ორჯერვე **გარი კეჰილი** არღვევდა, ჯერ **კემერონ ჯერომის**, შემდეგ კი **იანიკ ბოლასის** წინააღმდეგ. მთავარი, რასაც **ტონი პულისის** გუნდმა მიაღწია, ეს მეტოქისთვის სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვა იყო. „ჩელსის“ მხოლოდ იშვიათად ეძლეოდა ბურ- ინც აღარ გაწირეს და მეტოქეს ერთის წილ ოთხი გოლით უპასუხეს. **უეინ რუნის** დუბლს, **ხუან მატამ** (პირველი გოლი „იუნაიტედში“) და **ხავიერ ერნანდესმა** თითო წაამატეს და სტადიონზე შეკრებილი ათეულათასობით გულშემატკივარი შინ ნასიამოვნები გაუშვეს. განსაკუთრებით ეფექტური იყო შეხვედრის უკანასკნელი აკორდი, შეცვლაზე შესული **ადნან იანუზაისა** და „ჩიჩარიტოს“ შესრულებით.

## ლამაზი წარმოდგენა

აუტსაიდერებმა ულამაზესი სანახაობა შემოგვთავაზეს ვესტ ბრომვიჩის „ჰაუტორნსზე“. თამაშს ეფექტური დასაწყისი და კიდევ უფრო თვალწარმტაცი ფინალი ჰქონდა. ანგარიში **მორგან ამალფიტანომ** ლამაზი, თუმცა შემთხვევითი გოლით გახსნა. ფრანგი უბრალოდ აწვდიდა საჯარიმოში. აჰას ახლო მანძილიდან **გრემ დორანსის** შედეგიანი დარტყმა მოჰყვა. ექვსიდან ულამაზესი გოლი **ჯორდონ მატჩს** გამოუვიდა, ვინც 26-27 მეტრიდან რბილი დარტყმით მეკარისგან შორეული კუთხე დალაშქრა. ანგარიში **სტივენ კოლკერმა** თავურით გაათანაბრა. „კარდიფმა“ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში სეზონში მე-9 გოლი გაუშვა, თუმცა წუთზე ცოტა მეტი იყო გასული, რომ კონტრშეტევაზე თავადაც გაიტანა.

„სუონსიმ“ ჩემპიონატში 6-თამაშიანი მოუგებელი სერია დაასრულა, რომელიც „კარდიფთან“ **გარი მონკის** სადებიუტო მატჩის (3:0) შემდეგ გრძელდებოდა. „გედებმა“ ამჯერადაც უშუალო კონკურენტი დაამარცხეს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ „ლივერპულმა“ გუშინ თითქმის 100%-ით გამოიყენა თავისი შანსები.

ტურის მეორე ცენტრალური შეხვედრის დასრულების შემდეგ „ლივერპულმა“ „ჩელსი“ მეორე ადგილიდან ჩააჩოჩა. მერსისაიდელებმა ზედიზედ მერვე თამაში მოიგეს და 26 დეკემბერს „ეტიჰადზე“ დაკარგული პირველი ადგილი დაიბრუნეს. რამდენი ხნით? ამაზე პასუხს მომდევნო ტურებში მივიღებთ.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

### შოტლანდია

**პრემიერშიპი. XXXII ტური**

| | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი იუნ | 1:1 |
| სელტიკი-როს ქაუნთი | 1:1 |

გოლები: 0:1 დე ლეუვი (16), 1:1 კომონსი (35)

| | |
|---|---|
| ინვერნესი-სტ. მირენი | 2:2 |
| მოზერველი-კილმარნოკი | 1:2 |
| სტ. ჯონსტონი-პატრიკი | 1:1 |
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 32 | 27 | 4 | 1 | 80-16 | 85 |
| 2. აბერდინი | 31 | 18 | 5 | 8 | 44-29 | 59 |
| 3. მოზერველი | 31 | 18 | 3 | 10 | 51-46 | 57 |
| 4. დანდი იუნ. | 32 | 15 | 9 | 8 | 57-38 | 54 |
| 5. ინვერნესი | 31 | 14 | 7 | 10 | 37-32 | 49 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 32 | 13 | 6 | 13 | 39-33 | 45 |
| 7. ჰიბერნიანი | 32 | 8 | 10 | 14 | 29-42 | 34 |
| 8. კილმარნოკი | 32 | 9 | 6 | 17 | 40-55 | 33 |
| 9. როს ქაუნთი | 32 | 8 | 7 | 17 | 37-54 | 31 |
| 10. პატრიკი | 32 | 6 | 12 | 14 | 34-53 | 30 |
| 11. სტ. მირენი | 32 | 7 | 7 | 18 | 31-53 | 28 |
| 12. ჰართსი | 31 | 6 | 6 | 19 | 28-56 | 9 |

* ჰართსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### იუნაიტედი-ასტონ ვილა 4:1

**გოლები:** 0:1 ვესტვუდი (13), 1:1 რუნი (20), 2:1 რუნი (45), 3:1 მატა (57), 4:1 ერნანდესი (90+1)

**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - რაფაელი (46. კერიკი), ვიდიჩი, ჯონსი, ბიუტნერი - ფლეტჩერი, ფელაინი - კაგავა (68. იანუზაი), მატა, იანგი - რუნი (75. ერნანდესი)

**ასტონ ვილა (4-2-3-1):** გუზანი - ბაკუნა, ვლაარი, კლარკი, ბერტრანი - ვესტვუდი, დელფი - ოლბრაიტონი (78. ლოუტონი), ვაიმანი, აგბონლაჰორი (71. ტონევი) - ბენტეკე

**გაფრთხილება:** რაფაელი, ბიუტნერი - ბაკუნა, ბერტრანი, კლარკი, ლოუტონი

**კარში დარტყმა:** 9-10 (6-1) **კუთხური:** 0-5 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 10-16 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 75 368

### პალასი-ჩელსი 1:0

**გოლი:** 1:0 ტერი (52-ს.კ-ში)

**კრისტალ პალასი (4-4-1-1):** სპერონი - მარიაპა, დანი, დელეინი, ვორდი - ჟედინაკი, დიკგაჩოი, ბოლასი (70. ოკიფი), პანჩეონი (90+1. პარი) - ლედლი - ჯერომი (88. მარი)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა - ლუისი (46. ოსკარი), მატიჩი - შიურლე (70. ბა), ლემპარდი (56. სალაჰი), აზარი - ტორესი

**გაფრთხილება:** ბოლასი, პანჩეონი, დანი, მარიაპა - ტერი

**კარში დარტყმა:** 14-21 (4-2) **კუთხური:** 2-13 **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 10-4 **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 25 166

### საუთჰემპტონი-ნიუკასლი 4:0

**გოლები:** 1:0 ჯ. როდრიგესი (45+1), 2:0 ლამბერტი (49), 3:0 ლალანა (70), 4:0 ჯ. როდრიგესი (89)

**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** ბორუცი - ჩემბერსი, ლოვრენი, ფონტე, შოუ - ვორდ-პრაუსი, კორკი - როდრიგესი, დევისი (73. შნაიდერლინი), ლალანა (90. გალაგერი) - ლამბერტი (83. გ. რამირესი)

**ნიუკასლი (4-4-1-1):** ელიოტი - იანგა-მბივა (46. სანტონი), უილიამსონი, კოლოჩინი, აიდარა - ანიტა, ტიოტე, სისოკო (78. დამეტი), გუფრანი - ბენ არფა (46. დე იონგი) - სისე

**გაფრთხილება:** - აიდარა

**კარში დარტყმა:** 23-5 (11-2) **კუთხური:** 7-5 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 5-6 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 31 360

### სტოკი-ჰალი 1:0

**გოლი:** 1:0 ოდემვინგი (62)

**სტოკი (4-4-2):** ბეგოვიჩი - კემერონი, უილსონი, შოუკროსი, პიტერსი - ნზონზი, უელანი (82. პალასიოსი) - არნაუტოვიჩი (85. ადამი), აირლანდი, ოდემვინგი - კრაუჩი (87. გუიდეტი)

**ჰალი (3-1-4-2):** ჰარპერი - ჩესტერი, ბრუსი (71. ალუკო), დევისი - ლივერმორი - მეილერი, ჰადლსტოუნი (82. ქუინი), ელმოჰამადი, როსენიორი - ლონგი, იელავიჩი (79. საგბო)

**გაფრთხილება:** ოდემვინგი, პალასიოსი -

**კარში დარტყმა:** 15-5 (3-3) **კუთხური:** 8-1 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 9-9 **ბურთის ფლობა:** 54%-44%

**მაყურებელი:** 27 029

### სუონსი-ნორვიჩი 3:0

**გოლები:** 1:0 დე გუზმანი (30), 2:0 დე გუზმანი (38), 3:0 რუტლეჯი (75)

**სუონსი (4-4-2):** ვორმი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, დევისი - შელვი, ბრიტონი - რუტლეჯი, მიჩუ (73. პ. ერნანდესი), დე გუზმანი (77. დაიერი) - ბონი (88. ვასკესი)

**ნორვიჩი (4-3-1-2):** რადი - ოლსონი, ბასონგი, ბენეტი, მარტინი - სნოდგრასი, ჰაუსონი (46. ბ. ჯონსონი), ტეტი - პულაჰანი (46. ხ. გუტიერესი) - ელმანდერი, ვან ვოლფსვინკელი (73. ჰუპერი)

**გაფრთხილება:** რანხელი - ბ. ჯონსონი, ტეტი

**კარში დარტყმა:** 16-8 (7-4) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 15-9 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 20 371

### ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი 3:3

**გოლები:** 1:0 ამალფიტანო (2), 2:0 დორანსი (9), 2:1 მატჩი (30), 2:2 კოლკერი (73), 3:2 ბიფუმა (90+4), 3:3 დელი (90+5)

**ვესტ ბრომვიჩი (4-1-4-1):** ფოსტერი - რიჯუელი, დოუსონი, მაკაული, რიდი - მულუმბუ - დორანსი (85. ვერა), მორისონი, სესინიონი, ამალფიტანო (72. ბერაინო) - ვიდრა (78. ბიფუმა)

**კარდიფი (3-4-2-1):** მარშალი - კოლკერი, ტერნერი, ტეოფილ-კეტრინი - მედელი (88. უიტინგემი), გუნარსონი (46. დელი), ფაბიო (36. ზაჰა), ტეილორი - მატჩი, ბელამი - კემპბელი

**გაფრთხილება:** დორანსი - ბელამი

**კარში დარტყმა:** 16-11 (6-5) **კუთხური:** 4-1 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 12-13 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 661

### არსენალი-სიტი 1:1

**გოლები:** 0:1 დ. სილვა (18), 1:1 ფლამინი (53)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი - არტეტა, ფლამინი - კასორლა, როსიცკი, პოდოლსკი (79. ოქსლეიდ-ჩემბერლენი) - ჟირუ (85. სანოგო)

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კლიში - ი. ტურე, ფერნანდინიო - დ. სილვა, ნასრი (81. ხ. გარსია), ნავასი (64. მილნერი) - ჯეკო (85. ნეგრედო)

**გაფრთხილება:** როსიცკი - ი. ტურე, კომპანი, დ. სილვა, ხ. გარსია

**კარში დარტყმა:** 10-15 (3-4) **კუთხური:** 6-6 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 8-11 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 60 060

### ფულჰემი-ევერტონი 1:3

**გოლები:** 0:1 სტოკდეილი (50-ს.კ-ში), 1:1 დეჟაგა (71), 1:2 მირალიაში (79), 1:3 ნეისმიტი (87)

**ფულჰემი (4-2-3-1):** სტოკდეილი - რიტერი, ჰეიტინგა, ჰანგელანდი, რიისე - კვისტი (64. ვუდროუ), სიდუელი - რიჩარდსონი (64. დეჟაგა), ჰოლტბი, კასამი - მ. დემბელე (81. ვუდროუ)

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმენი, დისტენი, სტოუნსი, ბეინსი - მაკარტი, ბერი - დელოფეუ (68. მირალიაში), ბერკლი (46. ნეისმიტი), ოსმანი (77. მაკგიდი) - ლუკაკუ

**გაფრთხილება:** რიტერი - კოულმენი, ბეინსი

**კარში დარტყმა:** 23-14 (8-7) **კუთხური:** 6-6 **თამაშგარე:** 8-1 **ჯარიმა:** 7-4 **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 25 454

### ლივერპული-ტოტენჰემი 4:0

**გოლები:** 1:0 კაბული (2-ს.კ-ში), 2:0 სუარესი (25), 3:0 კოუტინიო (55), 4:0 ჰენდერსონი (75)

**ლივერპული (4-4-2):** მინიოლე - ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ფლენაგანი - ჯერარდი (70. ლეივა), ჰენდერსონი, კოუტინიო (64. ალენი), სტერლინგი (83. მოზესი) - სუარესი, სტარიჯი

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - ნაუტონი, ვერტონგენი (24. დოუსონი), კაბული, როუზი - ბენტალები (60. მ. დემბელე), სიგურდსონი - ლენონი (60. ტაუნსენდი), შადლი, ერიქსენი - სოლდადო

**გაფრთხილება:** - კაბული, სიგურდსონი

**კარში დარტყმა:** 11-13 (5-3) **კუთხური:** 5-6 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 9-9 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 44 762

**31 მარტი**

| | |
|---|---|
| სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 32 | 22 | 5 | 5 | 88-39 | 71 |
| 2. ჩელსი | 32 | 21 | 6 | 5 | 62-24 | 69 |
| 3. სიტი | 30 | 21 | 4 | 5 | 80-28 | 67 |
| 4. არსენალი | 32 | 19 | 7 | 6 | 56-37 | 64 |
| 5. ევერტონი | 31 | 17 | 9 | 5 | 49-31 | 60 |
| 6. ტოტენჰემი | 32 | 17 | 5 | 10 | 40-44 | 56 |
| 7. იუნაიტედი | 32 | 16 | 6 | 10 | 52-38 | 54 |
| 8. საუთჰემპტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 49-40 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 14 | 4 | 14 | 38-47 | 46 |
| 10. სტოკი | 32 | 10 | 10 | 12 | 37-45 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 31 | 9 | 7 | 15 | 34-41 | 34 |
| 12. ასტონ ვილა | 31 | 9 | 7 | 15 | 34-46 | 34 |
| 13. სუონსი | 32 | 8 | 9 | 15 | 45-48 | 33 |
| 14. ჰალი | 32 | 9 | 6 | 17 | 33-40 | 33 |
| 15. ნორვიჩი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-51 | 32 |
| 16. პალასი | 31 | 9 | 4 | 18 | 20-39 | 31 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 14 | 12 | 36-48 | 29 |
| 18. კარდიფი | 32 | 6 | 8 | 18 | 29-61 | 26 |
| 19. სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 27-46 | 25 |
| 20. ფულჰემი | 32 | 7 | 3 | 22 | 31-73 | 24 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

**მომდევნო ტური**

5 აპრილი: მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი, ასტონ ვილა-ფულჰემი, კარდიფი-კრისტალ პალასი, ჰალი-სუონსი, ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი, ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი, ჩელსი-სტოკი

6 აპრილი: ევერტონი-არსენალი ვესტ ჰემი-ლივერპული

7 აპრილი: ტოტენჰემი-სანდერლენდი

**ჩემპიონშიპი. XXXIX ტური**

**ბარნლი-ლესტერი 0:2**
გოლები: 0:1 ნაჯენტი (35), 0:2 ვუდი (78)

**ბირმინგემი-ბორნმუთი 2:4**
გოლები: 0:1 რიჩი (13), 0:2 გრებანი (20), 0:3 გრებანი (28-პენ), 0:4 პარტი (52), 1:4 მაკედა (57), 2:4 მაკედა (73)

**ბოლტონი-უიგანი 1:1**
გოლები: 1:0 იუტკევიჩი (31), 1:1 პაუელი (88)

**ბრაიტონი-მიდლსბრო 0:2**
გოლები: 0:1 ადომა (65), 0:2 გრემი (86)

**დერბი-ჩარლტონი 3:0**
გოლები: 1:0 რასელი (18), 2:0 ბემფორდი (38), 3:0 მარტინი (84)

**იპსვიჩი-ნოტინგემი 1:1**
გოლები: 0:1 კოლინსი (4), 1:1 მერფი (78)

**ლიდსი-დონკასტერი 1:2**
გოლები: 0:1 კოტერილი (23), 0:2 შარპი (45+1), 1:2 მაკორმაკი (62)

**მილუოლი-ბლექბერნი 2:2**
გოლები: 1:0 უილიამსი (57-პენ), 1:1 კინი (65), 2:1 ჯექსონი (88-პენ), 2:2 კინგი (90+2)
გაძევება: - ჰენლი (56)

**ქუინზ პარკი-ბლეკპული 1:1**
გოლები: 0:1 გუდვილი (11), 1:1 ჰოილეტი (78)

**რედინგი-ჰადერსფილდი 1:1**
გოლები: 0:1 ველსი (4), 1:1 პოგრებნიაკი (7-პენ)

**შეფილდ უენ-უოტფორდი 1:4**
გოლები: 0:1 ანხელა (5), 0:2 მაკგუგანი (23), 0:3 დინი (49), 0:4 დინი (51), 1:4 აფობე (54)

**იოვილი-ბარნსლი 1:4**
გოლები: 0:1 ოგრეიდი (53), 0:2 ლოურენსი (64), 1:2 აილინგი (70), 1:3 ოგრეიდი (75), 1:4 ჯენინგსი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლესტერი | 38 | 26 | 7 | 5 | 72-35 | 85 |
| 2. ბარნლი | 39 | 22 | 13 | 4 | 64-33 | 79 |
| 3. ქუინზ პარკი | 39 | 20 | 10 | 9 | 48-33 | 70 |
| 4. დერბი | 39 | 20 | 9 | 10 | 69-45 | 69 |
| 5. უიგანი | 38 | 18 | 9 | 11 | 51-37 | 63 |
| 6. რედინგი | 39 | 16 | 12 | 11 | 60-46 | 60 |
| 7. ნოტინგემი | 39 | 14 | 16 | 9 | 56-48 | 58 |
| 8. იპსვიჩი | 39 | 15 | 13 | 11 | 51-44 | 58 |
| 9. ბრაიტონი | 38 | 15 | 11 | 12 | 39-33 | 56 |
| 10. ბორნმუთი | 39 | 15 | 10 | 14 | 53-55 | 55 |
| 11. უოტფორდი | 38 | 13 | 13 | 12 | 60-47 | 52 |
| 12. ბლექბერნი | 38 | 13 | 13 | 12 | 49-50 | 52 |
| 13. მიდლსბრო | 39 | 11 | 16 | 12 | 49-43 | 49 |
| 14. შეფილდ უენს. | 39 | 12 | 12 | 15 | 48-47 | 48 |
| 15. ლიდსი | 38 | 13 | 8 | 17 | 52-58 | 47 |
| 16. ჰადერსფილდი | 39 | 12 | 10 | 17 | 50-54 | 46 |
| 17. ბოლტონი | 39 | 10 | 15 | 14 | 50-55 | 45 |
| 18. დონკასტერი | 39 | 11 | 10 | 18 | 35-57 | 43 |
| 19. ბლეკპული | 39 | 10 | 12 | 17 | 33-54 | 42 |
| 20. ბირმინგემი | 39 | 10 | 10 | 19 | 49-59 | 40 |
| 21. ჩარლტონი | 36 | 8 | 11 | 17 | 26-47 | 35 |
| 22. ბარნსლი | 38 | 8 | 11 | 19 | 38-65 | 35 |
| 23. მილუოლი | 39 | 7 | 12 | 20 | 37-69 | 33 |
| 24. იოვილი | 39 | 7 | 11 | 21 | 37-62 | 32 |

**ბომბარდირები:** 27 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 20 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), სემ ვოუკსი (ბარნლი)

**ლიგა 1. XL ტური**

ქრიუ-ქოვენთრი 1:2, ლეიტონი-ბრედფორდი 0:1, მილტონი-ვულვზი 0:1, ნოთს ქაუნთი-კოლჩესტერი 2:0, ოლდჰემი-ბრენტფორდი 0:0, პრესტონი-ქროული 1:0, როტერჰემი-ბრისტოლ ს 2:1, სტივენეიჯი-პორტ ვეილი 1:1, ტრანმერი-კარლაისლი 0:0, უოლსოლი-შრიუსბერი 1:0, სუინდონი-შეფილდ იუნ. 2:1

**ლიგა 2. XL ტური**

ბრისტოლ რ-მორკემბი 1:0, დაგენჰემი-ოქსფორდი 1:0, ექსეტერი-აკრინგტონი 0:1, ფლიტვუდი-როჩდეილი 0:0, ჰარტლპული-ჩელტენჰემი 0:1, მანსფილდი-უიმბლდონი 1:0, ნიუპორტი-პორტსმუთი 1:2, ნორთჰემპტონი-ბერი 0:3, სკანტორპი-უიკომბი 0:0, საუთენდი-ტორკი 1:0, იორკი-ბარტონი 0:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური

# უნამუსო, არაკაცი, გიჟი

## მწვრთნელებმა დასცხეს, გადარჩენისთვის ბრძოლა ბინძურია

რაკი გერმანიის ჩემპიონი ნაადრევად გაირკვა, ბუნდესლიგაში ემოციები ახლა ცხრილის ქვედა ნაწილში, გასავარდნ ზონაში და მის სიახლოვეს დუღს. 28-ე ტურში ყველაზე დაძაბული და საინტერესო „ფრაიბურგისა" და „ნიურნბერგის" მატჩი გამოდგა, რომელშიც ყველაფერი ვნახეთ: ხუთი გოლი, მეორე ტაიმში შეტრიალებული თამაში, გაძევება, პენალტი და მწვრთნელების სერიოზული დაპირისპირება.

მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მნვრთნელს, **გერტიან ვერბეეკს** გამარჯვებული „ფრაიბურგის" დამრიგებლის, **კრისტიან შტრაიხის** სახელის ხსენებაც კი აღარ უნდოდა: *„მეტოქე გუნდის მწვრთნელმა დღეს არაერთხელ მომაყენა შეურაცხყოფა. ეს არ არის კოლეგა! ამ კაცთან არავითარი საერთო აღარ მექნება, მისი დანახვაც კი აღარ მინდა!"* - კბილებში გამოსცრა ვერბეეკმა მატჩის შემდეგ. როგორც ჩანს, სწორედ შტრაიხთან დაპირისპირების გამო არ გამოცხადდა პრესკონფერენციაზე და ჟურნალისტებს კატაკომბებში ესაუბრა: *„დარწმუნებული ვარ, რომ თავის საქციელს არ ნანობს და ოდნავადაც არ რცხვენია. ასეთ რამეს ცხოვრებაში პირველად შევესწარი. ეგ ტიპი ძალიან უსირცხვილოა. მთელი თამაში გიჟივით იქცეოდა!"*

თავად შტრაიხს, რომელიც მართლაც ძალიან ემოციური სპეციალისტია (ზოგჯერ თვით **იურგენ კლოპზე** ემოციურიც კი) რა თქმა უნდა, განსხვავებული მოსაზრება აქვს: *„სისულელეა! მისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. მან თვითონ მიჩვენა უხამსი ჟესტი."*

ფაქტია, რომ ერთ-ერთი ცრუობს და ფაქტია ისიც, რომ „ნიურნბერგის" მწვრთნელმა მატჩის შემდეგ არა მარტო შტრაიხს, არამედ მსაჯ **იოხენ დრეესაც** შეუტია: *„აქ 12 კაცის წინააღმდეგ ვთამაშობდით. მაგ მსაჯს საფეხბურთო მატჩის განსჯის უფლება არასდროს აღარ უნდა მიეცეს. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მაგ არბიტრის წინააღმდეგ რაღაც ზომები უნდა მიიღოს."*

გერმანიის საფეხბურთო კავშირი ალბათ მართლაც მიიღებს ზომებს - ოღონდ, თავად ვერბეეკის წინააღმდეგ... თუმცა ამ მატჩის ნეგატიური მხარე მხოლოდ მწვრთნელების დაპირისპირება არ ყოფილა. მატჩის წინ „ნიურნბერგის" ქომაგები „ფრაიბურგის" ფანების თავშეყრის ადგილს თავს დაესხნენ და რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: „ნიურნბერგი" თამაშს ორჯერ (!) იგებდა და უპირატესობა ორჯერვე გაანიავა. „ფრაიბურგიდან" გადამწყვეტი გოლი **ფელიქს კლაუსის** ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს სტადიონზე კლაუსის დედაც იმყოფებოდა და როგორც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, როცა დედამისი ტრიბუნაზეა, კლაუსი ყოველთვის ახერხებს გოლის გატანას, „ფრაი" კი - გამარჯვებას. ამ ტენდენციის აღმოჩენის შემდეგ კლაუსის დედას ალბათ VIP-ლოჟაში დასვამენ...

### გადარჩენისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

ამრიგად, „ფრაიბურგმა" გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს მოუგო და დროებით შვებით ამოისუნთქა, ნიურნბერგელები კი მძიმე სიტუაციაში რჩებიან. მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ნომერ პირველი კანდიდატი „ბრაუნშვაიგი" კი ქულების დაგროვებას განაგრძობს. ამ უქმეებზე აუტსაიდერმა უკვე ლევერკუზენიდან შეძლო აბსოლუტურად დამსახურებული ქულის წაღება (1:1). ბრაუნშვაიგელები **რაიხელის** გოლით იგებდნენ და „ლევერკუზენის" გადარჩენა **შტეფან კისლინგმა** ზუსტად შესრულებული პენალტით შეძლო. უსკანდალოდ არც ამ შეხვედრას ჩაუვლია: საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე „ლევერკუზენის" მცველი **ემირ სპაჰიჩი** ჯერ **ბოლანდს** ეუხეშა, მერე კი ბრაუნშვაიგელთა მეკარე **დავარის** შუა თითიც უჩვენა, მაგრამ მსაჯმა ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენა.

ამ ფრის შემდეგ „ლევერკუზენმა" საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, „ბრაუნშვაიგს" კი 22 ქულა აქვს და გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს.

### დორტმუნდმა შტუტგარტი არ დაინდო

ბუნდესლიგა ამ უქმეებზე რომ დამთავრებულიყო, „შტუტგარტი" მეორე ბუნდესლიგაში გავარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი შეცვალეს, შვაბები მაინც ისე ცუდად თამაშობენ, რომ დიდი შანსია, გუნდი, რომელიც ახლო წარსულში გერმანიის ჩემპიონი იყო, მართლა გავარდეს. „შტუტგარტმა" თამაში ისე დაიწყო, გადარჩენისთვის კი არა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდს ჰგავდა - შვაბები **გენტნერისა** და **ჰარნიკის** გოლებით 2:0-ს იგებდნენ. მერე კი **მარკო როისის** დრო დადგა, რომელმაც სამი გოლი გაიტანა, თამაში შეატრიალა და გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** (იოგი ტრიბუნაზე იჯდა) დაუმტკიცა, რომ ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია. ამ მოგებით „დორტმუნდმა" პარასკევს (შალკე-ჰერტა 2:0) დაკარგული მეორე ადგილი დაიბრუნა და არ გაამართლა იმ სკეპტიკოსთა ვარაუდები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მადრიდის „რეალთან" თამაშის (ეს მატჩი ოთხშაბათს შედგება) წინ დორტმუნდელები ძალებს დაზოგავდნენ.

ამ ტურში პირველი ტაიმის შემდეგ თამაში კიდევ ერთმა გუნდმა, „ვოლფსბურგმაც" შეატრიალა: „მგლები" ფრანკფურტის „აინტრახტთან" 0:1-ს აგებდნენ და შესვენების შემდეგ, **ოლიჩისა** და **ნალდოს** გოლებით მიზანს მაინც მიაღწიეს. ამრიგად, „ვოლფსბურგი" ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობს - **დიტერ ჰეკინგის** გუნდი მეოთხეადგილოსან „ლევერკუზენს" მხოლოდ ერთი ქულით-ღა ჩამორჩება. გრძელდება ბრძოლა მე-6 პოზიციისთვისაც, რომელიც ევროპალიგაში თამაშის გარანტიას იძლევა. ამ ადგილის დაკავების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ახლა „მაინციცაა", რომელმაც უშუალო კონკურენტის, „აუგსბურგის" სამბურთიანი სხვაობით (3:0) დამარცხება შეძლო.



„ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელი გერტიან ვერბეეკი (მარცხნივ) და მისი ფრაიბურგელი კოლეგა კრისტიან შტრაიხი ერთმანეთს გადაეკიდნენ

### ბაიერნმა ტიაგო დაკარგა

„ბაიერნზე" არაფერი გვითქვამს? დიახ, „ბაიერნზე" ჯერ კიდევ არაფერი გვითქვამს. არადა, რეკორდმაისტერმა ვერ მოიგო! ვერ თუ არ, ეს განსჯის საგანია, ფაქტი კი ის არის, რომ მიუნხენელებმა „ჰოფენჰაიმთან" ძალიან გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს, ჯერ აგებდნენ, მერე 3:1-ს იგებდნენ და საბოლოოდ 3:3 ითამაშეს. კარში **შტარკე**, დაცვაში **რაფინია, ვან ბუიტენი** და **კონტენტო**, ნახევარდაცვაში **შაჩირი** და თავდასხმაში **პისარო - ხოსეპ გვარდიოლამ** „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის წინ (ხვალ „ბაიერნი" ოლდ ტრაფორზე ითამაშებს) წამყვანი ფეხბურთელების დასვენება გადაწყვიტა. ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც ამიტომ, მაგრამ ფაქტია, რომ რეკორდმაისტერმა გერმანიის ჩემპიონობის განაღდების შემდეგ ზედიზედ 19-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ ტრიბუნაზე **ული ჰიონესი** იჯდა - „ბაიერნის" აწ უკვე ექს-პრეზიდენტი, რომელიც წესით უკვე ციხეში უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ 62 წლის ჰიონესს ციხეში სავარაუდოდ აღდგომის შემდეგ ჩასვამენ, მანამდე კი კიდევ ერთხელ დაესწრო „ბაიერნის" თამაშს და მატჩის შემდეგ ფეხბურთელები გასახდელშიც მოინახულა.

აქვე გეტყვით, რომ **ტიაგო ალკანტარამ** საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და 25-ე წუთზე შეცვალეს. „ბაიერნის" სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, ტიაგო თითქმის ორი თვე დაისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ალკანტარა „ბაიერნს" არა მარტო „მანჩესტერ იუნაიტედთან" დუელებში დააკლდება, არამედ მისთვის ეს სეზონი ფაქტობრივად დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXVIII ტური

**ქასიმფაშა-ერჩიესი 3:0**

**გოლები:** 1:0 სკარიონე (30), 2:0 ექერი (40), 3:0 ბიუიუქი (47)

**ქარაბიუქი-ბეშიქთაში 1:0**

**გოლი:** 1:0 ენერამო (90)

**სივასი-გაზიანთეფი 3:2**

**გოლები:** 1:0 უტაკა (15), 1:1 ჩანი (34), 2:1 ესერი (71), 2:2 საპარა (86), 3:2 უტაკა (90)

**ელაზიგი-ტრაბზონი 0:0**

**ახიშარი-რიზე 2:3**

**გოლები:** 1:0 ბრუნო მეზენგა (8), 1:1 კვეუკე (47), 1:2 ქორქმაზი (51), 1:3 კიოსე (71), 2:3 აქიუზი (90)

**კონია-გალათასარაი 0:0**

**31 მარტი**

**ქაისერი-ანთალია 21:00**

**ესქიშეჰირი-გენჩლერბირლიგი 21:00**

**ფენერბაჰჩე-ბურსა 21:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 25 | 18 | 3 | 4 | 56-27 | 57 |
| 2. გალათასარაი | 27 | 13 | 11 | 3 | 47-22 | 50 |
| 3. ბეშიქთაში | 27 | 14 | 8 | 5 | 45-25 | 50 |
| 4. სივასი | 27 | 12 | 4 | 11 | 46-46 | 40 |
| 5. ქარაბიუქი | 27 | 10 | 9 | 8 | 26-25 | 39 |
| 6. ტრაბზონი | 26 | 10 | 9 | 7 | 36-29 | 39 |
| 7. ქასიმფაშა | 27 | 10 | 9 | 8 | 42-32 | 39 |
| 8. ესქიშეჰირი | 26 | 10 | 7 | 9 | 28-25 | 37 |
| 9. ახიშარი | 27 | 10 | 6 | 11 | 35-42 | 36 |
| 10. გაზიანთეფი | 27 | 10 | 5 | 12 | 32-46 | 35 |
| 11. გენჩლერბირ | 26 | 10 | 4 | 12 | 32-34 | 34 |
| 12. ბურსა | 26 | 9 | 7 | 10 | 28-34 | 34 |
| 13. კონია | 27 | 9 | 5 | 13 | 35-37 | 32 |
| 14. რიზე | 27 | 7 | 9 | 11 | 33-38 | 30 |
| 15. ელაზიგი | 27 | 8 | 4 | 15 | 33-51 | 28 |
| 16. ანთალია | 26 | 5 | 12 | 9 | 27-30 | 27 |
| 17. ერჩიესი | 27 | 7 | 5 | 15 | 27-42 | 26 |
| 18. ქაისერი | 26 | 5 | 7 | 14 | 19-42 | 22 |

**ბომბარდირები:** 13 - ჩაჰეჩოუპე (სივასი), სტანჩუ (გენჩლერბირლიგი), ბ. ილმაზი (გალათასარაი); 12 - ემენიკე (ფენერბაჰჩე), უგო ალმეიდა (ბეშიქთაში); 11 - დ. ილმაზი (ელაზიგი).

### შალკე-ჰერტა 2:0

**გოლები:** 1:0 ობასი (16), 2:0 ჰუნტელაარი (46)

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰუგლანდი, აიჰანი, მატიპი, კოლაშინაცი - გორეტცკა, ნოიშტედტერი - ობასი (84. ანანი), მ. მაიერი (74. სალაი), დრაქსლერი (88. მაქსი) - ჰუნტელაარი.

**ჰერტა (4-2-2-1-1):** იარშტაინი - მ. ნდიენგი, ს. ლანგკამპი, **კობიაშვილი**, ნ. შულცი - სკიელბრედი (59. რონი), ჩიგერჩი (77. ნიმაიერი) - ალაგუი, ბენ-ჰატირა - ვაგნერი (59. ბაუმიოჰანი) - რამოსი.

**გაფრთხილება:** ნოიშტედტერი - ჩიგერჩი

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13(4)-11(1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 61 550

### ბაიერნი-ჰოფენჰაიმი 3:3

**გოლები:** 0:1 მოდესტე (23), 1:1 პისარო (31), 2:1 შაჩირი (34), 3:1 პისარო (40), 3:2 სალიჰოვიჩი (44), 3:3 რობერტო ფირმინო (75)

**ბაიერნი (4-2-3-1):** შტარკე - რაფინია, დანტე, ვან ბუიტენი, კონტენტო - ტიაგო ალკანტარა (25. ლამი), შვაინშტაიგერი - გიოტცე (46. მანჯუკიჩი), შაჩირი, რიბერი (76. რობენი) - პისარო.

**ჰოფენჰაიმი (4-3-2-1):** გრალი - ფ. ჯონსონი, შტრობლი, ვესტერგაარდი, ბეკი - რუდი, პოლანსკი, სალიჰოვიჩი (60. ჰერდლინგი) - ფოლანდი (89. კარამანი), რობერტო ფირმინო - მოდესტე (32. ელიუნუსი).

**გაფრთხილება:** შვაინშტაიგერი - ვესტერგაარდი, რობერტო ფირმინო

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 11(6)-20(9); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 71 000

### ლევერკუზენი-ბრაუნშვაიგი 1:1

**გოლები:** 0:1 რაიხელი (47), 1:1 კისლინგი (53-პენ)

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ბიონიში - ჩანი (87. როლფესი) - ლ. ბენდერი, გუარდადო - კასტრო (59. ბრანდტი), სონი (75. დერდიოკი) - კისლინგი.

**ბრაუნშვაიგი (4-2-2-2):** დავარი - კესელი, კორეია, დოგანი, რაიხელი - ვრანჩიჩი (56. კრატცი), ბოლანდი - ელაბდელაუი (77. თოიერკაუფი), ჰოხშაიდტი - ნილსენი, კუმბელა (82. კრუპკე).

**გაფრთხილება:** ჩანი, გუარდადო - კრატცი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 15(4)-9(2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 30 210

### შტუტგარტი-დორტმუნდი 2:3

**გოლები:** 1:0 გენტნერი (9), 2:0 ჰარნიკი (19), 2:1 როისი (30), 2:2 როისი (68-პენ), 2:3 როისი (83)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - შვააბი, რიუდიგერი, ნიდერმაიერი, ბოკა - გენტნერი, გრუეზო - ჰარნიკი (86. კაკაუ), დიდავი (60. მაქსიმი), ტრაორე (70. გ. საკაი) - იბიშევიჩი.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სოკრატისი, ჰუმელსი, დურმი - კელი, კირხი (60. ობამეიანგი) - ი. ჰოფმანი (76. იოიჩი), მხითარიანი (60. ნ. შაჰინი), როისი - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** კირხი, გროსკოირტცი

**გაძევება:** ნიდერმაიერი (67. შტუტგარტი)

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11(3)-17(5); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 59 500

### ვოლფსბურგი-აინტრახტი 2:1

**გოლები:** 0:1 აიგნერი (11), 1:1 ოლიჩი (69), 2:1 ნალდო (89)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** გრიუნი - ტრეში, ნალდო, კლოზე (20. კნოხე), როდრიგესი - ლუის გუსტავო, ჟუნიორ მალანდა (61. დ. კალიჯური) - პერიშიჩი (77. ოხსი), არნოლდი, დე ბრუინი - ოლიჩი.

**აინტრახტი (4-2-2-2):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, მადლუნგი, ჯაპკა - ლანიგი (74. კადლეცი), ფლუმი - შრიოკი (61. როზენტალი), ბარნეტა (87. შტენდერა) - აიგნერი, ხოსელუ.

**გაფრთხილება:** ლუის გუსტავო, როდრიგესი - ჯაპკა, ფლუმი, სამბრანო, როზენტალი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 22(9)-11(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 29 159

### მაინცი-აუგსბურგი 3:0

**გოლები:** 1:0 ბუნგერტი (23), 2:0 ჰიტცი (38-საკ. კარში), 3:0 გაისი (83)

**მაინცი (4-2-3-1):** კარიუსი - პოსპეხი, ბუნგერტი, ბელი, პარკი - მორიტცი (90. სოტო), გაისი - ნ. მიულერი (77. მალი), კოო (86. ზიმლინგი), ჩუპო-მორინგი - ოკაზაკი.

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ჰიტცი - ვერჰეგი (74. მიოლდერსი), კალსენ-ბრაკერი, კლავანი (30. ჰონგი), ოსტრცოლეკი - ფოგტი, ბაიერი - ჰანი, ჰალილ ალთინთოფი, ტო. ვერნერი (37. ესვაინი) - ბობადილია.

**გაფრთხილება:** ნ. მიულერი - ჰალილ ალთინთოფი, ჰანი

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14(7)-12(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 014

### ფრაიბურგი-ნიურნბერგი 3:2

**გოლები:** 0:1 პოგატეცი (7), 1:1 კრმასი (23), 1:2 დრმიჩი (45-პენ), 2:2 მეჰმედი (53-პენ), 3:2 კლაუსი (65)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ზორგი, კრმასი, გინტერი, გიუნტერი - შუსტერი, დარიდა - კლაუსი, შმიდი (92. კერკი) - გუედე (81. ფერნანდესი), მეჰმედი (89. ცულეხნერი).

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - ანგა, შტარკი (46. პეტრაკი/76. პინოლა), პოგატეცი, პლატენჰარდტი - ფრანტცი (71. პეკჰარტი) - ფოილნერი, კამპანა, კიოტაკე, ჰლუსეკი - დრმიჩი.

**გაფრთხილება:** კრმასი, შუსტერი - შტარკი, კამპანა, ანგა

**გაძევება:** პოგატეცი (94. ნიურნბერგი)

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 16-22; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14(7)-9(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 24 000

### გლადბახი-ჰამბურგი 3:1

**გოლები:** 0:1 ზუა (28), 1:1 დემსი (37), 2:1 რაფაელი (75), 3:1 ალვარო დომინგესი (78)

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი - იანწკე, შტრანცლი (63. ბრუვერსი), ალვარო დომინგესი, დემსი - ნორდტვეიტი, კრამერი - ჰერმანი (86. რუპი), არანგო - რაფაელი ([illegible]) - [illegible]

**ჰამბურგი (4-4-1-1):** ადლერი - დიკმაიერი (83. ირაჩეკი), ჯურუ, მანსიენი, ვესტერმანი - ზუა, რინკონი, არსლანი (83. ტეშე), ჩალჰანოღლუ - ვან დერ ვაარტი - ლასოგა (46. ჯონი).

36-ე წუთზე დემსმა (გლადბახი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** მანსიენი

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 17(9)-17(7); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 53 650

### ჰანოვერი-ვერდერი 1:2

**გოლები:** 1:0 ჰუსტი (43), 1:1 დი სანტო (57), 1:2 პრიოდლი (90)

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჰ. საკაი, ჰოფმანი, კ. შულცი, პრიბი - ანდრეასენი, სანე (63. ბიტენკური) - შტინდლი, ჰუსტი - შლაუდრაფი (91. სულეიმანი), რუდნევსი (75. ია კონანი).

**ვერდერი (4-2-3-1):** ვოლფი - ფრიტცი, პრიოდლი, კალდიროლა, გარსია - ბარგფრედე, მაკიადი (91. ლუკიმია) - იუნუზოვიჩი, ჰანტი (84. გებრე სელასი), ელია (79. ნ. პეტერსონი) - დი სანტო.

**გაფრთხილება:** შტინდლი - პრიოდლი

**კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 0-9; **კარში დარტყმა:** 9(4)-11(6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 49 000

### მომდევნო ტური

4 აპრილი: ჰამბურგი-ლევერკუზენი

5 აპრილი: შტუტგარტი-ფრაიბურგი, ვერდერი-შალკე, ნიურნბერგი-გლადბახი, აუგსბურგი-ბაიერნი, აინტრახტი-მაინცი, დორტმუნდი-ვოლფსბურგი

6 აპრილი: ბრაუნშვაიგი-ჰანოვერი, ჰერტა-ჰოფენჰაიმი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 28 | 25 | 3 | 0 | 82-16 | 78 |
| 2. დორტმუნდი | 28 | 17 | 4 | 7 | 62-31 | 55 |
| 3. შალკე | 28 | 16 | 6 | 6 | 53-37 | 54 |
| 4. ლევერკუზენი | 28 | 15 | 3 | 10 | 47-34 | 48 |
| 5. ვოლფსბურგი | 28 | 14 | 5 | 9 | 48-42 | 47 |
| 6. გლადბახი | 28 | 13 | 6 | 9 | 49-34 | 45 |
| 7. მაინცი | 28 | 13 | 5 | 10 | 41-43 | 44 |
| 8. აუგსბურგი | 28 | 11 | 6 | 11 | 40-43 | 39 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 28 | 9 | 9 | 10 | 63-62 | 36 |
| 10. ჰერტა | 28 | 10 | 6 | 12 | 36-39 | 36 |
| 11. აინტრახტი | 28 | 8 | 8 | 12 | 35-48 | 32 |
| 12. ვერდერი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-54 | 32 |
| 13. ჰანოვერი | 28 | 8 | 5 | 15 | 36-51 | 29 |
| 14. ფრაიბურგი | 28 | 7 | 8 | 13 | 33-50 | 29 |
| 15. ნიურნბერგი | 28 | 5 | 11 | 12 | 34-52 | 26 |
| 16. შტუტგარტი | 28 | 6 | 6 | 16 | 42-57 | 24 |
| 17. ჰამბურგი | 28 | 6 | 6 | 16 | 43-59 | 24 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 28 | 5 | 7 | 16 | 25-50 | 22 |

**ბომბარდირები:** 17 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 14 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

### II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

**ფორტუნა-ინგოლშტადტი 0:0**

**ზანკტ პაული-ფიურტი 2:2**

**გოლები:** 1:0 შახტენი (66), 1:1 რიოკერი (75), 1:2 აზემი (78), 2:2 თორანდტი (85)

**დინამო-ზანდჰაუზენი 0:0**

**ბოხუმი-აუე 1:0**

**გოლი:** 1:0 სუკუტა-პასუ (50)

**კარლსრუე-კაიზერსლაუტერნი 2:2**

**გოლები:** 1:0 ტორესი (26), 1:1 ცოლერი (53), 1:2 ცოლერი (67), 2:2 ნაზაროვი (89)

**ფრანკფურტი-პადერბორნი 1:3**

**გოლები:** 0:1 კაჩუნგა (17), 0:2 ზალიკი (52), 0:3 ზალიკი (55-პენ), 1:3 ბერტელსი (80-საკ. კარში)

**მიუნხენ 1860-კიოლნი 0:1**

**გოლი:** 0:1 ფინე (85)

**არმინია-აალენი 0:0**

**31 მარტი**

**უნიონი-კოტბუსი 22:15**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიოლნი | 28 | 15 | 10 | 3 | 41-15 | 55 |
| 2. ფიურტი | 28 | 14 | 7 | 7 | 51-33 | 49 |
| 3. პადერბორნი | 28 | 14 | 7 | 7 | 52-42 | 49 |
| 4. კაიზერსლაუტ. | 28 | 12 | 7 | 9 | 41-29 | 43 |
| 5. ზანკტ პაული | 28 | 12 | 7 | 9 | 36-34 | 43 |
| 6. კარლსრუე | 28 | 10 | 11 | 7 | 37-27 | 41 |
| 7. ზანდჰაუზენი | 28 | 11 | 8 | 9 | 24-23 | 41 |
| 8. უნიონი | 27 | 10 | 9 | 8 | 39-34 | 39 |
| 9. მიუნხენ 1860 | 28 | 10 | 8 | 10 | 29-31 | 38 |
| 10. ინგოლშტადტი | 28 | 9 | 8 | 11 | 28-30 | 35 |
| 11. ფრანკფურტი | 28 | 9 | 7 | 12 | 38-42 | 34 |
| 12. აალენი | 28 | 8 | 10 | 10 | 26-33 | 34 |
| 13. აუე | 28 | 9 | 7 | 12 | 34-42 | 34 |
| 14. ფორტუნა | 28 | 8 | 10 | 10 | 27-38 | 34 |
| 15. ბოხუმი | 28 | 9 | 6 | 13 | 24-32 | 33 |
| 16. დინამო | 28 | 4 | 15 | 9 | 28-40 | 27 |
| 17. არმინია | 28 | 7 | 6 | 15 | 32-51 | 27 |
| 18. კოტბუსი | 27 | 6 | 5 | 16 | 32-43 | 23 |

**ბომბარდირები:** 14 - ზალიკი (პადერბორნი); 13 - ცოლერი (კაიზერსლაუტერნი); 12 - სილვესტრი (აუე); 10 - ბენშოპი (ფორტუნა), კაპლანი (ფრანკფურტი), მატუშკა (უნიონი), მეჰა (პადერბორნი), სანოგო (კოტბუსი).

### III ბუნდესლიგა

**ზაარბრიუკენი-დუისბურგი 0:2, დარმშტადტი-ჰალეშერი 4:1, ჰანზა-შტუტ. კიკერსი 2:2, ოსნაბრიუკი-ჰოლშტაინ კილი 4:0, უნტერჰახინგი-ვეენი 1:1, ჰაიდენჰაიმი-ერფურტი 2:1, რეგენსბურგი-ლაიპციგი 0:3, ხემნიტცი-ბურგჰაუზენი 1:0, დორტმუნდი II-პროისენ მიუნსტერი 1:1, შტუტგარტი II-ელვერსბერგი 2:1.**

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტური



„ბილბაო"-„ატლეტიკო" 1:2. გამარჯვების გოლი კოკემ (მარცხნივ) ფილიპე ლუიშის პასით გაიტანა

# ატლეტიკომ ატლეტიკსაც მოუგო

**„ატლეტიკომ" და „ბარსელონამ" ურთულეს შეხვედრებში იმარჯვეს და ჩემპიონთა ლიგაში გასამართი მატჩის წინ პოზიციები შეინარჩუნეს. იოლ გამარჯვებას მიაღწია მადრიდის „რეალმა", ვინც ზედიზედ ორი წაგების შემდეგ, ჯავრი „რაიო ვალეკანოზე" იყარა.**

### ესპანიოლი სხვას ნუ დააბრალებს

კატალონიური დერბი და „ათლეტებს" დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე ლიდერს საკმაოდ გაუჭირდა. „ბარსელონამ" **ლიონელ მესის** მიერ ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანის, „ატლეტიკომ" კი **კოკეს** კარგი თამაშის წყალობით მოიგო.

ტური კატალონიური დერბით დაიწყო. ბარსელონის ორი კლუბის დაპირისპირება, როდესაც მატჩი „ესპანიოლის" მოედანზე იმართება, ყოველთვის დაძაბული და დრამატული გამოდის და გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. მასპინძლებმა გამარჯვებისთვის, ან თუნდაც ქულის აღებისთვის ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ერთმა მოდუნებამ **ხავიერ აგირეს** შეგირდებს მთელი შრომა წყალში ჩაუყარა. შეხვედრის 76-ე წუთზე, მასპინძელთა მარჯვენა მცველმა **ხავი ლოპესმა, ნეიმართან** საჰაერო ორთაბრძოლის დროს ბურთს ხელი მიარტყა, რის გამოც არბიტრმა „ესპანიოლის" კარში პენალტი დანიშნა, რომელიც მესიმ გამოიყენა. ყველაფერი კი 83-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც კარიდან გამოსულმა **კიკო კასილიამ**, საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და არბიტრისგან წითელი ბარათი მიიღო. იმის გამო, რომ მასპინძლებს სამივე ცვლილება განხორციელებული ჰქონდათ, კარში **დავიდ ლოპესი** ჩადგა, ვის კარსაც „ბარსელონა" სახიფათოდ აღარ დამუქრებია.

ყველაზე რეალური მომენტები **ხერარდო მარტინოს** გუნდს გოლამდე ჰქონდა. პირველ ტაიმში ნეიმარმა მცირე სასწაული მოახდინა და სამი მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა, მეორე ნახევარში კი დაახლოებით იმავე პოზიციიდან **პიკემ** ვერ გაიტანა - ბურთი ხარიხას მოხვდა.

ამ გამარჯვებით „ბარსელონა" დროებით პირველ ადგილზე გადავიდა და დიდი იყო შანსი, ტურის დასრულების შემდეგაც იქვე ყოფილიყო - კონკურენტი „ატლეტიკო" ხომ ბილბაოში თამაშობდა...

### კოკეს გოლი და პასი

მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა **კოკემ**, რომელმაც საკუთარი გუნდის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაში წვლილი გოლით და საგოლე პასით შეიტანა. აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩემპიონობის მაძიებელ სამეულს შორის ყველაზე რთული კალენდარი სწორედ **დიეგო სიმეონეს** გუნდს აქვს. „ბარსელონასთან" გასამართ ბოლო ტურის შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ყველაზე მეტად „როხიბლანკოს" სწორედ ბასკეთის დედაქალაქში უნდა გაჭირვებოდა.

გაჭირვებით კი გაუჭირდა, მაგრამ მადრიდელები შინ მაინც სამი ქულით და ლიდერის რანგში დაბრუნდნენ. არადა, თავიდან დაწინაურება მასპინძლებმა მოახერხეს - **იკერ მუნიაინმა** „ატლეტიკოს" მცველების დაბნეულობით ისარგებლა, **კურტუასთან** პირისპირ გავიდა და ბელგიელ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

შეხვედრის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი **ანდერ იტურასპეს** შეცდომა იყო. ბასკთა საყრდენმა ნახევარმცველმა ძალიან ცუდი პასი გააკეთა, რომელიც ჩასაფრებულმა კოკემ ჩაჭრა, რის შემდეგაც **დიეგო კოშტა** კარისკენ გაიქცა, რაც, როგორც წესი, გოლით სრულდება ხოლმე. ამჯერადაც ასე იყო - ესპანეთის ნაკრების წევრის დარტყმას **ირაისოსმა** ვერაფერი მოუხერხა და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმში „სან მამეს ბარიაზე" შეკრებილმა მაყურებლებმა მხოლოდ ერთი გოლი იხილეს, რომელიც თავიდან ბოლომდე იმავე კოკეს შექმნილი იყო. ახალგაზრდა ფეხბურთელმა შეტევა წამოიწყო, ბურთი **ფილიპე ლუიშს** გადააწოდა, უკანასკნელის ჩაწოდებულს კი თავი შეუშვირა და იერიში თავადვე დაასრულა - 1:2.

„ატლეტიკომ" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. მართალია, მადრიდელებს წინ კიდევ რამდენიმე რთული შეხვედრა ელით („ვილიარეალთან" შინ და „ვალენსიასთან" სტუმრად), მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დიეგო სიმეონეს გუნდმა ამ სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზეც" იმარჯვა და აგერ, ბილბაოდანაც სამი ქულა წაიღო. შვიდი წარმატებული თამაში და შესაძლოა, ევროპული სეზონის მთავარი სენსაციის მომსწრენიც გავხდეთ.

### დახუთული რაიო

„რეალმა" „ბარსელონას" და „სევილიას" ჯავრი თანაქალაქელ „რაიო ვალეკანოზე" ამოიყარა და მეტოქეს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა **კრიშტიანო რონალდომ**, რომელმაც ბომბარდირთა დავაში არსებული პარიტეტი არ დაარღვია, სამაგიეროდ ორჯერ გამოიჩინა თავი **გარეთ ბეილმა**, ,რომლის მეორე გოლიც ნამდვილი შედევრი იყო – უელსელმა ბურთი საკუთარი საჯარიმოდან წაიღო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ისე გაიტანა".

თითო გოლი კი საკუთარ აქტივში „სამეფო კლუბის" აღზრდილებმა, **დანიელ კარვახალმა** და **ალვარო მორატამ** ჩაიწერეს.

კარვახალმა ლა ლიგაში თავისი პირველი ბურთი შეაგდო, მორატას გოლი კი განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა - ახალგაზრდა ფეხბურთელმა ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო და საჯარიმოში შესულმა შორეულ კუთხეში ჩაახვია.

„რეალმა" „ვალეკანოს" ზედიზედ მე-12 მატჩი მოუგო და ამ პერიოდში „ელვებს" 35 გოლი გაუტანა. **კარლო ანჩელოტის** გუნდისთვის გადამწყვეტი მომდევნო ტურის თამაში იქნება - „რეალი" „ანოეტას" ეწვევა. „სოსიედადის" შემდეგ, მადრიდელებს ისეთი თამაშები აქვთ, წესით, ექვსივე უნდა მოიგონ.

ამ ტურის მატჩებიდან, ასევე აღსანიშნავია „ვალიადოლიდის" გამარჯვება, რომელმაც ერთ-ერთ კონკურენტ „ალმერიას" მოუგო და სატურნირო ცხრილში გადაასწრო კიდეც. 5-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა „ოსასუნამ", ვინც „სოსიედადს" ქულა აართვა. ვერ მოიგო „ვილიარეალმაც", რაც ნიშნავს იმას, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი ოთხეულიდან, ამ ტურში 3 ქულა ვერავინ აილო - „ატლეტიკი" და „სევილია" დამარცხდნენ, „სოსიედადმა" და „ვილიარეალმა" კი თითო ქულა მოიპოვეს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

## პორტუგალია

### პრიმეირა ლიგა. XXV ტური

**ბელენენსეში-პ. ფერეირა 1:1**

გოლები: 0:1 ბებე (53), 1:1 ტიაგო კაეირო (69)

**სპორტინგი-გიმარაეში 1:0**

გოლი: 1:0 როხო (49)

**სპორტინგი (4-3-3):** რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, როხო, ჟეფერსონი - ადრიენ სილვა, ვილიამ კარვალიო, კარლოს მანე (80. ანდრე მარტინში) - ელდონი (46. ფ. მონტერო), სლიმანი (73. ა. კარილიო), დიეგო კაპელი

**აროუკა-სეტუბალი 1:0**

გოლი: 1:0 ლასადი (73)

**აკადემიკა-ოლიანენსე 2:1**

გოლები: 1:0 მარკოს პაულო (34-პენ), 1:1 პაულო სერჟიო (55), 2:1 მარკოს პაულო (77-პენ)

**ეშტორილი-რიო ავე 0:1**

გოლი: 0:1 აჰმედ ჰასან კოკა (76)

**ჟილ ვისენტე-მარიტიმო 1:1**

გოლები: 0:1 დერლეი (17-პენ), 1:1 დიოგო ვიანა (58)
**შენიშვნა:** ავთო ებრალიძემ 61 წუთი ითამაშა

**ბრაგა-ბენფიკა 0:1**

გოლი: 0:1 ლიმა (13)

**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - სილვიო, გარაი, ლუიზაო, სიკეირა - ფეისა, ე. პერესი (68. რუბენ ამორიმი), გაიტანი - ლიმა, როდრიგო (90. ანდრე გომეში), ლ. მარკოვიჩი (86. სალვიო)

**ნასიონალი-პორტუ 2:1**

გოლები: 1:0 კანდეიასი (19), 1:1 ჯ. მარტინესი (46), 2:1 მ. რონდონი (48)

**პორტუ (4-3-3):** ფაბიანო - დანილო, დ. რეიესი, ა. ბა (77. კარლოს ედუარდო), ალექს სანდრო - ფერნანდო, დეფური (46. კინტერო), ე. ერერა - კვარეშმა, ლიკა (46. გილასი), ჯ. მარტინესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 25 | 20 | 4 | 1 | 48-15 | 64 |
| 2. სპორტინგი | 25 | 17 | 6 | 2 | 47-17 | 57 |
| 3. პორტუ | 25 | 15 | 4 | 5 | 45-20 | 49 |
| 4. ეშტორილი | 25 | 12 | 7 | 6 | 36-24 | 43 |
| 5. ნასიონალი | 25 | 9 | 11 | 5 | 35-28 | 38 |
| 6. აკადემიკა | 25 | 8 | 8 | 9 | 18-26 | 32 |
| 7. ბრაგა | 25 | 9 | 5 | 11 | 34-31 | 32 |
| 8. გიმარაეში | 25 | 9 | 4 | 12 | 25-26 | 31 |
| 9. რიო ავე | 25 | 8 | 7 | 10 | 20-25 | 31 |
| 10. მარიტიმო | 25 | 8 | 7 | 10 | 34-40 | 31 |
| 11. სეტუბალი | 25 | 8 | 6 | 11 | 32-37 | 30 |
| 12. ჟილ ვისენტე | 25 | 7 | 6 | 12 | 22-33 | 27 |
| 13. აროუკა | 25 | 6 | 7 | 12 | 24-36 | 25 |
| 14. პ. ფერეირა | 25 | 6 | 5 | 14 | 25-46 | 23 |
| 15. ბელენენსეში | 25 | 3 | 9 | 13 | 13-30 | 18 |
| 16. ოლიანენსე | 25 | 4 | 6 | 15 | 16-40 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ჯ. მარტინესი (პორტუ); 13 - ფ. მონტერო (სპორტინგი), დერლეი (მარიტიმო); 12 - ლიმა (ბენფიკა); 11 - რაფაელ მარტინში (სეტუბალი)

### ესპანიოლი-ბარსელონა 0:1

**გოლი:** 0:1 მესი (77-პენ)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო (49. სიდნეი), ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი - სტუანი, პიცი (65. ალექსი), სიმაო (78. ჯ. კორდობა) - სერხიო გარსია

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი (90. სერხი რობერტო) - პედრო (77. ინიესტა), მესი, ნეიმარი (81. ა. სანჩესი)

**გაფრთხილება:** სტუანი, კოლოტო, ხავი ლოპესი, ვიქტორ სანჩესი - ბუსკეტსი, ალბა

**გაძევება:** კასილია (83. ესპანიოლი)

**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 24-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-20 (1-8); **ბურთის ფლობა:** 28%-72%

**მაყურებელი:** 31 666

### სელტა-სევილია 1:0

**გოლი:** 1:0 ნოლიტო (87-პენ)

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, ინიგო ლოპესი, ფონტასი, ჯონი კასტრო - კრონ-დელი, რაფაელ ალკანტარა (80. აურტენეჩე), ა. ფერნანდესი - ალექს ლოპესი (50. ფ. ორელიანა), ნოლიტო - შარლესი (73. ბერმეხო)

**სევილია (4-4-2):** ხავი ვარასი - კოკე, ფასიო, პარეხა, ფ. ნავარო - ვიტოლო (73. ხაირო სამპერიო), რაკიტიჩი, იბორა, ტროხოვსკი (73. ხ. რეიესი) - გამეირო (84. ა. მორენო), ბაკა

**გაფრთხილება:** ფონტასი - გამეირო, იბორა, ფასიო, ხაირო სამპერიო

**კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 14-10 (4-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 19 366

### ბილბაო-ატლეტიკო 1:2

**გოლები:** 1:0 მუნიაინი (6), 1:1 დიეგო კოშტა (22), 1:2 კოკე (55)

**ბილბაო (4-3-2-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე, დე მარკოსი (78. ტოკერო), მიკელ რიკო (82. ბენიატი) - სუსაეტა (72. გილიერმო), მუნიაინი - ადურისი

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მარიო სუარესი, გაბი - კოკე, რაულ გარსია (82. კ. როდრიგესი), ხ. სოსა (57. არდა თურანი) - დიეგო კოშტა (90. ვილია)

**გაფრთხილება:** იტურასპე, ლაპორტი, მუნიაინი, ბალენსიაგა - გაბი, გოდინი

**გაძევება:** ლაპორტი (86. ბილბაო)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 0-9; **კარში დარტყმა:** 13-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 33 000

### რეალი-ვალეკანო 5:0

**გოლები:** 1:0 კრიშტიანო რონალდო (15), 2:0 დანიელ კარვახალი (55), 3:0 ბეილი (68), 4:0 ბეილი (70), 5:0 მორატა (78)

**რეალი (4-3-3):** დიეგო ლოპესი - დანიელ კარვახალი, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, ილიარამენდი (62. ისკო), დი მარია (70. კაზემირო) - ბეილი, ბენზემა (73. მორატა), კრიშტიანო რონალდო

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია, ბორხა ლოპესი, ზე კასტრო, რაცი - საულ ნიგესი, ტრაშორასი - რუბენ როჩინა (25. ხოსე კარლოსი), ბუენო (59. ხ. ვიერა), იაგო ფალკე - ლარივეი (70. ლონგო)

**გაფრთხილება:** დანიელ კარვახალი - .

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 16-15 (7-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 60 174

### ვალიადოლიდი-ალმერია 1:0

**გოლი:** 1:0 მანუჩო (6)

**ვალიადოლიდი (4-4-2):** ხაიმე - რუკავინა, ხესუს რუედა, მარკ ვალიენტე, პენია - დ. ლარსონი (85. ომარ რამოსი), ვიქტორ პერესი, ა. რუბიო (74. ფ. როსი), ოსკარი - მანუჩო, ხავი გერა (73. ჟეფრენი)

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, მანე - ტებარი, კორონა (82. აზიზი) - სუსო, სორიანო (60. ზონგო), ალექს ვიდალი - ოსკარ დიასი (67. როდრი)

**გაფრთხილება:** რუკავინა, დ. ლარსონი - ტორსილიერი

**გაძევება:** ტორსილიერი (75. ალმერია)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 20-14 (8-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 15 585

### ოსასუნა-სოსიედადი 1:1

**გოლები:** 0:1 გ. კასტრო (8), 1:1 ორიოლ რიერა (59)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, ლოტიე, არიბასი, დამია (86. ოიერი) - ფ. სილვა, ლოე - სეხუდო (73. ლობატო), რობერტო ტორესი, ე. არმენტეროსი (37. დე ლას კუევასი) - ორიოლ რიერა

**სოსიედადი (4-3-2-1):** ბრავო - კ. მარტინესი (89. ანსოტეგი), მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელია - ბერგარა, ელუსტონდო, სურუტუსა (79. კანალესი) - ველა, გ. კასტრო (68. გრიზმანი) - აგირეჩე

**გაფრთხილება:** ე. არმენტეროსი, დე ლას კუევასი, ლოე, ლოტიე, არიბასი - ველა, კასტრო, დე ლა ბელია, მ. გონსალესი, კანალესი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-10 (4-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 14 137

### ვილიარეალი-ელჩე 1:1

**გოლები:** 0:1 დ. სუარესი (31-პენ), 1:1 ხ. პერეირა (44)

**ვილიარეალი (4-4-2):** ასენხო - მარიო, პანტიჩი, გაბრიელ პაულისტა, ხაუმე კოსტა - მოისესი (76. ოლივერ ტორესი), პინა (79. ტრიგეროსი), ბრუნო, კანი - პერბე, ხ. პერეირა (70. ი. უჩე)

**ელჩე (4-3-2-1):** მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ს. პელეგრინი, სისმა - რუბენ პერესი, კ. სანჩესი (71. რივერა), ხავი მარკესი (81. გარი როდრიგესი) - ფიდელი (59. კარლეს ხილი), კორომინასი - კრისტიან ერერა

**გაფრთხილება:** ხაუმე კოსტა - დ. სუარესი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (3-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 15 172

### ვალენსია-ხეტაფე 1:3

**გოლები:** 1:0 ე. ვარგასი (6), 1:1 ლაფიტა (25), 1:2 მარიკა (27), 1:3 პედრო ლეონი (88)

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, სენდეროსი, მატიო, ხუან ბერნატი - ხავი ფუეგო (77. ვინისიუს არაუჟო), ორიოლ რომეუ (46. ფეგული) - ე. ვარგასი, დანი პარეხო, კარტაბია - ჟონასი (59. პაკო ალკასერი)

**ხეტაფე (4-3-2-1):** კოდინა - ა. აროიო, ლისანდრო ლოპესი, რაფა (77. ლასენი), ს. ესკუდერო (57. ალექსისი) - ხუან როდრიგესი (46. პ. სარაბია), ბორხა, მოსკერა - პედრო ლეონი, ლაფიტა - მარიკა

**გაფრთხილება:** მატიო, დანი პარეხო, სენდეროსი - ს. ესკუდერო, პედრო ლეონი, ლისანდრო ლოპესი, მოსკერა, პედრო ლეონი

**გაძევება:** მატიო (89. ვალენსია)

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 19-11 (3-6); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 32 300

### 31 მარტი

**გრანადა-ლევანტე** 22:00
**ბეტისი-მალაგა** 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 31 | 24 | 4 | 3 | 69-22 | 76 |
| 2. ბარსელონა | 31 | 24 | 3 | 4 | 89-25 | 75 |
| 3. რეალი | 31 | 23 | 4 | 4 | 86-32 | 73 |
| 4. ბილბაო | 31 | 16 | 8 | 7 | 53-34 | 56 |
| 5. სევილია | 31 | 14 | 8 | 9 | 55-46 | 50 |
| 6. სოსიედადი | 31 | 14 | 8 | 9 | 54-44 | 50 |
| 7. ვილიარეალი | 31 | 14 | 7 | 10 | 51-37 | 49 |
| 8. ესპანიოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 34-36 | 40 |
| 9. ვალენსია | 31 | 11 | 7 | 13 | 44-45 | 40 |
| 10. ლევანტე | 30 | 9 | 10 | 11 | 27-38 | 37 |
| 11. სელტა | 31 | 10 | 6 | 15 | 34-44 | 36 |
| 12. გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28-40 | 34 |
| 13. ვალეკანო | 31 | 10 | 3 | 18 | 34-68 | 33 |
| 14. მალაგა | 30 | 8 | 8 | 14 | 29-38 | 32 |
| 15. ელჩე | 31 | 7 | 11 | 13 | 25-42 | 32 |
| 16. ხეტაფე | 31 | 8 | 7 | 16 | 29-48 | 31 |
| 17. ვალიადოლიდი | 31 | 6 | 12 | 13 | 32-50 | 30 |
| 18. ალმერია | 31 | 8 | 6 | 17 | 33-58 | 30 |
| 19. ოსასუნა | 31 | 8 | 6 | 17 | 26-52 | 30 |
| 20. ბეტისი | 30 | 5 | 7 | 18 | 26-59 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - კარლოს ბაკა (სევილია), პედრო (ბარსელონა)

### მომდევნო ტური

4 აპრილი: ალმერია-ოსასუნა

5 აპრილი: ატლეტიკო-ვილიარეალი, ბარსელონა-ბეტისი, სოსიედადი-რეალი, რაიო ვალეკანო-სელტა

6 აპრილი: მალაგა-გრანადა, ელჩე-ხეტაფე, სევილია-ესპანიოლი, ვალიადოლიდი-ვალენსია

7 აპრილი: ლევანტე-ბილბაო

## სეგუნდა დივიზიონი.

### XXXII ტური

**პონფერადინა-რეალი B 0:0**

**კორდობა-მურსია 1:1**

გოლები: 1:0 ლოპეს სილვა (46), 1:1 მალონგა (57)

**მალიორკა-უელვა 0:0**

**ეიბარი-ბარსელონა B 0:0**

**დეპორტივო-ტენერიფე 1:1**

გოლები: 1:0 ლოპო (3), 1:1 რიკარდო (65-პენ)

**ნუმანსია-მირანდესი 0:1**

გოლი: 0:1 პაბლო (70)

**ლას პალმასი-სპორტინგი 2:1**

გოლები: 1:0 არანდა (51), 1:1 ლეკიჩი (70), 2:1 მომო (85-პენ)

**ხაენი-ერკულესი 1:1**

გოლები: 0:1 პაჯიჩი (22), 1:1 კრუსი (32)

**ჟირონა-ალკორკონი 3:1**

გოლები: 1:0 ხერარდ ბორდასი (41), 2:0 ტიმორი (60), 2:1 ჩემა (80), 3:1 ხუანლუ პენსი (90)

**საბადელი-ლუგო 1:0**

გოლი: 1:0 ტანაბე (3)

**ალავესი-სარაგოსა 2:2**

გოლები: 1:0 ვიგერა (5), 1:1 როხერ მარტი (26), 1:2 პაკო მონტანიესი (57), 2:2 მ. კიროგა (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეიბარი | 32 | 15 | 10 | 7 | 41-23 | 55 |
| 2. დეპორტივო | 32 | 15 | 9 | 8 | 34-24 | 54 |
| 3. ლას პალმასი | 32 | 14 | 9 | 9 | 38-32 | 51 |
| 4. სპორტინგი | 32 | 12 | 13 | 7 | 52-43 | 49 |
| 5. უელვა | 32 | 13 | 9 | 10 | 46-43 | 48 |
| 6. ბარსელონა B | 32 | 13 | 6 | 13 | 39-38 | 45 |
| 7. ტენერიფე | 32 | 12 | 9 | 11 | 39-37 | 45 |
| 8. მურსია | 32 | 10 | 14 | 8 | 38-35 | 44 |
| 9. მალიორკა | 32 | 11 | 11 | 10 | 41-45 | 44 |
| 10. საბადელი | 32 | 13 | 5 | 14 | 39-46 | 44 |
| 11. ლუგო | 32 | 11 | 10 | 11 | 31-36 | 43 |
| 12. ნუმანსია | 32 | 9 | 16 | 7 | 32-27 | 43 |
| 13. მირანდესი | 32 | 11 | 8 | 13 | 31-37 | 41 |
| 14. ხაენი | 32 | 10 | 10 | 12 | 35-36 | 40 |
| 15. სარაგოსა | 32 | 10 | 10 | 12 | 38-41 | 40 |
| 16. კორდობა | 32 | 10 | 10 | 12 | 33-37 | 40 |
| 17. ერკულესი | 32 | 10 | 10 | 12 | 36-47 | 40 |
| 18. რეალი B | 32 | 11 | 6 | 15 | 40-43 | 39 |
| 19. პონფერადინა | 32 | 9 | 11 | 12 | 35-38 | 38 |
| 20. ალკორკონი | 32 | 9 | 10 | 13 | 29-30 | 37 |
| 21. ალავესი | 32 | 8 | 10 | 14 | 43-46 | 34 |
| 22. ჟირონა | 32 | 7 | 12 | 13 | 37-43 | 33 |

**ბომბარდირები:** 21 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 19 - ვიგერა (ალავესი); 16 - აიოსე პერესი (ტენერიფე); 15 - კოკე (მურსია); 14 - ხ. მეხია (ხაენი)

● იტალია. სერია A. XXXI ტური

# იუვე ნეაპოლში გაჩერდა

## თუ რომამ გადადებული მატჩი მოიგო...

31-ე ტურის მთავარი მატჩი „სტადიო სან პაოლოზე“ გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ“ „იუვენტუსს“ უმასპინძლა. იქამდე, „მილანმა“ მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო, „რომამ“ კი გასვლაზე „სასუოლო“ დაიბრიყვა.

### მეორე მარცხი

ტურის ცენტრალური მატჩი ნეაპოლში შედგა, სადაც „იუვენტუსმა“ ჩემპიონატში მეორე მარცხი განიცადა. „ნაპოლიმ“ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს და სრულიად დამსახურებულად დაამარცხა. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება. პირველი გოლი **ხოსე კალეხონმა** გაიტანა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, **ლორენცო ინსინიეს** პასი შეირგო და ბურთი ბადეში გაახვია - 1:0. ტურინელთა იმედი შეცვლაზე შესულმა **დრის მერტენსმა** მოკლა, რომელმაც მცველთან ბრძოლაში დაიმორჩილა ბურთი და უზუსტესი დარტყმით მეკარისაგან მარცხენა დაბალი კუთხე დალაშქრა - 2:0.

„იუვენტუსი“ ნეაპოლში შეფერხდა, „სტადიო სან პაოლოზე“ დაასრულა ბრწყინვალე წაუგებელი სერია და შესაძლოა, ამით „რომას“ სკუდეტოს მოპოვების მცირე იმედი დაუბრუნდა.

### კაკამ გაინავარდა

ფლორენციაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „მილანმა“ „კიევოს“ უმასპინძლა და ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. ლომბარდიულმა გრანდმა ალმაფრენით ითამაშა და ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც **მარიო ბალოტელიმ** გახსნა ანგარიში, შემდეგ კი **რიკარდო კაკას** ჯერი დადგა: ბრაზილიელმა დუბლი მიითვალა და ის კაკა გაგვახსენა, რომელიც ძველ, კარგ დროს, „მილანში“ ბრწყინავდა. სტუმრებს შეეძლოთ ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს.

ალვნიშნოთ, რომ **კეისუკე ჰონდამ** საუკეთესო მილანური მატჩი ჩაატარა და შესანიშნავი საგოლე პასიც გააკეთა - კაკასთან ერთად, ყველაზე ნაყოფიერი შეტევაში სწორედ იაპონელი გახლდათ. ბევრი იშრომა ბალოტელიმაც - ბევრი ირბინა და პერიოდულად, პოზიციასაც იცვლიდა. მოკლედ, „მილანმა“ „კიევო“ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა, **კლარენს ზეედორფი** კი შეგირდებს ემადლიერებოდა:

*„როგორც იქნა, ვაჩვენეთ ის თამაში, რომელსაც გულშემატკივრები ელოდნენ. ჩვენი მიზანი ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა და თუ ასე გავაგრძელებთ, გამორიცხული არაფერია. ფეხბურთელები მოტივირებულნი არიან და ყველანაირად ვეცდებით, წარმატებული სერია გავაგრძელოთ. ჰონდამ შესანიშნავად ითამაშა და გოლს იმსახურებდა, კაკა კი უბრალოდ საუკეთესო იყო. მსურს, მომავალშიც ასეთი „მილანი“ ვიხილო“.*

### დესტროს ისევ გააქვს

„რომა“ „სასუოლოს“ ესტუმრა, ორი უპასუხო გოლი გაუტანა და დამაჯერებლად მოიგო. მატჩის მე-16 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **მატია დესტრო** მეკარესთან პირისპირ დარჩა, ბურთი თავზე გადაუგდო და ბადეში გაახვია. მეორე გოლი **მიშელ ბასტოსის** ანგარიშზეა, რომელიც მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. პირველი ტაიმის მიწურულს, იყო ერთი ეპიზოდი, რომელმაც დიდი რეზონანსი



რიკარდო კაკამ ძველი დრო გაიხსენა

გამოიწვია: „სასუოლოს“ შემტევი რომაელმა მცველმა საჯარიმოში დაანარცხა, რამაც არბიტრი დააბნია - **ნიკოლა რიცოლიმ** ჯერ წაუყრუა ეპიზოდს, შემდეგ თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ბოლოს... ისევ გადაიფიქრა და სადავო ააგდო. მოკლედ, რიცოლი აირია, საბოლოოდ კი „რომას“ საქმე გაკეთდა. ასეა თუ ისე, **რუდი გარსიას** გუნდი უფრო ძლიერი იყო და დამსახურებულად მოიგო.

მატჩის შემდეგ გარსიამ მოკლე კომენტარი გააკეთა და მატია დესტრო შეაქო, რომელიც მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. იტალიელი სპორტული ჟურნალისტები სულ უფრო აქტიურად ითხოვენ, რომ **ჩეზარე პრანდელი** ფსონს დესტროზე ჩავიდეს და ბრაზილიაში მთავარი ფორვარდის სტატუსით წაიყვანოს. მოკლედ, მარიო ბალოტელის სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

### თრილერი რომში

„სტადიო ოლიმპიკოზე“ გულშემატკივრებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალათ - „ლაციომ“ და „პარმამ“ საფეხბურთო თრილერი გამართეს, რომელშიც გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. **ედუარდო რეიას** გუნდი სამჯერ უგებდა მეტოქეს და საბოლოოდ, იძალა კიდეც - 3:2. მოკლედ, „ბიანკოჩელესტემ“ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ არასტაბილურია და შედარებით სუსტ გუნდთან წაგების შემდეგ, შეუძლია გაცილებით ამბიციური მეტოქე ბრწყინვალე სტილში დაამარცხოს. რაც შეეხება „პარმას“, **რობერტო დონადონის** გუნდმა მიჯრით მეორე მატჩი წააგო და შედარებით გაირთულა მდგომარეობა. ემილიელებს ბერგამოს „ატალანტა“ ეწევა, რომელმაც ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა (!). მოკლედ, ევროპალიგის საგზურებისთვის ბრძოლა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს.

საინტერესო ჯახს ველოდით გენუაში, მაგრამ „სამპდორიამ“ და „ფიორენტინამ“ დიდი ვერაფერი ფეხბურთი გააჩალეს. ორივე კართან თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობით შეიქმნა სახიფათო მომენტი და შედეგად, ლოგიკური ფრე მივილეთ - 0:0. „ვიოლა“ სამეულში ველარ შევა და „სამპაც“ უიმედოდ დაშორდა ევროპალიგის ზონას...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### ბოლონია-ატალანტა 0:2

**გოლები:** 0:1 დე ლუკა (22), 0:2 ესტიგარიბია (26).
**ბოლონია (4-4-2):** კურჩი - გარიჩი, ანტონსონი, ნატალი, კერუბინი - კრესპო (46. კრისტალდო), პერესი (46. იბსონი), კრჰინი, ხრისტოდოლოპულოსი - მოსკარდელი, აკვაფრესკა (64. ბიანკი).
**ატალანტა (4-4-2):** კონსილი - ნიცა, სტენდარდო, ლუკინი, დელ გროსო - ესტიგარიბია, კარმონა, ბონავენტურა (82. რაიმონდი), ბაზელი (72. ჩიგარინი) - დე ლუკა, დენისი (66. ლივაია).
**გაფრთხილება:** აკვაფრესკა, მოსკარდელი - ლივაია.
**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 17-5(11-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 21 000

### მილანი-კიევო 3:0

**გოლები:** 1:0 ბალოტელი (4), 2:0 კაკა (27), 3:0 კაკა (54).
**მილანი (4-2-3-1):** აბიატი - ბონერა, ძაკარდო, რამი, ემანუელსონი - დე იონგი (60. პოლი), მუნტარი (45. ესიენი) - ჰონდა, კაკა (74. რობინიო), ტაარაბტი - ბალოტელი.
**კიევო (4-4-2):** აგაცი - სარდო, დაინელი, ფრეი, დრამე (68. ცეზარი) - რადოვანოვიჩი, ჰეტემაი (77. გუარენტე), ბენტივოლიო, ბერნარდინი - ობინა (63. თერეუ), პალოსკი.
**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 10-5(7-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 41 000

### სასუოლო-რომა 0:2

**გოლები:** 0:1 დესტრო (16), 0:2 ბასტოსი (90).
**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო - გაცოლა, კანავარო, მენდესი, ლონგი - ჩიბსა, ბიონდინი (62. ძაძა), მისიროლი - ფლოკარი (75. მაზუჩი), ბერარდი (81. ფარიასი), სანსონე.
**რომა (4-3-3):** დე სანკტისი - ტოროსიდისი, ბენატია, კასტანი, რომანიოლი - ნაინგოლანი, პიანიჩი (73. ტადეი), დე როსი - ფლორენცი, ჟერვინიო (85. ბასტოსი), დესტრო (79. ტოტი).
**გაფრთხილება:** მენდესი - რომანიოლი.
**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 10-11(4-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 18 000

### ვერონა-ჯენოა 3:0

**გოლები:** 1:0 დონადელი (35), 2:0 ტონი (88), 3:0 ტონი (90).
**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე, მარკესი, მორასი, ალბერტაცი - სალა (80. დონატი), დონადელი, ალფრედსონი (90. აგოსტინი) - იტურბე (69. მაიეტა), მარტინიო, ტონი.
**ჯენოა (4-3-3):** პერინი - მოტა (75. კონატე), დე მაიო, მარკეზე, ანტონელი - ბერტოლაჩი, სტურარო (60. ფეტფატციდისი), დე ჩელიე (54. კალაიო) - ჩენტურიონი, სკული, ჯილარდინო.
**გაფრთხილება:** კაჩატორე - ბერტოლაჩი, სტურარო.
**გაძევება:** ალბერტაცი (45. ვერონა).
**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 10-10(6-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 21 000

### ლაციო-პარმა 3:2

**გოლები:** 1:0 ლულიჩი (15), 1:1 ბიაბიანი (26), 2:1 კლოზე (67), 2:2 სიანი (81-საკ. კარში), 3:2 კანდრევა (90).
**ლაციო (4-3-2-1):** მარკეტი - კონკო, ნოვარეტი (11. სიანი), ბიავა, რადუ - ონაზი, მაური (85. პოშტიგა), ცანა (66. კეიტა) - კანდრევა, ლულიჩი - კლოზე.
**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, ფელიპე, გობი (79. მოლინარო) - ასკუა (70. მუნარი), პაროლო, მარკიონი - სკელოტო (68. პალადინო), კასანო, ბიაბიანი.
**გაფრთხილება:** ცანა, კანდრევა, ონაზი - ლუკარელი, ფელიპე, კასანო.
**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10-11(6-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.
**მაყურებელი:** 35 000

### სამპდორია-ფიორენტინა 0:0

**სამპდორია (4-2-3-1):** და კოშტა - დე სილვესტრი, მუსტაფი, გასტალდელო (76. ფორნაზიერი), ბერარდი - პალომბო, კრსტიჩიჩი (82. რენანი) - სორიანო, ედერი, გაბიადინი - მაქსი ლოპესი (68. ოკაკა).
**ფიორენტინა (4-3-2-1):** ნეტო - კუადრადო, დიაკიტე, სავიჩი, ტომოვიჩი - ფერნანდესი (78. ამბროზინი), აკვილანი, ბორხა ვალერო - ვოლსკი (59. ვარგასი), ილიჩიჩი (70. მატოსი) - მატრი.
**გაფრთხილება:** ბერარდი, ოკაკა - სავიჩი, ვოლსკი, მატოსი.
**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16-12(8-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 22 000

### ტორინო-კალიარი 2:1

**გოლები:** 1:0 ელ ქადური (45), 2:0 ჩერჩი (71), 2:1 ნენე (77).
**ტორინო (5-3-2):** პადელი - ბოვო, გლიკი, ბაშა (79. ფარნერუდი), დარმიანი, მაქსიმოვიჩი - კურტიჩი, ვივესი, ელ ქადური (84. პანაიოტისი) - ჩერჩი (90. ვესოვიჩი), მეჯორინი.
**კალიარი (4-3-2-1):** ავრამოვი - პიზანო, როსეტინი, ასტორი, აველარი - კონტი, ერიკსონი (57. ვეჩინო), ეკდალი - იბრაიმი (79. კოსუ), კაბრერა (46. იბარბო) - ნენე.
**გაფრთხილება:** ელ ქადური - როსეტინი, ეკდალი.
**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 11-20; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 17-7(7-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.
**მაყურებელი:** 17 000

### ნაპოლი-იუვენტუსი 2:0

**გოლები:** 1:0 კალეხონი (37), 2:0 მერტენსი (81).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - ენრიკე, ფერნანდესი, ალბიოლი, გულამი - ინლერი, ფრელო - კალეხონი (89. ჯემაილი), ჰამშიკი (79. მერტენსი), ინსინიე - იგუაინი (74. პანდევი).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პოგბა (61. მარკიზიო), პირლო, ასამოა (53. ისლა) - ოსვალდო (69. ვუჩინიჩი), ლორენტე.
**გაფრთხილება:** ენრიკე, ინლერი - ლიხტშტაინერი, ბონუჩი, ვიდალი.
**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9-8(7-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 50 000

### 31 მარტი

| | |
|---|---|
| უდინეზე-კატანია | 21:00 |
| ლივორნო-ინტერი | 23.00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 67-22 | 81 |
| 2. რომა | 30 | 21 | 7 | 2 | 58-15 | 70 |
| 3. ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 59-32 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-32 | 52 |
| 5. ინტერი | 30 | 12 | 12 | 6 | 47-21 | 48 |
| 6. პარმა | 30 | 12 | 11 | 7 | 49-37 | 47 |
| 7. ატალანტა | 31 | 14 | 4 | 13 | 37-39 | 46 |
| 8. ლაციო | 31 | 12 | 9 | 10 | 40-40 | 45 |
| 9. ვერონა | 31 | 13 | 4 | 14 | 46-52 | 43 |
| 10. ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 45-40 | 42 |
| 11. მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-43 | 42 |
| 12. სამპდორია | 31 | 11 | 8 | 12 | 40-43 | 41 |
| 13. ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 34-39 | 39 |
| 14. უდინეზე | 30 | 10 | 5 | 15 | 33-42 | 35 |
| 15. კალიარი | 31 | 7 | 11 | 13 | 29-41 | 32 |
| 16. კიევო | 31 | 7 | 6 | 18 | 26-46 | 27 |
| 17. ბოლონია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-48 | 26 |
| 18. ლივორნო | 30 | 6 | 6 | 18 | 32-56 | 24 |
| 19. სასუოლო | 31 | 5 | 6 | 20 | 29-61 | 21 |
| 20. კატანია | 30 | 4 | 8 | 18 | 23-54 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 13 - ლუკა ტონი (ვერონა), როდრიგო პალასიო (ინტერი), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მარიო ბალოტელი (მილანი).

### გადადებული მატჩი

2 აპრილი: რომა-პარმა

### მომდევნო ტური

5 აპრილი: კიევო-ვერონა, ინტერი-ბოლონია; 6 აპრილი: ლაციო-სამპდორია, პარმა-ნაპოლი, კალიარი-რომა, ატალანტა-სასუოლო, კატანია-ტორინო, ფიორენტინა-უდინეზე, ჯენოა-მილანი
7 აპრილი: იუვენტუსი-ლივორნო

### სერია B. XXXII ტური

**აველინო-ჩიტადელა 1:0**
**გოლი:** 1:0 კასტალდო (64).

**ემპოლი-იუვე სტაბია 2:1**
**გოლები:** 1:0 ტავანო (34), 1:1 ძამპანო (44), 2:1 მაკარონე (71).

**ლატინა-კარპი 1:0**
**გოლი:** 1:0 პაოლუჩი (12).

**მოდენა-სპეცია 0:0**

**პადოვა-ლანჩანო 5:1**
**გოლები:** 1:0 კელიჩი (28), 1:1 კომი (42-პენ.), 2:1 იმპორტა (59), 3:1 იმპორტა (64), 4:1 ვანტაჯატო (84), 5:1 როკი (90).

**პესკარა-რეჯინა 2:2**
**გოლები:** 1:0 ბრუგმანი (21), 1:1 დი მიკელე (23), 2:1 მასკარა (86), 2:2 ფიშნალერი (88).

**სიენა-ბრეშა 2:1**
**გოლები:** 1:0 სუარესი (44), 2:0 ფაბრინი (61), 2:1 ბენალი (64).

**ტრაპანი-ბარი 3:4**
**გოლები:** 1:0 იუნკო (6), 2:0 კარამტარო (12), 2:1 რომიცი (24), 2:2 გალანო (27), 2:3 პოლენტა (36-პენ.), 2:4 კალდერონი (41), 3:4 მანკოზუ (57).

**ვარეზე-პალერმო 1:2**
**გოლები:** 1:0 პავოლეტი (14), 1:1 ვასკესი (31), 1:2 ბელოტი (64).

**ჩეზენა-ნოვარა 2:0**
**გოლები:** 1:0 მარილუნგო (56), 2:0 როდრიგესი (76).

**კროტონე-ტერნანა 1:1**
**გოლები:** 0:1 მაზი (22), 1:1 პეტინარი (49).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პალერმო | 32 | 18 | 9 | 5 | 48-23 | 63 |
| 2. ემპოლი | 32 | 14 | 11 | 7 | 42-24 | 53 |
| 3. ჩეზენა | 32 | 12 | 14 | 6 | 36-25 | 50 |
| 4. კროტონე | 32 | 14 | 8 | 10 | 45-39 | 50 |
| 5. სიენა | 32 | 14 | 14 | 4 | 48-32 | 49 |
| 6. ტრაპანი | 32 | 12 | 13 | 7 | 43-36 | 49 |
| 7. აველინო | 32 | 12 | 12 | 8 | 35-32 | 48 |
| 8. ლატინა | 32 | 12 | 12 | 8 | 30-27 | 48 |
| 9. ლანჩანო | 32 | 13 | 9 | 10 | 31-31 | 48 |
| 10. პესკარა | 32 | 12 | 9 | 11 | 43-38 | 45 |
| 11. სპეცია | 32 | 11 | 11 | 10 | 33-38 | 44 |
| 12. მოდენა | 32 | 10 | 12 | 10 | 43-31 | 42 |
| 13. ტერნანა | 32 | 9 | 14 | 9 | 43-39 | 41 |
| 14. ბარი | 32 | 11 | 10 | 11 | 33-36 | 40 |
| 15. ბრეშა | 32 | 9 | 13 | 10 | 39-43 | 40 |
| 16. ვარეზე | 32 | 10 | 10 | 12 | 40-45 | 40 |
| 17. კარპი | 32 | 11 | 7 | 14 | 34-40 | 40 |
| 18. ნოვარა | 32 | 8 | 11 | 13 | 30-41 | 35 |
| 19. პადოვა | 32 | 7 | 9 | 16 | 31-47 | 30 |
| 20. ჩიტადელა | 32 | 6 | 11 | 15 | 29-41 | 29 |
| 21. რეჯინა | 32 | 6 | 9 | 17 | 31-53 | 27 |
| 22. იუვე სტაბია | 30 | 2 | 10 | 20 | 27-53 | 16 |

**შენიშვნა:** სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.
**ბომბარდირები:** 20 - მანკოზუ (ტრაპანი); 16 - ანტენუჩი (ტერნანა), ტავანო (ემპოლი); 15 - კარაჩოლო (ბრეშა), ბაბაქარი (მოდენა), პავოლეტი (ვარეზე).

### სერია C1/B

ასკოლი-პერუჯა 0:1, ბარლეტა-ბენევენტო 1:6, კატანძარო-გუბიო 1:1, ფროზინონე-სალერნიტანა 2:2, ლაკვილა-პონტედერა 0:2, პაგანეზე-გროსეტო 0:2, პიზა-პრატო 5:0.

### ჰოლანდია

### ერედივიზიე. XXX ტური

**ბრედა-უტრეხტი 2:2**
**გოლები:** 1:0 ვერბეეკი (58), 1:1 ბულტუისი (86), 2:1 პუპონი (88), 2:2 ვან დერ განი (90)

**ვიტესი-ჰეერენვეენი 2:2**
**გოლები:** 1:0 ჰავენაარი (3), 1:1 ფინბოგასონი (39), 1:2 ბაშაჩიკოღლუ (58), 2:2 ტრაორე (67)

**ნაიმეგენი-ჰერაკლესი 1:2**
**გოლები:** 1:0 პიგდონი (20), 1:1 დევიდსონი (79), 1:2 ამოა (90+5)
**გაძევება:** - ტე ვერიკი (83)

**ეინდჰოვენი-გრონინგენი 2:3**
**გოლები:** 1:0 დეპაი (3), 1:1 ჟივკოვიჩი (18), 1:2 კოსტიჩი (20), 2:2 ლოკადია (37-პენ), 2:3 შერი (64)
**ეინდჰოვენი:** ზუტი, არიასი, ბრუმა, რეკიკი, ვილემსი, პარკი, სხაარსი (46. ვაინალდუმი), ჰილემარკი (87. მაჰერი), რუისი (77. ნარსინხი), ლოკადია, დეპაი

**ფეიენოორდი-იგლსი 5:0**
**გოლები:** 1:0 იმერსი (13), 2:0 ვილიენა (49), 3:0 ბუტიუსი (64), 4:0 ტე ვრედე (77), 5:0 ნელომი (89)

**აიაქსი-ტვენტე 3:0**
**გოლები:** 1:0 დენსვილი (29), 2:0 შიონე (58), 3:0 კრკიჩი (65)
**აიაქსი:** სილესენი, ბლინდი, ველტმანი, ვან რაინი, ბოილესენი (70. პოულსენი), დენსვილი, შიონე, სერერო, კლაასენი, კრკიჩი (79. დუარტე), კიშნა (62. სიგტორსონი)

**კამბური-ალკმაარი 0:0**

**როდა-ვაალვაიკი 0:1**
**გოლი:** 0:1 კასტელენი (22)

**დენ ჰააგი-ზვოლე 1:1**
**გოლები:** 0:1 ვან დერ ვერფი (20), 1:1 ალბერგი (42)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 29 | 18 | 8 | 3 | 60-22 | 62 |
| 2. ფეიენოორდი | 29 | 16 | 6 | 7 | 64-37 | 54 |
| 3. ვიტესი | 30 | 15 | 8 | 7 | 58-40 | 53 |
| 4. ეინდჰოვენი | 30 | 16 | 5 | 9 | 56-39 | 53 |
| 5. ტვენტე | 29 | 14 | 10 | 5 | 59-32 | 52 |
| 6. ჰეერენვეენი | 30 | 12 | 9 | 9 | 60-50 | 45 |
| 7. ალკმაარი | 30 | 13 | 5 | 12 | 49-44 | 44 |
| 8. გრონინგენი | 30 | 10 | 9 | 11 | 49-50 | 39 |
| 9. ზვოლე | 30 | 9 | 11 | 10 | 43-43 | 38 |
| 10. ჰერაკლესი | 29 | 10 | 6 | 13 | 40-49 | 36 |
| 11. კამბური | 29 | 9 | 8 | 12 | 33-38 | 35 |
| 12. ბრედა | 29 | 8 | 10 | 11 | 40-45 | 34 |
| 13. დენ ჰააგი | 29 | 9 | 6 | 14 | 34-57 | 33 |
| 14. უტრეხტი | 29 | 8 | 8 | 13 | 39-55 | 32 |
| 15. იგლსი | 29 | 8 | 7 | 14 | 39-62 | 31 |
| 16. ვაალვაიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 42-55 | 30 |
| 17. ნაიმეგენი | 30 | 5 | 12 | 13 | 48-73 | 27 |
| 18. როდა | 30 | 6 | 7 | 17 | 40-62 | 25 |

**ბომბარდირები:** 25 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 20 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 16 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი)

**ლევან ბიბილაშვილი**




● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXI ტური

# ზავებით გაზავებული ტური


ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და კომპანიამ უახლოეს მდევარს 13 ქულით გაასწრო

საინტერესოა, რომ ლიგა 1-ის 31-ე ტურში ფრე ძალიან პოპულარული შედეგი იყო და გუნდები ძირითადად ერთმანეთში ზავის დადებით იყვნენ დაკავებულნი. „სოშო“ **სტოფია სუნზუს** გოლით ბოლო წამებამდე იგებდა და გადარჩენაზე ოცნებას იხანგრძლივებდა, მაგრამ „მარსელი“ მორიგ მარცხს **ნიკოლა ნკულუს** გოლით გადაურჩა. ეს მონბელიარელებისთვის ფაქტობრივად განაჩენია, მარსელელების მოუგებელი სერია კი უკვე 5 მატჩს შეადგენს.

არ წააგო არც ბოლოადგილოსანმა „აიაჩომ“, თანაც შესანიშნავ ფორმაში მყოფ „ტულუზთან“. როგორც ჩანს, **ალენ კაზანოვას** შეგირდები ზედმეტად მოდუნებულნი იყვნენ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც, 34-ე წუთზე კორსიკელები უკვე 2:0-ს იგებდნენ. სტუმრები გონს მოეგნენ და **კლემან შანტომის** გოლის მერე დაახლოებით ნახევარი საათიც რჩებოდათ, მაგრამ არა ერთი საგოლე ეპიზოდის მიუხედავად, გამარჯვების მოპოვება ველარ შეძლეს.

ნიგერიელ **ვენსან აბუბაქარს** საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გამოუვიდა და ამიტომაც, როდესაც პირველი ტაიმის ბოლო წუთზე „რეიმსის“ კარში პენალტი დაინიშნა მის შესასრულებლად სწორედ იგი მივიდა და სეზონში მე-13 გოლიც გაიფორმა. საინტერესოა, რომ 2014 წელს ეს მისი მეორე ბურთი გახლდათ. მეორე ნახევრის დებიუტში რეიმსელებმა წონასწორობა აღადგინეს და დარჩენილ წუთებში მოგებაც სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ - 1:1.

„პარი სენ-ჟერმენმა“ „ალიანც რივიერაზე“ კი მოიგო, მაგრამ ძალების აშკარა დაზოგვით. **ლორან ბლანს** ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსისთან“ დუელი აქვს წინ.

*„სატურნირო და ფსიქოლოგიური კუთხით ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოგება იყო. ბევრი დადებითი დავინახე, მაგრამ უამრავი მომენტი გავანიავეთ. ჩვენს შანსებს უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩემპიონთა ლიგაზე“* - თქვა ბლანმა.

შესაძლოა, სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო „ევიანმა“. შეხვედრის მიწურულს **სედრიკ მონგონგუს** მიერ პენალტით გატანილი ბურთი ერთადერთი გამოდგა და **პასკალ დუპრაზის** გუნდმა „მონაკო“ დაამარცხა, რითაც „ვალანსიენთან“ ხვაობა 5 ქულამდე გაზარდა. საინტერესოა, რომ „ევიანმა“ მონაკოელებთან არც პირველ წრეში „ლუი მეორეზე“ წააგო (1:1). მონგონგუსთვის კი ეს მეოთხე გოლი იყო, და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ოთხივე პენალტით აქვს გატანილი.

**ნიცა–პსჟ 0:1**

**გოლი:** 0:1 კოლოძეიჩაკი (52-ს.კ-ში)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ჟალე, მარკინიოსი, ტიაგო სილვა, დინი - ტიაგო მოტა, კაბაი (78. მატუიდი), პასტორე (66. ვერატი) - კავანი, ლავეცი (67. ლუკასი), იბრაჰიმოვიჩი

**სოშო–მარსელი 1:1**

**გოლები:** 1:0 სუნზუ (25), 1:1 ნკულუ (90)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ფანი (46. ჟა ჟეჟე), ნკულუ, ლუკაშ მენდეში, მორელი - რომაო, ლემინა (72. იმბულა), ა. აიუ - ვალბუენა (60. ტოვენი), პაიე, ჟინიაკი

**აიაჩო–ტულუზი 2:2**

**გოლები:** 1:0 ფატი (4), 2:0 ტალო (34), 2:1 სილა (37), 2:2 შანტომი (60)

**ევიანი–მონაკო 1:0**

**გოლი:** 1:0 მონგონგუ (82-პენ.)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - რაჯი, რ. კარვალიო, აბდენური, ეჩიეჯილე - კონდოგბია, ტულალანი, ობადი - ოკამპოსი (46. ჟერმენი), ჯ. როდრიგესი (70. დირარი), ბერბატოვი (60. რივიერი)

**რეიმსი–ლორიანი 1:1**

**გოლები:** 0:1 აბუბაქარი (45+2-პენ.), 1:1 ოდერ ფორტესი (49)

**რენი–ბასტია 3:0**

**გოლები:** 1:0 ალესანდრინი (14), 2:0 ტოივონენი (28), 3:0 მაკუნი (59)

**ლილი–გენგამი 1:0**

**გოლი:** 1:0 კალუ (90+2)

**ლიონი–სტ. ეტიენი 1:2**

**გოლები:** 0:1 ერდინგი (28), 1:1 ლალაზეტი (39), 1:2 გრადელი (74)

**მონპელიე-ვალანსიენი 0:0**

**ნანტი-ბორდო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 31 | 23 | 7 | 1 | 71-18 | 76 |
| 2. მონაკო | 31 | 18 | 9 | 4 | 50-26 | 63 |
| 3. ლილი | 31 | 16 | 9 | 6 | 35-19 | 57 |
| 4. სტ. ეტიენი | 31 | 16 | 6 | 9 | 43-28 | 54 |
| 5. ლიონი | 31 | 13 | 9 | 9 | 46-37 | 48 |
| 6. მარსელი | 31 | 12 | 9 | 10 | 40-33 | 45 |
| 7. რეიმსი | 31 | 11 | 11 | 9 | 39-40 | 44 |
| 8. ტულუზი | 31 | 11 | 11 | 9 | 40-43 | 44 |
| 9. ბორდო | 31 | 11 | 10 | 10 | 37-35 | 43 |
| 10. ბასტია | 31 | 11 | 7 | 13 | 33-46 | 40 |
| 11. ნიცა | 31 | 11 | 5 | 15 | 27-35 | 38 |
| 12. რენი | 31 | 9 | 10 | 12 | 38-37 | 37 |
| 13. ლორიანი | 31 | 10 | 7 | 14 | 37-42 | 37 |
| 14. ნანტი | 31 | 10 | 7 | 14 | 27-33 | 37 |
| 15. მონპელიე | 31 | 6 | 17 | 8 | 35-36 | 35 |
| 16. გენგამი | 31 | 9 | 8 | 14 | 28-32 | 35 |
| 17. ევიანი | 31 | 8 | 10 | 13 | 30-45 | 34 |
| 18. ვალანსიენი | 31 | 7 | 8 | 16 | 32-49 | 29 |
| 19. სოშო | 31 | 6 | 8 | 17 | 27-54 | 26 |
| 20. აიაჩო | 31 | 3 | 10 | 18 | 30-57 | 19 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 14 - ედინსონ კავანი (პსჟ), ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 13 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

**მომდევნო ტური**

4 აპრილი: მარსელი-აიაჩო

5 აპრილი: პსჟ-რეიმსი, ტულუზი-ლილი, ბასტია-სოშო, ბორდო-რენი, გენგამი-მონპელიე, ლორიანი-ევიანი

6 აპრილი: სენტ ეტიენი-ნიცა, ვალანსიენი-ლიონი, მონაკო-ნანტი

**გიორგი კაკაბაძე**

● ტრაგედია

# შვედეთში ფანი მოკლეს

ტრაგიკულად დაიწყო შვედეთის ჩემპიონატი. 2014 წლის „ალსვენსკას“ პირველი ტურის მატჩი „ჰელსინგბორგსა“ და სტოკჰოლმის „იურგორდენს“ შორის 42-ე წუთზე შეწყდა, რადგან სტუმართა ფანები მინდორზე შეიჭრნენ და არბიტრი **მარტინ ჰანსონი** ფეხბურთელებს გასახდელისკენ გაუძღვა. „იურგორდენის“ ფანების ასეთი საქციელის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ საშინელი ამბავი შეიტყვეს - მათი საყვარელი გუნდის ერთ-ერთი გულშემატკივარი მატჩის წინ მომხდარი შეტაკებებისას მიღებული ტრავმების გამო გარდაიცვალა. კლუბების ქომაგებს შორის ინციდენტი შეხვედრის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მოხდა და ეს ერთ-ერთი ფანისთვის საბედისწერო გამოდგა, მას თავის არეში ჰქონდა დაზიანება მიყენებული. სათქმელია, რომ ბოლო წლებში შვედეთში ულტრასებს შორის შეტაკებებმა რეგულარული სახე მიიღო, მაგრამ აქამდე ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

*„ვადასტურებ, რომ ჰელსინგბორგის ჰოსპიტალში გარდაიცვალა ადამიანი, „იურგორდენის“ გულშემატკივარი და ამ საკითხზე გამოძიება უკვე დაწყებულია,“* - განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა **ევა-გუნ ვესტფორდმა.**

*„ვიცით, რომ ფეხბურთი ემოციებით ალსავსე სპორტია, მაგრამ ასეთი ინციდენტები უნდა შეწყდეს და ჩვენ ყველაფერის ვაკეთებთ ამისთვის,“* - აღნიშნა შვედეთის სპორტის მინისტრმა **ლენა ადელსონ ლილიეროტმა.**

ეს კი „იურგორდენის“ ოფიციალური განცხადება: *„ჩვენი დიდი ოჯახი შოკშია. სიტყვებით ვერ გადმოვცემთ იმ გრძნობას და განცდას, რომელიც ახლა გვაქვს. ვუსამძიმრებთ, დაღუპულის ოჯახს და მეგობრებს“.*

**გიორგი კაკაბაძე**




მიიღე მონაწილეობა ყატარის ავიახაზების ვიქტორინაში
გაიმარჯვე და გაემგზავრე ბარსელონაში!

კითხვებზე პასუხი გამოაგზავნეთ 2014 წლის 1 მაისამდე. გამარჯვებული მიიღებს უფასო ავიაბილეთს ბარსელონას მიმართულებით.

აგრეთვე გათამაშდება წამახალისებელი პრიზები: ბარსელონას კლუბის მაისურები, ბურთები და სხვა ატრიბუტიკა.

გამოაგზავნეთ პასუხები მისამართზე:
infotbs@ge.qatarairways.com და მიუთითეთ საკუთარი სახელი, გვარი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

1.რომელი კომპანია არის საფეხბურთო კლუბ ბარსელონას სატიტულო სპონსორი და რომელი წლიდან?

რჭვება იყო ყველაზე დიდი ბარსელონას ისტორიაში, რომელ მელ ტურნირში და რომელ მეტოქეზე?

წელს გაიტანა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ ოლების ყველაზე დიდი რაოდენობა და რამდენი?

წელს გაუშვა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე ოლი და რამდენი?

დება 2013/14 წლის ბარსელონას საუკეთესო ბომბარდირი ჩემპიონატში და რამდენ გოლს გაიტანს?

ადგილზე დაამთავრებს ბარსელონა 2013/14 წლის ესპანეთის ს?

გამარჯვებას მოიპოვებს ბარსელონა 2013- 2014 წლის ჩემპიონატში?

გისურვებთ წარმატებას!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### კონფერენსი

XL ტური

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ჰაიდი | 1:0 |
| ალფრეტონი-ნანიტონი | 1:1 |
| კემბრიჯი-ბარნეტი | 1:1 |
| დარტფორდი-მაკლსფილდი | 2:1 |
| გეიტსჰედი-ბრენტრი | 1:0 |
| ჰალიფაქსი-ლუტონი | 2:0 |
| ჰერეფორდი-გრიმსბი | 0:1 |
| სალისბერი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| ტამუორტი-ლინკოლნი | 0:0 |
| უელინგი-ჩესტერი | 2:0 |
| უოკინგი-რექსჰემი | 2:1 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ზელიგენპორტენი-ბუხბახი | 1:0 |
| როზენჰაიმი-შალდინგი | 1:0 |
| ილერტისენი-ინგოლშტადტი II | 4:0 |
| ჰაიმშტეტენი-მიუნხენი II | 0:2 |
| რაინი-ვიქტორია (ა) | 0:3 |
| აუგსბურგი II-ნიურნბერგი II | 2:1 |

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ჰამბურგი II-ბრაუნშვაიგი II | 0:1 |
| ჰანოვერი II-ოლდენბურგი | 3:2 |
| სტ. პაული II-აიხედი | 2:0 |
| აინტრახტი (ნ)-რედენი | 0:0 |
| გოსლარერი-მეპენი | 2:2 |
| ვოლფსბურგი II-ვიქტორია | 5:0 |
| ნოიმუნსტერი-ჰაველსე | 0:2 |
| ვილჰელმსჰავენი-ფლენსბურგი | 3:1 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XXII ტური

| | |
|---|---|
| რატენოვი-ჰერტა II | 2:1 |
| უნიონი II-ლოკომოტივი | 0:1 |
| ბერლინერი-ცვიკაუ | 0:2 |
| ჰაკერი-მოისელვიცი | 0:1 |
| გერმანია-აუერბახი | 1:3 |
| პლაუენი-ვიქტორია | 1:1 |
| კარლ ცაისი-ბაბელსბერგი | 2:0 |
| ნოიშტრელიცი-მაგდებურგი | 2:1 |

### რეგიონალლიგა (დას)

XXX ტური

| | |
|---|---|
| ალემანია-ვიდენბრიუკი | 3:1 |
| იურდინგენი-ზიგენი | 0:4 |
| ობერჰაუზენი-ვიქტორია | 1:1 |
| ვერლი-კიოლნი II | 0:2 |
| შალკე II-ლოტე | 0:1 |
| ფელბერტი-ბოხუმი II | 0:0 |
| ფორტუნა (კ)-ესენი | 2:1 |
| ვატენშაიდი-გლადბახი II | 2:2 |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი II-ზონენჰოფი | 1:3 |
| ტრირი-ბაუნატალი | 1:1 |
| კასელი-ულმი | 2:1 |
| ჰომბურგი-მაინცი II | 2:3 |
| კაიზერი II-ჰოფენჰაიმი II | 1:0 |
| ოფენბახი-აინტრახტი II | 1:0 |
| პფულენდორფი-ვორმატია | 1:1 |
| ნეკარელცი-მანჰაიმი | 1:0 |
| კობლენცი-ცვაიბრიუკენი | 1:2 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-მეცი | 2:2 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-ვენლო | 3:1 |
| ემენი-ტვენტე II | 2:0 |
| დენ ბოში-ოსი | 3:0 |
| ახილესი-ტელსტარი | 1:0 |
| ვილემი-აიაქსი II | 7:1 |

## ბელგია

### პლეი ოფი I

I ტური

| | |
|---|---|
| გენკი-უარეგემი | 0:3 |
| სტანდარდი-ანდერლეხტი | 1:0 |

### პლეი ოფი II

I ტური

| | |
|---|---|
| გენტი-ოსტენდე | 0:1 |
| უაასლანდი-ლიერსი | 2:0 |
| კორტრიიკი-სერკლი | 4:0 |
| მეხელენი-შარლერუა | 0:2 |

### პლეი ოფი III

| | |
|---|---|
| ჰევერლე-მონსი | 2:0 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ბრიუსელი-ჰაისტი 0:0; რუზელარე-დესელი 0:0; სტ. ტრუიდენი-გეელი 0:0; ვესტერლო-აალსტი 0:0; ვიზე-ეუპენი 0:0; ბორინაჟი-ანტვერპენი 0:0; ვირტონი-მუსკრონი 0:0; ვოლუვე-ჰუგსტრატენი 0:0.

## ესტონეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სილამაე | 1:3 |
| პაიდე-ტრანს ნარვა | 0:0 |
| ტალინა-ტამეკა | 1:6 |
| ნომე კალიუ-ლევადია | 0:0 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ბენფიკა B-შავეში | 2:1 |
| ლეიქსოესი-მარიტიმუ B | 3:2 |
| ავესი-სანტა კლარა | 1:0 |
| პორტუ B-მადეირა | 2:1 |
| ფარენსე-ფეირენსე | 1:2 |
| ატლეტიკო-ვიზეუ | 1:0 |
| ბეირა მარი-ტონდელა | 0:0 |
| პენაფიელი-მორეირენსე | 1:1 |
| პორტიმონენსე-ბრაგა B | 1:1 |
| სპორტინგი B-ოლივეირენსე | 3:2 |
| ტროფენსე-კოვილია | 1:0 |

## შოტლანდია

### ჩემპიონშიფი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ალოა-რეითი | 0:1 |
| ქოუდენბითი-ჰემილტონი | 1:1 |
| დანდი-ფალკირკი | 0:1 |
| ლივინგსტონი-დამბარტონი | 1:2 |
| ქუინი-მორტონი | 3:0 |

### I ლიგა

XXXI ტური

| | |
|---|---|
| არბროთი-რეინჯერსი | 1:2 |
| ეირი-სტენჰაუსმუირი | 2:3 |
| დანფერმლაინი-ბრეჩინი | 2:1 |
| ფორფარი-ისტ ფაიფი | 1:2 |
| სტრანრარი-ეირდრი | 1:1 |

### II ლიგა

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ანენი-სტირლინგი | 1:2 |
| ბერვიკი-ალბიონი | 3:1 |
| ისტ სტირლინგი-კლაიდი | 2:4 |
| მონროუზი-ელჯინი | 0:3 |
| ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 0:2 |

## ავსტრია

XXX ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-შტურმი | 2:0 |
| ადმირა-გროდიგი | 4:0 |
| პელეტსი-ვინერი | 4:0 |
| ზალცბურგი-ვაკერი | 0:0 |
| რიდი-აუსტრია | 2:2 |

## კვიპროსი

### საჩემპიონო ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| აელ-ერმისი | 4:0 |
| აპოელ-აპოლონი | 3:0 |
| ომონია-ანორთოსისი | 3:1 |

### გასავარდნი ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| დოქსა-ნეა სალამისი | 1:3 |
| აე კუკლიონი-არისი | 1:2 |
| აეკ-ეთნიკოსი | 0:0 |

## დანია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ესბერგი-ვესტსიელანდი | 0:0 |
| რანდერსი-მიდტიულანდი | 0:3 |
| ვიბორგი-ბრონდბიუ | 0:1 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2:1 |

### II დივიზიონი

XX ტური

ბრონსჰოი-ჰვიდოვრე 1:0; მარიენლისტი-ვენდსისელი 2:3; ლუნგბიუ-კიოგე ; ფრედერისია-ჰორსენსი ; ვეილე-აკადემისკი .

## ფინეთის თასი

| | |
|---|---|
| ჰონკა-JBK | 3:1 |
| ჰამეენლინა-ტპვ | 1:1 |
| გრლფკ-მიუპა | 0:2 |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| სეინაიოენი-ვაასა | 1:0 |

## საბერძნეთი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| პანაიტოლიკოსი-ვერია | 0:0 |
| პანიონიოსი-ასტერასი | 3:0 |
| ატრომიტოსი-პანათინაიკოსი | 0:0 |
| პაოკ-კალონი | 2:1 |
| ერგოტელისი-იანინა | 1:0 |
| ლევადია-ოფი | 2:1 |
| პანთრაკიკოსი-აპოლონი | 2:3 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 1:0 |

## ირლანდია

### II დივიზიონი

IV ტური

| | |
|---|---|
| ფინ ჰარპსი-გალვეი | 1:1 |
| შემროკი B-შელბურნი | 1:1 |

## ნორვეგია

I ტური

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი | 1:1 |
| რუსენბორგი-ვიკინგი | 2:2 |
| ბოდო გლიმტი-ოლესუნდი | 1:1 |
| სანდნესი-ოდ გრენლანდი | 1:1 |
| სტაბეკი-სოგნდალი | 3:0 |
| სტრიომსგოდსეტი-სტარტი | 4:2 |
| სარპსბორგი-ბრანი | 3:0 |

## ჩრ. ირლანდია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| არდსი-უორენპოინტი | 2:2 |
| ბალინამალარდი-კოლრეინი | 2:1 |
| ბალიმენა-დუნგანონი | 1:2 |
| კრუზეიდერსი-პორტადაუნი | 3:1 |
| გლენტორანი-გლენავონი | 0:4 |
| ლინფილდი-კლიფტონვილი | 1:3 |

## შვედეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-კალმარი | 1:2 |
| ჰელსინგბორგი-იურგორდენი | 1:1 |
| მიალბიუ-გეფლე | 2:2 |
| ჰალმსტადი-ერებრო | 1:2 |
| მალმიო-ფალკენბერგსი | 3:0 |

## შვეიცარია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| არაუ-იანგ ბოიზი | 2:1 |
| სიონი-სტ. გალენი | 1:1 |
| ციურიხი-ლოზანა | 0:3 |
| თუნი-გრასჰოპერსი | 1:3 |
| ლუცერნი-ბაზელი | 0:2 |

### ჩელენჯლიგა

XXVII ტური

ლუგანო-ლოკარნო 2:2; ვინტერტური-კიასო 1:1; ვადუცი-ბილი ; სერვეტი-ვოლენი ; ვილი-შაფჰაუზენი დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| 1461 ტრაბზონი-მერსინი | 2:2 |
| ბოლუ-ქარსიაკა | 1:4 |
| სამსუნი-შანლიურფა | 3:1 |
| გაზიანთეფი ბბ-ორდუ | 0:3 |
| ბალიქესირი-ადანასპორი | 2:1 |

## უელსი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ეირბასი-ბანგორი | 0:1 |
| კარმარტენი-ნიუთაუნი | 6:1 |
| პრესტატინი-ქონესი | 1:1 |
| ბალა-პორტ ტელბოტი | 3:1 |

## ბელარუსი

I ტური

| | |
|---|---|
| შახტიორი-ბატე | 2:0 |
| ნაფტანი-ტორპედო | 2:0 |
| მინსკი-ბრესტი | 2:0 |
| დნეპრი-დინამო (მნ) | 0:1 |
| ნემანი-სლუცკი | 0:1 |
| გომელი-ბელშინა | 3:1 |

## ბოსნია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სელიკი-ვიტეზი | 0:0 |
| ლეოტარი-ჟელეზნიჩარი | 0:3 |
| ოლიმპიკი-ტრავნიკი | 1:1 |
| ბორაცი-სარაევო | 0:0 |
| ველეჟი-რუდარი | 1:0 |
| მლადოსტი-ზვიეზდა | 2:0 |
| შიროკი ბრიეგი-რადნიკი | 4:0 |
| სლავია-ზრინსკი | 0:2 |

## ბულგარეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლიტექსი-ცსკა | 0:1 |
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| ნეფტოხიმიკი-ლუბიმეცი | 3:1 |
| ბეროე-ჩერნომორეცი | 3:0 |
| ლუდოგორეცი-ბოტევი | 1:1 |

## ხორვატია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-დრაგოვოლიაცი | 2:1 |
| ოსიეკი-დინამო | 3:2 |
| ისტრა-რიეკა | 0:1 |

## ჩეხეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-სლოვაცკო | 3:2 |
| პლზენი-ლიბერეცი | 6:0 |
| იაბლონეცი-ტეპლიცე | 1:1 |
| ბრნო-დუკლა | 2:1 |
| სპარტა-ზნოიმო | 3:0 |

### II დივიზიონი

XX ტური

ბოჰემიანსი-ქლინი 0:1; ლოკო-პარდუბიცე 0:0; სოკოლოვი-ტაბორსკო 1:1; უსტი-ბუდეიოვიცე 1:2; ვლაშიმი-ტრშინეცი 4:3; ფრიდეკი-ჟიჟკოვი 0:2; ჰრადეცი-სლოვანი ; მოსტი-კარვინა .

## უნგრეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-პუშკაში | 2:3 |
| კაპოშვარი-პაქსი | 0:0 |
| პეჩი-კეჩკემეტი | 0:0 |
| ფერენცვაროში-ლომბარდი | 4:0 |
| დიორი-მტკ | 3:0 |
| ვიდეოტონი-დებრეცენი | 1:2 |
| ჰალადაში-უიპეშტი | 1:0 |

## სლოვაკეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ნიტრა-მიჯავა | 3:0 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 0:1 |
| ტრნავა-ტრენჩინი | 3:1 |
| დ. სტრედა-ჟილინა | 2:1 |
| მორავცე-რუჟომბეროკი | 1:0 |

## ისრაელი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბნეი საქნინი-ირონი (ქ-შ) | 1:4 |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (პ) | 4:0 |

## ლატვია

II ტური

| | |
|---|---|
| იურმალა-დაუგავა რიგა | 1:1 |
| ბფკ დაუგავა-მეტალურგსი | 1:1 |
| დაუგავა-იელგავა | 1:2 |
| მეტა-ვენტსპილსი | 0:2 |
| სკონტო-სპარტაკსი | 2:1 |

## ლიტვა

V ტური

| | |
|---|---|
| ეკრანასი-ჟალგირისი | 0:0 |
| ატლანტასი-სუდუვა | 1:0 |
| დაინავა-ტრანიტასი | 0:5 |
| კრუოია-ბანგა | 0:1 |
| ტრაკაი-შიაულიაი | 2:1 |

## მაკედონია

XXV ტური

| | |
|---|---|
| რაბოტნიჩკი-მაკედონია | 2:0 |
| გორნო-ბრეგალნიცა | 0:0 |
| ტურნოვო-შკენდია | 0:2 |
| ვარდარი-ნაპრედოკი | 6:0 |
| მეტალურგი- რენოვა | 2:2 |
| პელისტერი-გოსტივარი | 2:0 |

## მოლდოვა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სპერანცა-კოსტულენი | 0:1 |
| დინამო-შერიფი | 1:4 |
| აკადემია-ვერისი | 1:2 |
| მილსამი-ზიმბრუ | 0:2 |
| ოლიმპია-დაჩია | 0:3 |

## ჩერნოგორია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-ზეტა | 0:1 |
| სელიკი-რუდარი | 1:1 |
| დეჩიჩი-მოგრენი | 2:0 |
| ლოვჩენი-გრბალი | 3:2 |
| პეტროვაცი-მორნარი | 1:0 |
| სუტიესკა-მლადოსტი | 1:0 |

## პოლონეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ლეგია-ლეხი | 1:0 |
| კრაკოვია-ვიძევი | 1:1 |
| ლეხია-პიასტი | 3:1 |
| ზავიშა-შლიონსკი | 1:0 |
| გურნიკი-იაგელონია | 3:3 |

## რუმინეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ვიიტორული-პოლი ტიმიშოარა | 1:2 |
| პანდური-კლუჟი | 0:1 |
| ჩახლაული-ასტრა | 0:2 |
| პეტროლული-დინამო | 2:2 |

## რუსეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ურალი-ანჟი | 2:1 |
| ამქარი-ზენიტი | 1:2 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 0:0 |
| ტომი-დინამო | 1:3 |
| რუბინი-როსტოვი | 1:2 |
| ყუბანი-კრასნოდარი | 1:3 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

სკა ენერგია-შინიკი 0:0; ენისეი-ხიმიკი 0:0; სიბირი-უფა 0:0; დინამო (ს-პ)-ანგუშტი 0:0; მორდოვია-ნეფტეხიმიკი 0:0; როტორი-ბალტიკა 0:0; ნალჩიკი-გაზოვიკი 0:0.

## სერბეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| დონი სრემი-რადნიჩკი (ნ) | 4:1 |
| იავორი-ნოვი პაზარი | 1:0 |
| სლობოდა-რადი | 1:0 |
| ცრ. ზვეზდა-ჰაიდუკი | 5:1 |
| ოფკ-პარტიზანი | 0:2 |
| იაგოდინა-ჩუკარიჩკი | 4:2 |
| ნაპრედაკი-სპარტაკი | 0:0 |
| ვოივოდინა-რადნიჩკი | 1:0 |

## სლოვენია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| რუდარი-დომჟალე | 3:1 |
| კოპერი-გორიცა | 1:0 |
| ოლიმპია-ტრიგლავი | 1:1 |
| მარიბორი-პუბლიკუმი | 2:2 |
| კრკა-ზავრჩი | 2:1 |

## უკრაინა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-ვოლინი | 1:3 |
| კარპატი-სევასტოპოლი | 2:0 |
| ვორსკლა-გოვერლა | 3:1 |
| ილიჩივეცი-ჩერნომორეცი | 3:1 |
| დნიპრო-დინამო | 2:0 |
| მეტალისტი-შახტარი | 2:4 |

## აზერბაიჯანი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბაქუ-სიმურგი | 2:1 |
| ნეფთჩი-ხაზარი | 1:0 |
| ინტერი-რავანი | შეწყდა |
| ყარაბაღი-ქაბალა | 3:0 |

ამბები



წყალბურთი

# ვიცე-ჩემპიონი მოგებით იწყებს

გასულ უქმეებზე საწყლოსნო კომპლექს ოლიმპიკში დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის ექვსი გუნდი იასპარეზებს. პირველი ტურის სასტარტო მატჩში საქართველოს სამგზის ჩემპიონი და ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი თბილისის "ლიგამუსი" "რუსთავს" დაუპირისპირდა.

**ლიგამუსი-რუსთავი 20:7**

3:2, 7:2, 6:0, 4:3

**ლიგამუსი.** ზურაბ ჭუმბურიძე, ზურაბ ჩიკვაიძე (1), კოკა გიორგაძე, რეზი იმნაიშვილი, გიორგი გაბადაძე (2), სანდრო ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი (2), სანდრო რუსიშვილი (5), ზურაბ რურუა (6), კოტე გეგელაშვილი (3), ტატო ნიკოლეიშვილი (1), ნიკა შუბლაძე, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე.

**რუსთავი.** სანდრო ნამორაძე, სანდრო ყაზახიშვილი (1), ბექა ჭოლოკავა, გიორგი ქარჩილაძე (1), ოთარ ქოიავა (1), გივი სულაძე, ლუკა ბულაძე, ირაკლი გოგელია (1), მერაბ გელაშვილი (1), გიორგი ცანკაშვილი (1), დავით დაუშვილი, სანდრო ჭრელაშვილი, დავით ჩოდრიშვილი, ბექა ქენქაძე (1), ბექა ქავთარაძე, მწვრთნელები - ნოდარ ჩხარტიშვილი, მურთაზ გულედანი.

მატჩი ვიცე-ჩემპიონების იერიშებით დაიწყო და პირველსავე წუთზე რურუამ პენალტით ანგარიში გახსნა. მალევე ქენქაძემ წონასწორობა აღადგინა. პირველი 8-წუთიანი მონაკვეთი თანაბარ ბრძოლაში გაილია. "ლიგამუსმა" ის 3:2 მოიგო. ფავორიტთა უპირატესობა მეორე-მესამე მეოთხედებში გამოიკვეთა. ვლადიმერ ისელიძის შეგირდებმა მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს - 20:7 და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს. მომავალ პარასკევს რუსთაველები 1998-199 წლებში დაბადებულთა საქართველოს ნაკრებს შეხვდებიან, ხოლო ლიგამუსელები ჩემპიონთან - "თბილისთან" გაარკვევენ ურთიერთობას.

ამ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნაკრების წევრებისთვის, რომლებიც წლეულს 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. ჩვენს ბიჭებს ამ შეჯიბრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად, ეროვნული ჩემპიონატის გარდა, მნიშვნელოვანი პაექრობებიც ელით. კერძოდ, **ვლადიმერ ისელიძისა** და **იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები, როგორც საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით რურუამ** გვითხრა, აპრილის მიწურულს სერბეთში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე და იქაურ გუნდებთან ("პარტიზანი", "ცრვენა ზვეზდა") გამართავს ამხანაგურ მატჩებს, მაისის მიწურულს ჩერნოგორიაში მოემზადებიან, 5-9 ივნისს ესპანეთში მასპინძლებს დაუპირისპირდებიან, 13-17 ივნისს ავსტრიის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ჩვენები მეტოქეობას გაუწევენ სლოვაკეთს, ავსტრალიას, ჰოლანდიას, თურქეთსა და რუმინეთს. 27-29 ივნისს თბილისის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან რუსეთთან, თურქეთსა და სლოვაკეთთან ერთად, ხოლო 5 ივლისს ჩერნოგორიის საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. იქ კი მასპინძლებთან ერთად გერმანელები და ყაზახებიც იქნებიან. ჩვენი ნაკრები ჩერნოგორიიდან მადიარების ქვეყანას მიაშურებს.

# ივერია სრული სვლით

1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობაში 9 გუნდი მონაწილეობს. ისინი 2 ქვეჯგუფში არიან განთესილი. გასულ პარასკევ-შაბათს მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. თბილისის "ივერიამ", რომელმაც პირველ ტურში ორი მატჩი მოიგო, ამჯერადაც ორი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში: ჯერ "რუსთავს" სძლია 24:1, მერე კი "თბილისი" დაჯაბნა - 18:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: "აკადემია-2"-"თბილისი" 4:7, "ბათუმი"-"საჩხერე" 8:7, "აკადემია-1"-"არენა" 4:15, "ქუთაისი"-"რუსთავი" 16:0.

ფიგურული ციგურაობა

# ბოლოსწინა ადგილზე

იაპონურ საიტამაში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ყინულზე მოცეკვავეთა ქართული დუეტიც მონაწილეობდა: **ოთარ ჯაფარიძემ და ანგელინა ტელეგინამ** 42.85 ქულით ბოლოსწინა 31-ე ადგილი დაიკავეს (მიზეზზე „ლელოს" უახლოეს ნომერში გიამბობთ). ჩემპიონობა ანა ჩაპელინიმ და ლუკა ლანოტემ (იტალია) მოიპოვეს. ქალებში, ლიცენზიის უქონლობის გამო არ მონაწილეობდა ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილი.** აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მაო ასადა (იაპონია, 216.69), 2. იულია ლიპნიცკაია (რუსეთი, 207.70), 3. კაროლინა კოსტნერი (იტალია, 203,83).

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ხსოვნა

# პირველები

ისინი მხოლოდ ჩემპიონები არ ყოფილან, თუმცა რალა მხოლოდ, როდესაც საუბარი ოლიმპიურ ჩემპიონობაზეა. შესაძლოა გაცვეთილად ჟღერს, მაგრამ ყველა რიგითი ჯარისკაცის გენერლობისკენ სწრაფვისა არ იყოს, ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სვლაც ხომ ნებისმიერი სპორტსმენის უმთავრესი ოცნებაა.

რამდენი მაღალი დონის ათლეტი ვიცით საქართველოსა თუ უცხოეთში, ოლიმპიური ოქრო მიუღწეველ მიზნად რომ დარჩენიათ. არაერთი !

დავით ციმაკურიძემ და გივი კარტოზიამ ეს შეძლეს. კარიერის მანძილზე მათ კიდევ უამრავი ტიტული მოიხვეჭეს და არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ამ ლეგენდარული ფალავნების


დავით ციმაკურიძე

მიერ მოპოვებული ჯილდოები ბარე 10 სპორტსმენსაც ეყოფოდა. თან რა პერიოდში, როდესაც ოლიმპიადაზე მოსახვედრად კი არა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად სხვებზე ერთი, ორი, ხუთი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი.

დავით ციმაკურიძე და გივი კარტოზია სწორედ ასეთები იყვნენ. სულით რაინდები !

29 მარტს ამ ლეგენდარული სპორტსმენების დაბადების დღე იყო. დავით ციმაკურიძეს 90, გივი კარტოზიას კი 85 წელი შეუსრულდებოდა.

საქართველოს 34 ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს, დავით ციმაკურიძე კი ამათ შორის პირველი იყო. შორეულ 1952 წელს, ჰელსინკში ამურმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ოქროს მედალი დამსახურებულად მოიპოვა. როდესაც ფინალში იმ დროისთვის უძლეველ ირანელ გულამ-რეზა ტახტის ამარცხებ, აქ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. 62 წლის წინათ დავით ციმაკურიძემ დაუდო სათავე ქართული სპორტის ყულაბაში ოლიმპიური ოქროს მედლების ათვლას.

საქართველო ჭიდაობის ქვეყანაა. ჩვენ გვყოლია, გვყავს და კიდევ გვეყოლება დიდი ფალავნები, მაგრამ გივი კარტოზია ალბათ საუკუნის ფალავანი იყო. მან ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა შეძლო გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, გივი კარტოზიას წარმატებული სპორტული ბიოგრაფია 15 წელს


გივი კარტოზია

იტევს, რომელიც 1956 წელს მელბურნში ოლიმპიური ჩემპიონობით დაგვირგვინდა. 1960 წელს რომში მან ბოლო შეხვედრა გამართა და დიდ სპორტს დაემშვიდობა. გივი კარტოზია იყო პირველი კლასიკური სტილით მოჭიდავე მსოფლიოში, რომელმაც სამივე უმაღლესი ტიტული მოიპოვა - მსოფლიოს ჩემპიონის, მსოფლიოს თასის და ოლიმპიური ჩემპიონისა.

ჩვენს ქვეყანას კიდევ ბევრი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ეყოლება, მაგრამ დავით ციმაკურიძე და გივი კარტოზია მუდამ პირველებად დარჩებიან.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

## მარად დაუვიწყარი სახელები

ქართული და მსოფლიო საფალავნო სამყარო ამაყობს და მუდამ იამაყებს ორი ჩვენი ლეგენდარული მოჭიდავის დავით ციმაკურიძისა და გივი კარტოზიას სახელითა და წარმატებებით. დავითს თავისუფალ, გივის კი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ხვდათ წილად ბედნიერება, ყოფილიყვნენ ქართველ ფალავანთა გზის გამკვალავი ყველაზე მაღალი რანგის სპორტულ ასპარეზობებში და მათ შორის ოლიმპიურ სარბიელზე. ორივე ფალავანი გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური ღირსებებითაც, რაც ასევე სამაგალითო და მისაბაძი გახდა თაობებისთვის.

ეს ორი ლეგენდა ერთსა და იმავე დღესაა დაბადებული - 29 მარტს. წლეულს დავითს დაბადების 90 წელი შეუსრულდებოდა, გივის - 80.

მადლიერი მემკვიდრეები დავიწყებას არასდროს მისცემენ მათ ნათელ ხსოვნას.

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს ნოდარ მოდებაძეს დეიდის გარდაცვალების გამო.**

● ჩოგბურთი

# ნახევარფინალში შეჩერდნენ

ანტალიაში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა პაექრობაში მეორე ნომრად იყვნენ განთესილი ქართველები - **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია**, რომლებმაც ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგეს - ასელ ჯუმამუხამბეტოვასა (ყაზახეთი) და საბინა შაიდულინასთან (რუსეთი) 6:3, 2:6, 10:8, ელენ ალგურინსა და პაულინა ვულგანთან (ორივე - შვედეთი) 7:5, 6:3, ნახევარფინალური პაექრობა კი სუსანე გელიკისა (შვედეთი) და კოტომი ტაკანატას (იაპონია) დუეტთან დათმეს - 3:6, 2:6. შვედურ-იაპონურმა ტანდემმა ფინალშიც იმარჯვა: ასპარეზობის რეიტინგფავორიტები - ბარბარა კრეიჩიკოვა (ჩეხეთი) და იპეკ სოილუ (თურქეთი) დაამარცხა - 6:4, 6:3 და პირველი ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** მექსიკაში ჩოგბურთელ ქალთა 500.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდის ძალებს: პირველ წრეში ჩვენებურმა ბელგიელი ისალინ ბონავენტურე დაამარცხა - 7:6, 3:6, 6:2. მე-2 წრეში რუსი ალექსანდრა პანოვას მძლეველ (7:5, 6:3) ამერიკელ ჯულია ბოსერუპს შეხვდა და წააგო - 0:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**



ოქსანა კალაშნიკოვა

80

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

**პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა“ და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს**

დასაწყისი „ლელო“ № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-59

## ეპიზოდები ლელოს და ქართული სპორტის თანაცხოვრებიდან

### გადაიხადე

1950-1960-იან წლებში ჩვენი სპორტსმენები მეტწილად მატარებლით მიემგზავრებოდნენ მოსკოვში თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებზე. მატარებლით ბრუნდებოდნენ შინაც. საზღვარგარეთ კი მოსკოვის გვერდის ავლით გამგზავრება ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგალითად, საქართველოდან საბჭოთა ნაკრებში გამოძახებული, ვთქვათ, ბათუმელი სპორტსმენი, თურქეთში დაგეგმილ ასპარეზობაზე აუცილებლად მოსკოვის გავლით უნდა ჩასულიყო.

მატარებლით მგზავრობა იმიტომაც ვახსენე, რომ რკინიგზის ბაქანზე გასვლა ზემოაღნიშნულ წლებში ფასიანი იყო. და მაინც, ხალხი გამარჯვებული სპორტსმენების შესახვედრად თბილისის რკინიგზის სადგურზე ყოველთვის მრავლად იყრიდა თავს. განსაკუთრებით ხალხმრავლობა დედაქალაქის ვაგზალზე 1962 წელს შეინიშნებოდა. რა ასაკის და პროფესიის ადამიანს არ შეხვდებოდით იქ იმ ისტორიულ დღეს. ბაქანი დამხვდურებს ვერ იტევდა და მიმდებარე ქუჩებიც იყო გადაჭედილი. თბილისში ბრუნდებოდა ელიზავეტა ბიკოვას მძლეველი, მსოფლიოს ახალი, რიგით მეხუთე ჩემპიონი ქალ მოჭადრაკეთა შორის **ნონა გაფრინდაშვილი.** მაშინ, დელისის იპოდრომზე დილის ვარჯიშს მოვრჩით თუ არა, ცხენოსნებმა გადავწყვიტეთ ასე ამხედრებულები გავსულიყავით რკინიგზის სადგურზე ჭადრაკის ახალი დედოფლის შესახვედრად. წინ ცხენშებმული ეტლი მიგვიძღოდა. რაღა თქმა უნდა, **ნონა** ვაგზლის მოედანზე გამოვიდა თუ არა, ეტლში ჩასვეს. ასე გავიარეთ ქუჩებში. დიდებული სანახავი იყო ეს ყველაფერი, მთელი თბილისი ფეხზე იდგა. ნონა ეტლით პირდაპირ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში მიიყვანეს (მაშინ ეს ერთი ტელევიზია იყო).

### XX საუკუნის გაზეთი

„ლელომ“ XX საუკუნე დამსახურებული ალიარებით დაამთავრა. 2000 წელს საყოველთაო გამოკითხვით გამოვლინდა სპორტის სფეროში სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული. ეს წარმატება ქართულ სპორტულ გამოცემებს შორის ჩვენს გაზეთს ხვდა წილად. და ეს იყო „ლელოს“ ყველა თაობის, თითოეული ლელოელის ღვაწლის დაფასება. ის სპეციალური ჯილდო, საზეიმო საღამოზე ფილარმონიაში, 2001 წლის იანვარში, მე გადმომეცა - კარგად იყო ჩაფიქრებული - „ლელოს“ რეფორმატორი რედაქტორის **არჩილ გოგელიას** ხელით.

### მეცნიერება და „ლელო“

„ლელოს“ ფუნქციას ამაღლებდნენ და წარმატებით აძლიერებდნენ მეცნიერები და მკვლევარები, რომლებიც მოღვაწეობდნენ სპორტის სფეროში. თანაც რა ფართო იყო სპექტრი: პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, მედიცინა, ფიზიოლოგია, ანატომია, ბიოქიმია, ბიომექანიკა... ეს ის მეცნიერებებია, ურომლისოდაც სპორტში შეუძლებელია დიდი და თვალსაჩინო წარმატებების მიღწევა. ეს საგნები სპორტის აკადემიაშიც ისწავლებოდა. „ლელოში“ გამოქვეყნებული მეცნიერული პუბლიკაციები წარსადგენად აუცილებელი იყო ავტორებისთვის დისერტაციის დაცვისას, რაც სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისთვის სარწმუნო და ოფიციალურ წყაროდ ითვლებოდა თავიანთი დასკვნების გასამტკიცებლად.

### პარდუბიცე

1990 წლის გაზაფხული იწურებოდა. „ლელოში“ ცხენოსნობის ფედერაციის წარმომადგენლები და ვეტერანი მხედრები შევიკრიბეთ. უცხოეთში დამოუკიდებლად გასვლის გზებს ვეძებდით. პარდუბიცეს ტრადიციულ სტიპლჩეიზე შევაჩერეთ არჩევანი. გადავწყვიტეთ ჩეხეთში ორგანიზატორებთან დაკავშირება და ნიადაგის მოსინჯვა - შეგვეძლო თუ არა ამ პოპულარულ ცხენოსნურ ღონისძიებაში მიგვეღო ჩვენი ცხენმხედრებით მონაწილეობა. ჩვენდა გასაოცრად, თანხმობა მივიღეთ. დავიწყეთ მზადება, წამოიჭრა უამრავი ორგანიზაციული საკითხი. **მურმან ომანიძე,** საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი, მხარში ამოგვიდგა. მთავარი პრობლემა ცხოველების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანის წეს-კანონებთან მორგება იყო. ესეც მოგვარდა და ჩავედით კიდეც პარდუბიცეში. არ ვიცი, ვის ეცა ელდად, ვინ ვის რა დონეზე აცნობა ეს ამბავი, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის დელეგაციამ პარდუბიცეში ასპარეზობის ორგანიზატორებს კატეგორიულად მოსთხოვა, ქართველები არ დაეშვით ცალკე საასპარეზოდ - რუსებთან ერთად გამოვსულიყავით ერთიან გუნდში. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მასპინძლები. მოკრძალებით შემოგვთავაზეს რუსთა პირობა, მაგრამ პრინციპულად ვიუარეთ. სხვა გზა რახან აღარ რჩებოდა, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, გადაწყვეტილების მიღება ჩემ თავზე ავიღე. რადგან რუსები ორგანიზატორების შუამავლობით გველაპარაკებოდნენ, მეც მათი პირით შევუთვალე კატეგორიული უარი ულტიმატუმით: ან გამოვიდოდით ცალკე გუნდად ან შევკრებდით მასმედიის წარმომადგენლებს და ჩვენს პოზიციას მიზეზის დასახელებით დავაფიქსირებდით პრესკონფერენციაზე, რაც დასრულდებოდა პროტესტის ნიშნად შეჯიბრების დატოვებით და შინ დაუყოვნებლივ დაბრუნებით. ამ საუკუნოვან ღონისძიებას, რა თქმა უნდა, ეს ჩრდილს მიაყენებდა. რა არგუმენტები ჰქონდათ მასპინძლებს, რომ რუსებს უკან დაეხიათ, ჩვენ ვერ გავიგეთ, მაგრამ ფაქტია, დაგვიშვეს. როგორც ამ ასპარეზობის, ისევე ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი მხედრები პირველად იბრძოდნენ წარმატებისთვის ევროპის უძლიერეს ცხენმხედართა მხარდამხარ. და კიდევ, იქ, პარდუბიცეში, 1990 წლის 14 ოქტომბერს საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე პირველად აფრიალდა საქართველოს ეროვნული დროშა და ამავე დროშით გამოვედით შეჯიბრების გახსნის აღლუმზეც. ეს ფაქტი „ლელოს“ 1990წლის ოქტომბრის ნომერშია დაფიქსირებული.

1991 წლის შემოდგომაზე უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყავით. ახლა უფრო თამამად მიგვიწვიეს მასპინძლებმა და დიდი პატივითაც მიგვიღეს. აქვე ვიტყვი, რომ „კაპიტან პოპლერის პრიზზე“ ქართველმა მხედარმა **ზაზა გონჯილაშვილმა** მეხუთე ადგილი დაიკავა, ანუ საპრიზო ხუთეულში მოხვდა, რაც ნამდვილად კარგი მიღწევა იყო. მთავარი კი ისაა, რომ ამ ისტორიული და უპოპულარეს ასპარეზობაში მონაწილეთა ტოლ-სწორად გვცნეს ორგანიზატორებმა და პირობა მოგვცეს ყოველწლიურად მიგვიწვევდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში იმ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ამის შესაძლებლობა აღარ მოგვცა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება








1991 წელი. პარდუბიცეში აღლუმზე ამერიკის და საქართველოს სახელმწიფო დროშები გვერდიგვერდ ფრიალებდა (ავტორის ფოტო)

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ლეიკერსი და მაიამი, მოგება და წაგება

„მილუოკი ბაქსმა" დასავლეთის კონფერენციაში მოგზაურობა წარმატებით დაასრულა: „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" სტუმრად 108:105 სძლია.

გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით უკანახაზელებს, **ბრენდონ ნაითმა** და **რემონ სეშენსმა** ჯამში 52 ქულა ჩააგდეს. **ზაზა ფაჩულიამ** „მილუოკის" მონაგარი 10 ქულით გაამდიდრა. ქართველი ცენტრის სრული მონაგარი ასეთი იყო: 21 წუთი, 6-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა.

ლოს ანჯელესიდან შინ დაბრუნებულმა „ბაქსმა" აღმოსავლურ „მონსტრ" „მაიამი ჰიტს" უმასპინძლა და 67:88 დათმო.

ზაზამ 18 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი ჩაიწერა.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში 15 ქულაზე მეტი ვერავინ ჩააგდო. სნაიპერი სეშენსი გახდა.

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულია ლეიკერსთან მატჩისას

ქართველები ესპანეთში

## კახასოლი, რუბიკონი სარაგოსასთვის

მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში „კახასოლი" (მეცხრე ადგილი) „სარაგოსაზე" (მეექვსე) ქვემოთაა, მიმდინარე სეზონში ურთიერთშეხვედრებში უკეთესად სწორედ კახასოლელები გამოიყურებიან, რომელთა ღირსებასაც **ბექა ბურჯანაძე** იცავს. სევილიურმა კლუბმა პირველ წრეში სარაგოსაში მოიგო, ახლა კი შინ გაიმარჯვა - 79:59.

ბურჯანაძე სათადარიგო იყო, თუმცა არ უთამაშია, რაც შეეხება სარაგოსელ **ვიქტორ სანიკიძეს,** მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 18 წუთში 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოინაგრა.

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო. სამსუნის ტურნირი



ბექა ლვინიაშვილის ოქროს გდება

# მაჟორული აკორდი

ქართველმა ძიუდოისტმა ვაჟებმა სამივე სინჯის თითო მედლით დაასრულეს გამოსვლა სამსუნის „გრან პრიზე". სამივე ჯილდო ჩვენებმა გუშინ, ტურნირის ბოლო დღეს მოიპოვეს. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას **ბექა ლვინიაშვილმა** (90) მიაღწია, ვინც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა. მომდევნო სინჯის მედლები მძიმე წონაში მოვიპოვეთ – **ადამ ოქრუაშვილი** მხოლოდ ფინალში დამარცხდა, **ლევან მატიაშვილი** კი მესამეზე გავიდა. საქართველოს ნაკრები როგორც საერთო გუნდურ ჩათვლაში, ასევე მხოლოდ ბიჭებშიც მეოთხე ადგილზე გავიდა.

თბილისის ტურნირზე ჩავარდნის შემდეგ ლვინიაშვილმა სამსუნში გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები და ძირითადად მოგვერდებით გაიარა გზა ჩემპიონობამდე. თავიდან აზერბაიჯანელი **რამინ გურბანოვი** დააიპონა, მერე აფრიკის ეგვიპტელ ჩემპიონ **ჰატემ აბდ ელ აკერს** ამოუსვა საიპონედ და იუკო გაუქვითა, ებრაელ **პეტერ პალჩიკს** სულაც ვაზარი გაუბათილა, როცა მოგვერდით იუკოზე დააბერტყა და იქვე შებოჭა. ჩვენებური ნახევარფინალშიც ვაზარით ჩამორჩა ფრანგ **ალექსანდრ იდდირთან,** მაგრამ აქაც იპონით იმარჯვა. მომავალმა ჩემპიონმა ყველაზე იოლად ფინალში გაიმარჯვა გერმანელ **მარკ ოდენტალთან** – მის ფეხებს ჩვეული ილეთით სულ რაღაც 18 წამში მოახაზინა ჰაერში ნაცნობი წრე.

ლვინიაშვილს დაცვაში ცოტა უფრო მეტად მოეთხოვება ყურადღებით ჭიდაობა, რადგან ბევრ ილეთს უშვებს.

საევროპოდ სასტარტო გამოცდა ჩააბარეს მძიმეწონოსნებმა, თუმცა მოხვდება კი ორივე ეროვნულ ნაკრებში? ოქრუაშვილი ჯერ ისევ შეზღუდულია მოძრაობაში, უფრო ნელია, ვიდრე – ერთი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე იყო. რამდენჯერმე გდებაც გაუჭირდა – ხელში კი აიტაცა მეტოქე, მაგრამ ვერ გააკეთა ბრუნი, მეორე ეპიზოდში ვერც კისრულით წამოიღო... ამიტომ უფრო ხშირად ეძალებოდა მისთვის ჩვეულ თავს უკან გადაგდებებს, მაგრამ ბოლომდე სრულყოფილად ვერც ამას ასრულებდა და რამდენჯერმე სასწაულად გადაურჩა იპონს. მან პირველ შეხვედრაში ალჟირელი **ბილალ ზუანი** აიტაცა და ზურგით დააბერტყა ტატამს, ყაზახი **იერჟან შინკეიევი** ჯერ გაფრთხილებებით დახუნძლა, მერე ვაზარზე გადააგორა, ბოლოს კი მეოთხე გაფრთხილებით მოახსნევინა. ნახევარფინალში შეხვედრის მიწურულს მატიაშვილის მძლეველი გერმანელი **ანდრე ბრაიტბარტი** გარედან გამოცელა, ფინალში კი ლიტველმა **მარიუს პასკევიჩიუსმა** გარეფეხით გადაჩეხა. მატიაშვილმა ჯგუფში აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე **უშანგი კოკაური** დააიპონა, სანუგეშოში კი შინკეიევს წმინდად მოუგო, ხოლო ბრინჯაოსთვის ბრძოლაში რუსი **რენატ საიდოვი** არ გამოუცხადდა.

საევროპოდ შერჩევის თვალსაზრისით **ირაკლი უზნაძე** შეგირდებმა აშკარად გაანბილეს 73 კილოგრამში – **ზებედა რეხვიაშვილიც** და **ლაშა შავდათუაშვილიც** პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ. შავდათუაშვილი მასპინძელთა მომავალ მესამე პრიზიორ **ჰასან ვანლიოღლუსთან** დამარცხდა. სამწუხაროდ, ოლიმპიური ჩემპიონის კრიზისი ჯერ ისევ გრძელდება.

საევროპო გამოცდა ვერც **ლუხუმ ჩხვიმიანმა** (60) და **უშანგი მარგიანმა** (81) ჩააბარეს. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან ყველაზე უკეთ **თორნიკე თათარაშვილი** (66) გამოვიდა – მეშვიდე ადგილი, **ლაშა გიუნაშვილმა** (60), **მინდია ლილუაშვილმა** (66), **ალექსანდრე მსხალაძემ** (100) მხოლოდ თითო პაექრობა მოიგეს, **გურამ თუშიშვილი** (100) კი პირველივე წრიდან გამოვარდა. ასევე პირველივე პაექრობები წააგეს ჩვენმა ქალებმა – **შორენა შარაძემ** (63) და **ირინე ლეონიძემ** (+78).

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**60 კგ.** 1. ბესლან მუდრანოვი (რუსეთი); 2. იელდოშ სმეტოვი (ყაზახეთი): 3. რობერტ მშვიდობაძე (რუსეთი), ადრიენ რაიმონდი (საფრანგეთი).

**66 კგ.** 1. დავიდ ლაროსე; 2. ლუის კორვალი (ორივე – საფრანგეთი); 3. ჩარლეს ჩიბანა (ბრაზილია), კოლინ ოუტსი (ბრიტანეთი); 7. **თორნიკე თათარაშვილი (საქართველო).**

**73 კგ.** 1. კრისტოფერ ვოელკი (გერმანია); 2. რუსტამ ორუჯოვი (აზერბაიჯანი); 3. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), ჰასან ვანლიოღლუ (თურქეთი).

**81 კგ.** 1. სვენ მარეში; 2. ალექსანდრ ვიცზერზაკი (ორივე - გერმანია); 3. ვალერიუ დუმინიცა (რუმინეთი), ატილა უნგვარი (უნგრეთი).

**90 კგ. 1. ბექა ლვინიაშვილი (საქართველო);** 2. მარკ ოდენტალი (გერმანია); 3. ალექსანდრ იდდირი (საფრანგეთი), მაგომედ მაგომედოვი (რუსეთი).

**100 კგ.** 1. სირილ მარე (საფრანგეთი); 2. ადლან ბისულთანოვი (რუსეთი); 3. კარლ-რიხარდ ფრეი (გერმანია), ჯავად მაჰჯოუბი (ირანი).

**+100 კგ.** 1. მარიოუს პასკევიჩიუსი (ლიტვა); **2. ადამ ოქრუაშვილი; 3. ლევან მატიაშვილი (საქართველო),** სტანისლავ ბონდარენკო (უკრაინა).

#### ქალები

**48 კგ.** 1. ირინა დოლგოვა (რუსეთი); 2. მარინა ჩერნიაკი (უკრაინა); 3. სუმეიე აკუსი (თურქეთი), ტაციანა ლიმა (გვინეა-ბისაუ).

**52 კგ.** 1. მაილინდა კელმენდი (კოსოვო); 2. ოდეტე გიფრიდა (იტალია); 3. ანდრეა ჩიტუ (რუმინეთი), რომი ტარანგული (გერმანია).

**57 კგ.** 1. ლაეტიტია ბლოტი (საფრანგეთი); 2. მირიამ როპერი (გერმანია); 3. კორინა კაპრიორიუ (რუმინეთი), ჰედვიგ კარაკასი (უნგრეთი).

**63 კგ.** 1. კატრინ უნტერვურტზახერი (გერმანია); 2. რიზლენ ზუაკი (მაროკო); 3. სზაბინა გერზაკი (უნგრეთი), მარტინა ტრაჯდოსი (გერმანია).

**70კგ.** 1. ლაურა ვარგას-კოჩი (გერმანია); 2. სალი კონვაი (ბრიტანეთი); 3. ასმაა ნიანგი (მაროკო), მარგო პინო (საფრანგეთი).

**78 კგ.** 1. ლუისე მალზანი (გერმანია); 2. ნატალია პაუელი (ბრიტანეთი); 3. სამა ჰავა კამარა (საფრანგეთი), ივანა მარანიჩი (ხორვატია).

**+78 კგ.** 1. ნიჰელ ჩაიკ როუჰოუ (ტუნისი); 2. იასმინ კულბსი (გერმანია); 3. მარია სუელენ ალტჰემანი (ბრაზილია), გულსაჰ კოცათურქი (თურქეთი).

ირაკლი თავაძე

კალათბურთი. საქართველოს თასი

# ქუთაისი მეათეა

## ახალი ფურცელი ქუთაისის მდიდარ ისტორიაში

### ფინალი

**29 მარტი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

2000 მაყურებელი

**სოხუმი–ქუთაისი 66:81**

17:21, 17:11, 16:26, 16:23

**სოხუმი:** ბააკაშვილი (38 წთ, 7ქ, 3პ, 3ჩ), ჩლაიძე (35 წთ, 13ქ, 5პ), შვანგირაძე (38 წთ, 3ქ, 7მ, 3პ), საიმონსი (36 წთ, 17ქ, 7მ, 2ჩ, 4დ), ქადარია (28 წთ, 23ქ, 9მ); გოლეთიანი (1 წთ), გაბისონია (3 წთ), ბექაური (3ქ, 9მ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (40 წთ, 18ქ, 8მ, 9პ, 3ჩ), ცეკვავა (36წთ, 13ქ, 6პ, 2ჩ), დიდია (26 წთ, 8ქ, 3პ), დ. ბარბაქაძე (18 წთ, 11ქ, 5მ), ა. დვალიშვილი (30 წთ, 12ქ, 20მ, 2პ, 2დ, 5ფ); გ. ბარბაქაძე (32 წთ, 16ქ, 7მ, 4პ), გრძელიძე (4 წთ), დ. დვალიშვილი (1 წთ), მესხი (1 წთ), ცირეკიძე (4 წთ), ლომინაშვილი (10 წთ, 3ქ), გამრეკლიძე (4 წთ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი.

ქართული კალათბურთის მექა ქუთაისია. ამ ქალაქს გამოუზრდია ოლიმპიური, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონები, თუმცა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტიტულები ნამდვილად აკლდა. ყველაზე ღირებული ნადავლი (ჯერჯერობით) შაბათს, სპორტის სასახლეში მოიპოვა - საქართველოს თასი. „ქუთაისი" მეათეა იმ გუნდთა შორის, ვისაც ეს თასი ალუმართავს. სულ კი 12-ჯერ გათამაშდა.

### წინაისტორია

მატჩისწინა ამბები მკითხველის ყურადღებას ნამდვილად მოითხოვს. საქართველოს თასი წლეულს ახალი, მიმოსვლითი სისტემით ჩატარდა. იანვარში გაიმართა წინასწარი მატჩები და მეოთხედფინალი, თებერვალში - ნახევარფინალი. ფინალის დრო კი 29 მარტს დადგა. „ქუთაისმა" სხვადასხვა ეტაპზე გზიდან ჩამოიცილა „შსს აკადემია" და „არმია", ხოლო „სოხუმმა" - „ბათუმი" და „დინამო".

წინაისტორიაში ისიც უნდა ჩაიწეროს, რომ სოხუმელებს ძლიერი მეტოქეების ძლევის შემდეგ ტაშის მეტი არაფერი მიუღიათ, ისინი სეზონის დასაწყისიდან შიშველ ენთუზიაზმზე, უხელფასოდ თამაშობენ და ფინალში გასვლაც გმირობად უნდა ჩავუთვალოთ.

### „სოხუმმა" დაიწყო

სულაც არ იყო გასაკვირი, „დინამოსა" და „ბათუმის" მძლეველმა „სოხუმმა" ფინალურ შეხვედრაში „ქუთაისს" პირველი ტაიმი რომ მოუგო. საწყის 20 წუთში ხომ **ვაჟა კვარაცხელიას** შეგირდებს შეტევაშიც ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ და დაცვაშიც: 5 სამქულიანი ჩააგდეს, საკუთარ კალათში კი 1 მიიღეს, ორქულიანებს 47.4-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნიდნენ.

შთამბეჭდავი გამოდგა მეორე ათწუთეულის დასკვნითი მონაკვეთი, როცა „სოხუმი" ზონურ დაცვაში მყარად ჩადგა. მეტოქეს ისღა დარჩენოდა, ინდივიდუალური მოქმედებებით გაერღვია „სოხუმელთა" ზონა, მაგრამ არ გამოუვიდა. ფართან მიახლოებულებს ხიშტიანი მცველებივით ხვდებოდნენ **საიმონსი, ქადარია და ბექაური.**

### „ქუთაისმა" დაასრულა

მოკლედ, კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ სოხუმელებმა მესამე პერიოდის დასაწყისში ორი უპასუხო ორქულიანი მიამატეს და 38:32 დაწინაურდნენ. მატჩის დასრულებამდე 18 წუთი რჩებოდა. სწორედ მაშინ გაჩაღდა დისკუსია პრეს-ლოჟაში, რომლის დროსაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაბეჯითებით თქვა: „ქუთაისს" პირველ ტაიმში სამქულიანები არ წაუვიდა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება, მესამეში თუ არა, მეოთხე რაუნდში მაინც გაეხსნებათ სამიანებიო...

ამის თქმა და **გიგი ბარბაქაძის** ზუსტი შორეული გასროლა ერთი იყო. გიგი ამაზე არ შეჩერებულა, ეფექტურ დრიბლინგს კიდევ ერთი სამქულიანი მიაყოლა და ქუთათურთა 13:0 სპურტს ჩაუყარა საფუძველი. იმერლები 45:38 დაწინაურდნენ. ამ ეპიზოდში ისინი სოხუმელებს დაცვაში დალაგების საშუალებას აღარ აძლევდნენ - მაღალ ტემპში უტევდნენ და შეტევების პირველივე ფაზაში დასრულებას ცდილობდნენ. ჰოდა, ვიხილეთ ცეცხლოვანი ქუთაისური კალათბურთი ეფექტური სლალომებითა და ზუსტი სამქულიანებით.

### ციფრები

სწორედ ამ დროს გამოჩნდა, რომ სოხუმელებს მოსამზადებლად არასათანადო პირობები აქვთ, ქუთაისთან შედარებით სათადარიგოთა სკამიც მოკლე აღმოაჩნდათ, ნამატჩევს მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამაც თქვა, შესაძლოა ჩემი შეცდომაც იყო, სკამი ბოლომდე რომ ვერ გამოვიყენეო. „სოხუმმა" ფაქტობრივად 6 კალათბურთელით ითამაშა და რა გასაკვირია, ბოლო მეოთხედში თამაშის შემოსატრიალებლად ძალა რომ არ ეყო.

**მალხაზ კოხრეიძის** განვრთნილ გუნდში კი შეუცვლელად მხოლოდ **ზაურ ფაშაევი** გაისარჯა და სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა - 18 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა; **ლევან ცეკვავამ** 13 ქულას 6 პასი შემატა; ფარქვეშ იბატონა **აკაკი დვალიშვილმა** (12 ქულა, 20 მოხსნა); გიგი ბარბაქაძემ 7-დან 3 სამქულიანი გამოიყენა, 16 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი ჩაიწერა. ფინალის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ გიგი დასახელდა.

### ნამატჩევს

**მედეა მხეიძე** („ქუთაისის" მწვრთნელი):

*- თავიდანვე ვიცოდით, რომ ფინალი ასეთი დაძაბული იქნებოდა. ორივე გუნდს ჰქონდა თავისი პლიუსები, „სოხუმის" ბიჭები კარგად შეთამაშებული იყვნენ და პირველ ტაიმში გარედან საკმაოდ კარგად სტყორცნიდნენ, რასაც ჩვენს გუნდზე ვერ ვიტყვით. ამას ფინალის თანმდევი ნერვიულობა და დაძაბულობა იწვევს, როგორი გამოცდილი და ძლიერი გუნდიც არ უნდა იყო, ფინალში მაინც დაძაბული ხარ. მეორე ნახევარში უფრო კარგად ვიასპარეზეთ, გუნდურად ვითამაშეთ, ფარქვეშაც და პერიმეტრზეც ყველაფერი უკეთესად გამოგვივიდა. „სოხუმი" ემოციურად და ფიზიკურად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მოვიდა ფინალამდე და მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი შეხვედრისთვის. ერთნაირ პირობებში რომ ვყოფილიყავით, შეიძლებოდა სხვანაირი შედეგი დაფიქსირებულიყო.*

**ვაჟა კვარაცხელია** („სოხუმის" მთავარი მწვრთნელი):

*- „ქუთაისმა" დამსახურებულად მოიგო, ჩვენამდე ძლიერი მეტოქეები მოიტოვა და ფინალშიც კარგად იასპარეზა. „ქუთაისი" ქართული კალათბურთის ბრენდია. ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის გვიჭირს. მადლობას ვუხდი ჩემს ბიჭებს, რომლებიც ფინალამდე დიდი ბრძოლითა და მოთმინებით მოვიდნენ. დღეს ველარ გავუძელით სტრესს, ფსიქოლოგიურად ვერ მოვამზადე ბიჭები სათანადოდ, სკამიც ვერ გამოვიყენეთ.*

**გიგი ბარბაქაძე** („ქუთაისი"):

*- დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა და ბოლომდე გვერდში დაგვიდგა. ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც ვემზადებოდით ამ თამაშისთვის, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საწადელისთვის მიგვეღწია და შედეგიც სახეზეა. სოხუმელებმა კი დაამტკიცეს, რომ არ იმსახურებენ ასეთ მდგომარეობაში ყოფნას.*

**გრიგოლ შვანგირაძე** („სოხუმი"):

*- მესამე მეოთხედამდე დაძაბული შეხვედრა იყო, შემდეგ კი მეტოქემ კონტრშეტევებით გაგვტეხა და ბევრი შეცდომა დაგვაშვებინა. იმ პირობების და ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით, რომელშიც „სოხუმის" გუნდია, ფინალში გასვლაც დიდი წარმატება იყო. ვამაყობ ჩემი გუნდით.*



გიორგი ჯიქიას ფოტო

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური

# არმიელთა დამაჯერებლობა საშურია

**არმია-არმაზი 36:6**

**არმია** (5-9) კობახიძე, გაბროშვილი, ჯიმშელაძე, გაგოშვილი (ჩხიკვაძე 60), შკინინი, ელიზბარაშვილი (ნინიძე 72), ლვინჯილია (ჯინაშვილი 65). (1-8) ქორიძე, ზაქაშვილი, გურგენიძე, ცხადაძე, ჩიტიძე (ჟღენტი 67), თხილაიშვილი, კალმახელიძე.

**3ლ:** გაგოშვილი, კობახიძე, საჯარიმო. 5ს,3გ: კობახიძე.

**სინბინი:** მაისურაძე.

**არმაზი** (15-9) ჩხაიძე, ხუციშვილი, მაჩხანელი, პ. მაისურაძე (ჩაჩხიანი 60), სირაძე, კიკნაძე, აბუსერიძე. (1-8) ბეჟიაშვილი (გიგაური 71), თაგაური (ჯიბლაძე 75)), ესართია (ბუკია 23,), კანდელაკი, მჭედლიძე, ბერაძემ მინაშვილი, სოსელია.

**2ს:** კიკნაძე.

**გაძევება:** ბუკია.

**მსაჯი:** ნიკოლოზ ამაშუკელი.

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა განვლილ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ თბილისის „არმაზს" დამაჯერებლად მოუგო - 36:6.

თუმცა, მატჩის პირველი ტაიმის მიხედვით მოვლენების ასეთ განვითარებას ვერავინ იფიქრებდა. მეტიც, „არმაზმა", მართალია მხოლოდ სამი ქულით, მაგრამ მაინც შეძლო პირველი ტაიმის შემდეგ წინ გასვლა - 6:3 და მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა. გარკვეულ კომპონენტებში სჯობდა კიდეც.



გიორგი კალმახელიძისა და გიგა გაგოშვილის ორთაბრძოლა

რა შეიცვალა, რა მოხდა მეორე ტაიმში?

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ „არმაზის" განაცხადში სულ 21 მორაგბე ჰყავდა. აქედან ორი სულაც დებიუტანტი იყო. მიზეზი ხშირი ტრავმიანობაა, რამაც გუნდი რეალურად უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. თავად განსაჯეთ, არმაზელებს ორი ტაიმის თამაშმა ისე მოუწიათ, რომ უკანა ხაზში შემცვლელი, ფაქტობრივად, არავინ ჰყავდათ. შერკინებაშიც, თადარიგიდან მატჩში ჩართულებმა, გუნდის თამაშზე დადებითი გავლენა ვერ იქონიეს.

ეს კი შერკინებას უმალ დაეტყო. „არმია" მატჩის მეორე ნახევარში შერკინებაში უდიდეს უპირატესობას დაეუფლა, რის შედეგადაც მატჩის სადავეები მთლიანად მის ხელში გადავიდა და არმაზელებმა მონაგარის გაზრდა ვერაფრით შეძლეს. როგორც უკვე ვთქვით, პირველ ნახევარში „არმაზის" მგეზავის **დავით კიკნაძის** ორ საჯარიმოს „არმიას" ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ერთით უპასუხა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არმაზელები სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

შესვენების შემდეგ „არმია" ბევრად უფრო მობილიზებული, გამარჯვებისთვის შემართული ჩანდა. მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში შერკინებაში მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე კობახიძემ სამი საჯარიმო გაიტანა და არიელები 12:6 დააწინაურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კობახიძე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. მან ხუთი საჯარიმო, სამი არეკნი და ერთი ლელო მიითვალა (26 ქულა).

ანგარიშში დაწინაურების შემდეგ არმიელები კიდევ უფრო თამამად ათამაშდნენ, მით უფრო, რომ ნათლად ხედავდნენ, მეტოქე ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევას ველარ არხერხებდა. 59-ე წუთზე მორკინალებისა და უკანახაზის ერთობლივი გარჯის შემდეგ „არმაზის" დაცვა შუამარბმა **გიგა გაგოშვილმა** გაჭრა და ლელოში შეაღწია. კობახიძემ გარდასახა - 19:6. მანვე სამ წუთში საჯარიმოც მიითვალა და „არმია" 16 ქულით დააწინაურა - 22:6. ეს უკვე საკმაოდ სერიოზული სხვაობაა, რომლის აღმოფხვრაც ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი ამოცანაა.

„არმიას" ზეწოლა არ შეუმცირებია. პირიქით, მატჩის მიწურულს, ჯერ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნულ შერკინებაში მეტოქეს რამდენჯერმე დაარღვევინა თამაშის წესი და არბიტრმა საჯარიმო ლელო ჩათვალა. მერე, ორიოდ წუთში, მარცხენა ფლანგზე **გიორგი შკინინის** გარღვევა ლელოთი კობახიძემ დასრულა. მანვე ორივე ლელო ზუსტად გარდასახა და „არმიას" შთამბეჭდავი ანგარიშით გამარჯვება დააფიქსირა - 36:6.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საკონტროლო მატჩი



საქართველო U 18-კლერმონი U 18

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კლერმონი დაამარცხეს

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საწვრთნელი შეხვედრა გამართა „კლერმონის" თანატოლთა გუნდთან და 22:17 გაიმარჯვა.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი მეტოქესთან ცხრა ქულით აგებდა და მატჩის შემობრუნება შეძლო. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ფრანგებს სამი ლელო გაუტანეს და სამივე მორკინალების ანგარიშზეა.

*„ამ თამაშმა დაგვანახვა, რომ პრობლემები არის, მაგრამ მათი გამოსწორება შეიძლება. კარგი თამაში იყო, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, შერკინებაში უპირატესობა გვქონდა და ეს კარგად გამოვიყენეთ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ლიდერი გვაკლდა, ის ბიჭები, რომელთაც გამოცდილება აქვთ და მათი უმეტესობა უკანა ხაზში თამაშობს. სწორედ ამიტომ გაჭირდა თამაშის გაშლა. სამაგიეროდ, ინიციატივა შერკინებამ აიღო, მეტოქე დაღალა და გამარჯვებაც ამის ხარჯზე მოხერხდა. თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე ასე ვერ ვითამაშებთ, იქ თუ მორკინალებს ხაზიც არ აყვა, მაშინ არაფერი გამოგვივა.*

*დღეს დაგვაკლდნენ თორნიკე ზოიძე, ირაკლი სვანიძე და გიორგი კოშაძე. დავით ლობჟანიძეს მხარის ტრავმა აწუხებს და დღეს ის შეცვლაზე კი ვათამაშეთ, მაგრამ ბევრად მეტი შეუძლია. ეს ოთხივე მორაგბე სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება და მათთან ერთად ბევრად უკეთ ვითამაშებთ. მორაგბეებს ენტერო-ვირუსი შეეყარათ და იყო მიკრო-ტრავმები, მაგრამ ექიმებმა კარგად იმუშავეს, ახლა ბევრად უკეთეს სიტუაციაში ვართ და იმედია, გამგზავრებამდე დარჩენილ მცირედ პრობლემებსაც აღმოვფხვრით.*

*ევროპის ჩემპიონატზე ასეთი ფიზიკური მონაცემების გუნდი ჯერ არ გვყოლია. წელს მრავლად გვყავს მაღალი ბიჭები. ირლანდიასთან შარშან გამოუცდელობის გამო მცირედით დავმარცხდით. შერკინებაში დიდი ბრძოლა გავუმართეთ და არაფერი დავუთმეთ, წელს კი მეტის მიღწევას ვეცდებით. თუმცა, ახლა მეტოქეც სხვა თვალით გვიყურებს და შარშანდელზე მეტად მოინდომებს. პოლონეთში ყველა თამაში მოსაგებად გავალთ და ვნახოთ, რა იქნება". - თქვა ჩვენი გუნდის მწვრთნელმა* **მამუკა ტყეშელაშვილმა.**

საქართველოს ნაკრები:

1. ნიკა ნეფარიძე, 2. ვანო მარგალიტაძე, 3. ლაშა ტაბიძე, 4. ბესო გოგოლაძე, 5. მიხეილ ბაბნუაშვილი, 6. ლაშა საჯაია, 7. ოთარ გიორგაძე, 8. ბექა გორგაძე 9. ვასილ ლობჟანიძე, 10. კონსტანტინე ახობაძე, 11. ბექა ნონიაშვილი, 12. სანდრო ილურიძე, 13. გიორგი კვესელაძე, 14. გიორგი მელაძე, 15. თორნიკე მანაგაძე

16. გიორგი ხუროშვილი, 18. ლუკა გოგინავა, 19. შაქრო ლომსიანიძე, 20. ლაშა მამუჩარაშვილი, 21. მამუკა ჩაჩიბაძე, 22. დათო ლობჟანიძე, 23. კახა ელბაქიძე, 24. მიხეილ გორგასლიძე, 25. გიორგი ჯავახია.

**რაგბის კავშირის პრესსამსახური**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიქები წინ ჯიქურ მიიწევს

**ლელო-ჯიქები 14:24**

**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი (ბუბუტეიშვილი 53), კოპაძე (ხეცურიანი 68), ცერცვაძე, გუგავა, ხმალაძე, მინდიაშვილი. (1-8) სანიკიძე (ჯულაყიძე 67), ლომთაძე, მელიქიძე (პატარაია 44), ხორბალაძე, ქოიავა, სურგულაძე, კოლელიშვილი, ჭყოიძე.

**ლ:** ლომთაძე. 3ს: ყიასაშვილი.

**სინბინი:** ქოიავა

**გაძევება:** ქოიავა.

**ჯიქები** (15-9) კიკნაძე, ბიწაძე, ბერძული, ჯინჯიხაძე, ხარაზიშვილი, კალანდაძე, ჭინჭარაული. (1-8) ჯინჭარაძე, მამრიკიშვილი, ოქრიაშვილი, გოგოლიძე (ტრაპაიძე 76), მჭედლიშვილი, შენგელია, ტუჩაშვილი (ხატიაშვილი 62), სუხაშვილი.

**2ლ:** ხარაზიშვილი, ბიწაძე. 4ს,გ: ხარაზიშვილი.

**სინბინი:** ოქრიაშვილი

**მსაჯი:** თორნიკე გვირჯიშვილი

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ლელომ" მიჯრით მეორე თამაში წააგო. თბილისის „ჯიქებმა" კი, რომელიც უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს ატარებს, ზედიზედ ორი ფავორიტი დაამარცხა. **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსომ ამჯერად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა გათამაშების ლიდერი - 24:14.

მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ქარი ქროდა, თამაში ბრწყინვალე გამოდგა. ორივე გუნდმა, ხშირი შეცდომის მიუხედავად, შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა. „ჯიქები", როგორც სჩვევიათ, შესანიშნავად ირჯებოდნენ რაკში თამაშისას, აილე-მიეძალეს პრინციპის გატარებაც კარგად გამოსდიოდათ და მეტოქეს ერთი-ერთზე ბოჭვისასაც არ ჩამოუვარდებოდნენ. საგულისხმოა, რომ „ჯიქები" თამაშს ფლანგებზე იშვიათად ხსნიან. თუმცა, ამჯერად ორივე ლელო გარემარბებმა გაიტანეს.

თამაში „ლელოს" შეტევებით დაიწყო, რომელსაც ზურგის ქარიც ხელს უწყობდა. ანგარიში ჩემპიონებმა მე-5 წუთზე გახსნეს, როცა **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმოდან ზუსტად დაარტყა - 3:0. ეს ანგარიში საკმაოდ დიდხანს, 29-ე წუთამდე შენარჩუნდა. „ლელომ" მეტოქე ვერაფრით გატეხა. „ჯიქები" თავს უნარიანად იცავდნენ და მორიგი შეცდომა სწორედ 29-ე წუთზე დაუშვეს. საჯარიმო ისევ ყიასაშვილმა გაიტანა - 6:0.

ოთხ წუთში „ჯიქებმა" მოედნის ცენტრიდან თავისი საფირმო შეტევა განახორციელეს. მორკინალებმა მოკლე დარტყმებით მეტოქე საგრძნობლად შეავიწროვეს. მერე ხაზი მესამეხაზელმა **ნიკოლოზ სუხაშვილმა** გაჭრა, რომელიც ლელოელებმა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შეაჩერეს. თუმცა, **გიორგი ჭინჭარაულმა** ბურთი სწრაფად გაიტანა მარჯვენა ფრთაზე, სადაც გარემარბმა **რამაზ ხარაზიშვილმა** იყოჩაღა. გარდასახვა თვითონვე დაარტყა, მაგრამ არაზუსტად - 5:6. სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს ყიასაშვილს არ უმტყუნა მიზანმა და თავისიანები ოთხი ქულით დააწინაურა - 9:5.

შესვენების შემდეგ, შვიდ წუთში მატჩის არბიტრმა „ლელოს" მეორეხაზელ **სანდრო ქოიავას** მეორედ უჩვენა ყვითელი ბარათი, რის გამოც მოედანი თამაშის ბოლომდე დატოვა. სწორედ აქედან დაიწყო „ლელოს" სერიოზული პრობლემები.

მომდევნო ექვს წუთში „ჯიქების" დამრტყმელმა ხარაზიშვილმა ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები პირველად მატჩში 53-ე წუთზე დააწინაურა - 11:9. თუმცა ხუთ წუთში „ლელომ", რომელიც მეტოქის დაწინაურებამ საგრძნობლად გამოაფხიზლა, მატჩში ერთადერთი ლელოს გატანა შეძლო. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოგებული დერეფნიდან ჩემპიონებმა მოლი ააგორეს და ლელოში შეაღწიეს. ბოლოს ბურთით ხელში შერკინების კვაჭი **გიორგი ლომთაძე** იყო. ყიასაშვილმა ვერ გარდასახა - 14:11.

„ჯიქებმა" ანგარიშის გაქვითვა 74-ე წუთზე საჯარიმოთი შეძლეს. ოთხ წუთში კი დაწინაურდნენ კიდეც. ორჯერვე კარში ზუსტად ისევ ხარაზიშვილმა დაარტყა - 17:14.

მატჩი მთავრდებოდა, როცა „ლელომ" მოედნის საკუთარი ნახევრიდან იერიში წამოიწყო. თუმცა, მოედნის ცენტრთან ახლოს რაკში თამაშისას ბურთი დაკარგა და კონტრშეტევაზე „ჯიქების" მეორე გარემარბმა **ნიკოლოზ ბიწაძემ** იყოჩაღა. ხარაზიშვილმა გარდასახა და თამაშიც დასრულდა - 24:14.

**XV ტური**

**ხარები-ბათუმი 15:14**

**ხარები:** 5ს - ჭაავა.
**ბათუმი:** ლ - ცირეკიძე. 3ს - ოდიშარია.

**აკადემია-ლოკომოტივი 15:20**

**აკადემია:** 4ს,ა - მათიაშვილი.
**ლოკომოტივი:** 2ლ - ჩიტიძე, კიკვიძე. 2ს,2გ - ნიკლაური.

**ყოჩები-აია 18:12**

**ყოჩები:** 5ს,ა - სოხაძე
**აია:** 2ლ - ირემაძე, შალამბერიძე. გ - სინაურიძე.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 15 | 10 | 1 | 4 | +175 | 51 |
| 2.ლელო | 15 | 10 | 0 | 5 | +207 | 50 |
| 3.ლოკომოტივი | 15 | 11 | 0 | 4 | +71 | 48 |
| 4.აია | 15 | 0 | 5 | 10 | +118 | 47 |
| 5.ყოჩები | 15 | 10 | 1 | 4 | +57 | 46 |
| 6.ჯიქები | 17 | 8 | 2 | 7 | +45 | 43 |
| 7.არმაზი | 15 | 8 | 0 | 7 | -53 | 35 |
| 8.ხარები | 16 | 4 | 0 | 12 | -174 | 19 |
| 9.ბათუმი | 15 | 3 | 0 | 12 | -225 | 15 |
| 10.აკადემია | 16 | 1 | 0 | 15 | -191 | 12 |

**XVI ტური**

ბათუმი-ყოჩები, აია-არმია, არმაზი-ლელო, ლოკომოტივი-ხარები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# სერენას რეკორდი მაიამიში

მაიამიში დასრულდა ორკვირიანი საჩოგბურთო ზეიმი. გუშინ, გვიან გაიმართა მამაკაცთა მასტერსის ფინალი **რაფაელ ნადალსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შორის. ერთი დღით ადრე კი გამარჯვებული გაირკვა ქალებს შორის.

ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ **სერენა უილიამსი და ნა ლი** - მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგანი. ორგანიზატორები გადამწყვეტ მატჩში ამაზე უკეთეს შემადგენლობას ვერც ინატრებდნენ, თუმცა ამ ჩოგბურთელთა შეხვედრები ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში არ მიმდინარეობს. ამერიკელისა და ჩინელის პირველი სამი შეხვედრა დაძაბული იყო და ერთერთი აზიელმა მოიგო კიდეც, მაგრამ შემდეგ სერენამ ზედიზედ შვიდ მატჩში გაიმარჯვა ისე, რომ სეტიც არ წაუგია. ნა ლიმ ერთხელ აღიარა, რომ 2013 წელს, აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში ჯერ კიდევ კორტზე გასვლამდე წააგო ამერიკელთან, მაგრამ წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში სეტნახევარი ებრძოლა უხერხულ მეტოქეს, თუმცა შემდეგ უმცროსმა უილიამსმა მოუმატა და ტიტული მოიპოვა.

■ ■ ■

მაიამის მასტერსზე სერენა უილიამსი თანდათან უმატებდა თამაშს. ორი რთული საწყისი მატჩისა და **კაროლინ გარსიასთან** წაგებული სეტის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი თამაში იპოვნა და სამი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ნა ლი კი პირიქით, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში საშუალო დონეზე მოქმედებდა, მაგრამ მაინც ახერხებდა წინსვლას.

ფინალის წინ, უილიამსი აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ სტარტი არ გამოუვიდა. უკვე პირველ გეიმში ამერიკელმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დათმო. ნა ლის კარგად მიჰყავდა თამაში, მეტოქეს კუთხეებში არბენინებდა, სერენა კი ამას რბილი დარტყმებით პასუხობდა და შეტევას არც ცდილობდა.

პარტიის შუაში პირველმა ჩოგანმა მიზანი გაასწორა და ინიციატივა მოიპოვა, მაგრამ ჩვეულ დონეს მაინც ვერ აჩვენებდა. სამმაგი ბრეიკ-პოინტის მოგერიების შემდეგ, სერენამ ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს კომფორტული სხვაობით დაწინაურების საშუალება მისცა - 5:2. და სწორედ ამის შემდეგ ვიხილეთ კორტზე ნამდვილი უილიამსი. მას უკვე კარგად გამოსდიოდა მიღებაზე უძლიერესი დარტყმები და უკანა ხაზიდან თითქმის აღარ ცდებოდა. ნა ლის 5:4-ზე სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ამერიკელმა მარჯვნიდან დარტყმით უპასუხა და პირველად მატჩში ემოციურად აღნიშნა წარმატება. სეტის დასასრული ძალიან სანახაობრივი აღმოჩნდა. ჩინელი იბრძოდა და ახლოს იყო ტაი-ბრეიკთან, მაგრამ 5:6-ზე წააგო 11-წუთიანი მარათონული გეიმი.

კიდევ ერთი ხანგრძლივი გეიმი მატჩის ბოლოს გაიმართა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან იმ მომენტისთვის სერენა მთლიანად აკონტროლებდა ფინალის მსვლელობას. შესაძლოა, მეორე სეტის ანგარიში ზუსტად არ ასახავს კორტზე მომხდარს, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკელის შეჩერება შეუძლებელი იყო - 7:5, 6:1.

უილიამსმა მეშვიდედ მოიგო მაიამის ტურნირი და ამით ახალი რეკორდი დაამყარა. სერენამ გაუსწრო **ანდრე აგასის**, რომელსაც ფლორიდაში ექვსჯერ ჰქონდა მოპოვებული მთავარი პრიზი.

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ნა ლი (ჩინ, 2) 7:5, 6:1.



სერენა უილიამსი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# პლეი ოფში ექვსი წლის შემდეგ



ტორონტო-ბოსტონი

წლევანდელი რეგულარულის წინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ტორონტო რეპტორზი“ პლეი ოფში მოხვდებოდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კანადურმა კლუბმა თავისი ლიდერი **რუდი გეი** „საკრამენტოში“გაუშვა. მაგრამ მას შემდეგ, „რეპტორზმა“ 35 მატჩი მოიგო და 19 წააგო (ჩემპიონატი 18 მატჩში 12 წაგებით დაიწყეს) და გუშინდელი მოგების შემდეგ, 2008 წლიდან პირველად გავიდა პლეი ოფში.

„კელტებზე“ გამარჯვება იოლი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ „რეპტორზს“ მესამე მეოთხედის ბოლოს 14-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა. ბოლო 12-წუთეულის სტარტი ბოსტონელთა მძლავრი სპურტით დაიწყო და საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე, „მწვანეები“ წინ იყვნენ ოთხი ქულით.

ამას მოჰყვა მასპინძელთა სპურტი - 6:0 და იქვე **რაჟონ რონდომ** გაათანაბრა ანგარიში. „ტორონტოს“ პასუხის ჯერი იყო. მართალია, **კაილი ლოურის** ფარქვეშ შესვლას ზუსტი ტყორცნა არ მოჰყვა, მაგრამ კანადელთა ვეტერანმა **ამირ ჯონსონმა** შეძლო დამატება. დარჩენილი შვიდი წამი „ბოსტონს“ გადარჩენისთვის არ ეყო. **ჯარედ სალინჯერის** სამქულიანი კალათში არ ჩაეშვა.

■ ■ ■

„ტორონტოს“ ვერ მიბაძა და ვერ გაიფორმა პლეი ოფში თამაში „ჩიკაგომ“. „ხარებს“ ამისთვის „პორტლენდის“ დამარცხება სჭირდებოდათ. ამ გუნდის რიგებში დაბრუნდა **ლამარკუს ოლდრიჯი**. მართალია, მის ანგარიშზე მხოლოდ 5 ქულა იყო, მაგრამ მატჩის შემდეგ, პორტლენდელები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ლიდერის დაბრუნებამ მთლიანად შეცვალა გუნდის განწყობა და თამაში.

„პორტლენდმა“ მესამე მეოთხედში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა 24 ქულით გავიდა წინ. თუ ორეგონელები ასე გააგრძელებენ თამაშს, მეხუთე ადგილზე გასვლის კარგი შანსი ექნებათ და ამ შემთხვევაში, პლეი ოფში „ჰიუსტონს“ შეხვდებიან. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა: „ფილადელფიასთან“ მატჩში ძირითადმა გამთამაშებელმა **პატრიკ ბევერლიმ** მუხლი დაიზიანა და სავარაუდოდ, სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

„ბულზის“ წაგებით იხეირა „ბრუკლინმა“. მან „კლივლენდი“ დაამარცხა და ზედიზედ მე-12 საშინაო გამარჯვება გაიფორმა. ახლა, „ნეტსის“ ჩამორჩენა „ჩიკაგოსთან“ ერთი მოგებაა, „ტორონტოსთან“ - ორი. ასე რომ, მძლავრი ფინიშის შემთხვევაში, „ბრუკლინს“ შეეძლება აღმოსავლეთის პირველ ოთხეულში შესვლა და პლეი ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობის მიღება.

■ ■ ■

„მაიამი“ დროულად მოვიდა გონს „ინდიანასთან“ წაგების შემდეგ, თუმცა მოქმედ ჩემპიონს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა „დეტროიტთან“ გასვლით მატჩში: გუნდის სამი ძირითადი მცველი - **დუეინ უეიდი, მარიო ჩელმერსი** და **რეი ალენი** არ თამაშობდნენ მცირე ტრავმების გამო. თუმცა ამ ტრიოს არყოფნაში შესანიშნავად ითამაშეს რეზერვისტებმა - **ტონი დაგლასმა, ნორის კოულმა** და **ჯეიმს ჯონსონმა**. გარდა ამისა, ბრწყინვალე იყო იმ დღეს **ლებრონ ჯეიმსი**.

„მეფეს“ სამი მეოთხედი ეყო იმისთვის, რომ სეზონში პირველი და კარიერაში 37-ე სამმაგი-დუბლი შეესრულებინა. სწორედ პირველი სამი მეოთხედის შემდეგ, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. პირველი ტაიმი „ჰიტის“ 11:0 გაქცევით დასრულდა, რითაც „მაიამის“ უპირატესობა 15 ქულამდე გაიზარდა, მესამე მეოთხედი კი ლებრონმა და კომპანიამ 35:18 მოიგო. ამის შემდეგ, „პისტონზის“ მხრიდან წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, როგორ თამაშობდნენ „პისტონზის“ ლიდერები: **ბრენდონ ჯენინგსმა** და **ჯოშ სმიტმა** 22-დან 16 სროლა ააცილეს.

| 28 მარტი | |
|---|---|
| ორლანდო-შარლოტი | 110:105 (ო) |
| ტორონტო-ბოსტონი | 105:103 |
| ვაშინგტონი-ინდიანა | 91:78 |
| ბრუკლინი-კლივლენდი | 108:97 |
| დეტროიტი-მაიამი | 78:110 |
| ჩიკაგო-პორტლენდი | 74:91 |
| მინესოტა-ლეიკერსი | 143:107 |
| ნ. ორლეანი-იუტა | 102:95 |
| ოკლაჰომა-საკრამენტო | 94:81 |
| დენვერი-სან ანტონიო | 102:133 |
| ფინიქსი-ნიუ იორკი | 112:88 |
| გ. სტეიტი-მემფისი | 100:93 |

# სიქსერზი 26 წაგებაზე გაჩერდა

გასული უქმეების ანტიგმირის სტატუსი მოიპოვა „დეტროიტ პისტონზმა“, რომელმაც ორი მატჩი 57-ქულიანი სხვაობით წააგო. თუ შაბათს, მოქმედ ჩემპიონ „მაიამისთან“ მარცხში გასაკვირი არაფერი ყოფილა, კვირას, სწორედ „დეტროიტის“ წყალობით არ მოხვდა „ფილადელფია“ NBA-ის რეკორდების წიგნში. ამ გუნდმა „პისტონზის“ დამარცხებით შეწყვიტა 26-მატჩიანი წაგებათა სერია.

ასე რომ, „სიქსერზმა“ მხოლოდ გაიმეორა „კლივლენდის“ (2010-11) ანტირეკორდი, თუმცა ვინ იცის, რომ არა „დეტროიტის“ ლიდერის **ბრენდონ ჯენინგსის** გაძევება პირველ მეოთხედში, ყველაფერი შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო.

„ფილადელფიამ“ იგრძნო, რომ „დეტროიტს“ უჭირდა და უკვე პირველ ტაიმში 70 ქულა დააგროვა. მასპინძლები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ და დიდი შესვენების შემდეგ, „სიქსერზის“ უპირატესობა 32 ქულას აღწევდა. „დეტროიტზე“ გამარჯვება პირველი იყო 30 იანვრის შემდეგ.

■ ■ ■

ვერავინ ახერხებს „სან ანტონიოს“ შეჩერებას. მიუხედავად იმისა, რომ „ნიუ ორლეანი“ ბოლო პერიოდში კარგად თამაშობს და ხანგრძლივობით მოგებათა მესამე სერია ჰქონდა, ვერც მან გაუწია წინააღმდეგობა რეგულარულის ლიდერს, თუმცა ვერც გააკეთებდა ამას, რადგან ლიდერი **ენტონი დევისი** ჰყავდა ტრავმირებული. ახალგაზრდა ფორვარდის არყოფნაში, „სან ანტონიომ“ თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა და უკვე პირველ მეოთხედში 13 ქულით დაწინაურდა. საფინალო სირენამ დააფიქსირა კანონზომიერი შედეგი: „სპურსმა“ ზედიზედ მე-17 გამარჯვება იზეიმა და გაიმეორა საკლუბო რეკორდი, რომელიც 1995-96 წლების სეზონში იყო დამყარებული. თუ **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდები რეგულარულის ბოლომდე დარჩენილ ცხრა მატჩს მოიგებენ, ეს იქნება ლიგის ისტორიაში მესამე შედეგი.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს კლიპერსი“ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ზედიზედ სამჯერ პლეი ოფში. კალიფორნიელები შესუსტებულ „ჰიუსტონს“ (აკლდათ **დუაიტ ჰოვარდი** და **პატრიკ ბევარლი**) ხვდებოდნენ და პირველ ტაიმში თავადაც დაკარგეს წამყვანი მოთამაშე - ზურგის არეში ტკივილების გამო მოედანი დატოვა **ბლეიკ გრიფინმა**, რომელიც გასახდელიდან აღარ დაბრუნებულა.

ამ დანაკლისისა და პირველ ნახევარში 15-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, კალიფორნიელებმა ხელები არ ჩამოუშვეს. ამის უფლება მათ გუნდის ლიდერმა **კრის პოლმა** არ მისცა, რომელმაც 30 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა. მას კარგად აუბა მხარი **ჯამალ კროუფორდმა**. მისი სტატისტიკა 22 ქულას შეადგენდა.

„ჰიუსტონს“ ვერ უშველა **ჯეიმს ჰარდენისა** და **ჩენდლერ პარსონსის** ჯამურმა 60-მა ქულამ. „რაკეტები“ მთელი მეორე ტაიმი ახლოს იყვნენ მეტოქესთან, მაგრამ **მეტ ბარნსისა** და **დარენ კოლისონის** ზედიზედ ორი ზუსტი სამქულიანით, საფინალო სირენამდე 2.30 წამით ადრე „კლიპერსის“ უპირატესობა 13 ქულამდე ავიდა და გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. საინტერესოა, რომ „კლიპერსმა“ ამ სეზონში ოთხიდან ოთხი მატჩი მოუგო „ჰიუსტონს“.

| 29 მარტი | |
|---|---|
| მილუოკი-მაიამი | 67:88 |
| ფილადელფია-დეტროიტი | 123:98 |
| ჰიუსტონი-კლიპერსი | 107:118 |
| ვაშინგტონი-ატლანტა | 101:97 |
| დალასი-საკრამენტო | 103:100 |
| სან ანტონიო-ნ. ორლეანი | 96:80 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფილადელფიამ გაიხარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფიგურული ციგურაობა**

# გაყრა ხუთი ოქროს შემდეგ

იაპონიის ქალაქ საიტამაში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, რომლის მთავარი მოვლენა იყო გერმანულ წყვილის - **ალიონა სავჩენკოსა და რობინ შოლკოვის** გამარჯვება. ეს დუეტი კარიერაში მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. გერმანელთა საბოლოო შედეგი 224.88 ქულა იყო. ადრე სავჩენკო და შოლკოვი 2008, 2009, 2011 და 2012 წელს იყვნენ ჩემპიონები. გარდა ამისა, ისინი ევროპის ოთხგზის ჩემპიონები არიან, აგრეთვე, ბრინჯაოს მედლები მოიგეს 2010 და 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

რუსები - **ქსენია სტოლბოვა** და **ფიოდორ კლიმოვი** ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ, ბრინჯაო კი კანადურმა დუეტმა მოიგო **მეგან დუჰამელისა** და **ერიკ რედფორდის** შემადგენლობით. იაპონიაში არ გამოდიოდნენ სოჭის ოლიმპიადის გამარჯვებულები - **ტატიანა ვოლოსაჟარი** და **მაქსიმ ტრანკოვი** (რუსეთი).

საინტერესოა, რომ ამ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, შოლკოვი დიდი სპორტიდან მიდის, სავჩენკოს კი კარიერის გაგრძელება აქვს განზრახული და უკვე იპოვა ახალი მეწყვილე - ფრანგი **ბრუნო მასო**. სავჩენკო აცხადებს, რომ მისი მიზანი 2018 წელს, ოლიმპიური თამაშების მოგებაა. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ სავჩენკო და მასო.

■ ■ ■

სპორტულ ცეკვებში პირველობა არავის დაუთმეს იტალიელებმა - **ანა კაპელინიმ** და **ლუკა ლანოტემ**. ორი პროგრამის ჯამში მათ 175.43 ქულა დააგროვეს და სულ მცირედით - 0.02 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ კანადელებს - **კეიტლინ უივერსა და ენდრიუ პოჟეს**. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ნატალის პეშალასა** და **ფაბიან ბურზას** ფრანგულმა წყვილმა.

ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, სოჭის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატება გაიმეორა 19 წლის იაპონელმა **იუძურ ჰანიუმ**. მამაკაცთა ასპარეზობაში მან 282.59 ქულა დააგროვა და კარიერაში პირველად მოიგო პლანეტის პირველობა. მეორე ადგილი დაიკავა კიდევ ერთმა იაპონელმა **ტაცუკი მაჩიდამ**, მესამეზე გავიდა ესპანელი **ხავიერ ფერნანდესი**.

იაპონიამ ამ ჩემპიონატზე მეორე ოქროც მოიგო - ქალების ასპარეზობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა **მაო ასადამ**, რომელმაც 9 ქულით გაუსწრო რუს **იულია ლიპნიცკაიას**. ბრინაჯაოს მედალი ერგო იტალიელ **კაროლინა კოსტნერს**.



ქალების პოდიუმი

**ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი**

# დომინატორის აღიარება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მომავალ სეზონში „ბაფალო სეიბრზი" ხმარებიდან ამოიღებს 39-ე ნომერს, რომლითაც ამ კლუბში ლეგენდარული ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** გამოდიოდა. ის გახდება „სეიბრზის" მეშვიდე მოთამაშე, ვისი მაისურაც კლუბის საშინაო არენის თაღზე დაიკიდება.

*„ძალიან სასიამოვნოა ბაფალოს მხრიდან ამგვარი ჟესტი. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. არასოდეს დამავიწყდება ის ცხრა წელი, რომელიც ამ კლუბში გავატარე"*, - განაცხადა ჰაშეკმა.

„დომინატორი" „ბაფალოში" 1992-2001 წლებში გამოდიოდა და ამ პერიოდში ექვსჯერ დაიმსახურა სეზონის საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი - „ვეზინა ტროფი", გარდა ამისა, ორჯერ გახდა რეგულარულის MVP („ჰარტ ტროფი"). 1999 წელს, ჰაშეკი თავის კლუბს სტენლის თასის ფინალში გასვლაში დაეხმარა, სადაც ეს გუნდი „დალას სტარზმა" გააჩერა. ერთი წლით ადრე, ჰაშეკმა ჩეხეთის ნაკრებთან ერთად მოიგო ნაგანოს ოლიმპიური თამაშები.

„ბაფალოდან" წასვლის შემდეგ, ჩეხი მეკარე თამაშობდა „დეტროიტ რედ უინგზში", რომლის რიგებში ორჯერ მოიგო სტენლის თასი (2002, 2008), „ჩიკაგო ბლეკჰოქსსა" და „ოტავა სენატორზში". მას კარიერაში 389 მატჩი აქვს მოგებული, რაც მე-11 შედეგია NHL-ის ისტორიაში. გარდა ამისა, ჰაშეკის ანგარიშზეა 81 „მშრალი" მატჩი და ამ მაჩვენებლით მეექვსე ადგილზეა სიაში.

| 28 მარტი | |
|---|---|
| ფილადელფია-ტორონტო | 4:2 |
| კოლამბუსი-პიტსბურგი | 1:2 |
| ოტავა-ჩიკაგო | 5:3 |
| დალასი-ნეშვილი | 7:3 |
| კალგარი-რეინჯერსი | 4:3 |
| ედმონტონი-ანაჰაიმი | 4:3 (ო) |
| **29 მარტი** | |
| ვაშინგტონი-ბოსტონი | 2:4 |
| კოლორადო-სან ხოსე | 3:2 |
| ბაფალო-ტამპა ბეი | 3:4 (ო) |
| ტორონტო-დეტროიტი | 2:4 |
| ფლორიდა-მონრეალი | 1:4 |
| აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2:1 (ბ) |
| კაროლინა-კოლამბუსი | 2:3 (ო) |
| სტ ლუისი-დალასი | 2:4 |
| ფინიქსი-მინესოტა | 1:3 |
| ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1:5 |
| ლოს ანჯელესი-ვინიპეგი | 4:2 |



დომინიკ ჰაშეკი

**ჭადრაკი**

# ანანდი პრეტენდენტია

ინდოელი დიდოსტატი **ვიშვანათან ანანდი** პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული გახდა. აზიელი მოჭადრაკე ერთი ტურით ადრე მიუღწეველი გახდა კონკურენტებისთვის. შაბათს, ანანდმა ყაიმით ითამაშა რუსი **სერგეი კარიაკინის** წინააღმდეგ, დააგროვა 8 ქულა და 1.5 ქულით გაასწრო უახლოეს მდევარს, სომეხ **ლევონ არონიანს**.

ვიშვანათან ანანდმა ტურნირის მოგებით მოქმედ ჩემპიონთან, ნორვეგიელ **მაგნუს კარლსენთან** შეხვედრის უფლება მიიღო. სწორედ სკანდინაველთან დაკარგა შარშან ტიტული ინდოელმა მოჭადრაკემ.

**XIII ტური.** ანანდი (ინდოეთი)-კარიაკინი (რუსეთი) 0,5:0,5; კრამნიკი (რუსეთი)-ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0; სვიდლერი (რუსეთი)-მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5; ანდრეიკინი (რუსეთი)-არონიანი (სომხეთი) 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ანანდი - 8; 2-6. კარიაკინი, არონიანი, მამედიაროვი, ანდერიკინი, კრამნიკი - 6,5; 7. სვიდლერი - 6; 8. ტოპალოვი - 5,5.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **არგენტინა** | |
| ოლ ბოისი-გოდოი | 0:0 |
| ესტუდიანტესი-ოლიმპო | 0:0 |
| ბელგრანო-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| ველესი-ხიმნასია | 5:1 |
| ნიუელსი-კილმესი | 1:1 |
| ატ. რაფაელა-რასინგი | 2:2 |
| ლანუსი-როსარიო | 2:1 |
| არსენალი-კოლონი | 1:0 |
| **ბოლივია** | |
| სან ხოსე-ბლუმინგი | 3:1 |
| ხორხე ვილსტერმ.-სპორტ ბოისი | 1:0 |
| უნივერსიტარიო-აურორა | 1:0 |
| ნას. პოტოსი-ბოლივარი | 1:1 |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| პალმეირასი-ბრანატინო | 2:0 |
| სანტოსი-პენაპოლენსე | 3:2 |
| **ჩილე** | |
| უნ. დე ჩილე-ლა კალერა | 0:1 |
| პალესტინო-რეინჯერსი | 0:0 |
| კობრელოა-უნ. კატოლიკა | 2:1 |
| ს. უონდერერსი-უნ. ესპანიოლა | 4:0 |
| ატ. ნუბლენსე-დეპ. იკიკე | 3:0 |
| უაჩიპატო-ანტოფაგასტა | 4:1 |
| ო'ჰიგინსი-კობრესალი | 3:2 |
| **კოლუმბია** | |
| დეპ. პასტო-ონსე კალდასი | 3:2 |
| ატ. პეტროლელა-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| მილიონარიოსი-პატრიოტასი | 4:0 |
| ჩიკო-ატ. უილა | 1:0 |
| ატ. ნასიონალი-სანტა ფე | 2:2 |
| ენვიგადო-იტაგუი | 1:0 |
| **ეკვადორი** | |
| ლიგა დე ლოხა-მანტა | 1:0 |
| დეპ. კიტო-დეპ. კუენკა | 3:1 |
| ელ ნასიონალი-ემელეკი | 2:0 |
| ლდუ კიტო-ოლმედო | 2:2 |
| მუშუკ რუნა-ინდეპენდიენტე | 0:1 |
| **პარაგვაი** | |
| ხენერალ დიასი-რუბიო ნუ | 1:1 |
| ოლიმპია-12 დე ოქტუბრე | 1:1 |
| ლიბერტადი-3 დე ფებრერო | 4:1 |
| ლუკენო-დეპ. კაპიატა | 1:1 |
| **ურუგვაი** | |
| დეფენსორი-რასინგი | 2:1 |
| ლივერპული-ნასიონალი | 1:0 |
| მონტევიდეო-დანუბიო | 3:2 |
| სუდ ამერიკა-ელ ტანკე | 0:0 |
| სერო-სერო ლარგო | 2:1 |
| ხუვენტუდი-ფენიქსი | *შეწყდა* |
| მირამარი-პენიაროლი | *გადაიდო* |
| რენტისტასი-რივერ პლეიტი | *შეწყდა* |
| **ვენესუელა** | |
| არაგუა-ატ. ვენესუელა | 0:0 |
| კარაბობო-დეპ. პეტარე | 0:1 |
| ესტუდიანტესი-დეპ. ანსოატეგი | 1:1 |
| სულია-ტუკანესი | 1:2 |
| დეპ. ლა გუაირა-ელ ვიხია | 2:1 |
| ლანეროსი-იარაკუიანოსი | 3:1 |
| მინეროსი-სამორა | 4:2 |
| ტრუხილანოსი-ტაჩირა | 1:0 |
| **მექსიკა** | |
| კერეტარო-ტიხუანა | 2:1 |
| სანტოსი-პუმასი | 2:1 |
| კრუს ასული-ატლასი | 1:3 |
| ვერაკრუსი-პაჩუკა | 3:1 |
| მონტერეი-ატლანტე | 3:2 |
| ხაგუარესი-მორელია | 1:0 |
| ტოლუკა-ტიგრესი | 2:1 |
| პუებლა-ლეონი | 1:1 |
| **აშშ** | |
| დი სი იუნაიტედი-ჩიკაგო | 2:2 |
| ფილადელფია-მონრეალი | 1:1 |
| კოლორადო-კანზას სიტი | 2:3 |
| ვანკუვერი-ჰიუსტონი | 2:1 |
| დალასი-პორტლენდი | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-ტორონტო | 3:0 |
| სიეტლი-კოლამბუსი | 1:2 |
| სან ხოსე-ნიუ ინგლენდი | 1:2 |
| ნიუ იორკი-ჩივასი | 1:1 |
| **კოსტა რიკა** | |
| ბელენ სიგლო-დეპ. კარმელიტა | 2:1 |
| სანტოსი-ალახუელენსე | 0:2 |
| პუნტარენასი-დეპ. საპრისა | 1:1 |
| ურუგვაი-მუნისიპალი | 1:0 |
| ლიმონი-უნ. კოსტა რიკა | 1:1 |
| **გვატემალა** | |
| უნივერსიდადი-ალკონენსი | 1:3 |
| სუჩიტეპეკესი-მუნისიპალი | 1:0 |
| კომუნიკასიონესი-კოატეპეკე | 6:0 |
| ისტაპა-დეპ. მარკენსე | 2:1 |
| დეპ. ერედია-დეპ. მალაკატეკო | 5:0 |
| **ჰონდურასი** | |
| რეალ ესპანა-მოტაგა | 2:0 |
| რეალ სოსიედადი-პარილიასი | 2:0 |
| დეპ. სავიო-ვიდა | 0:2 |
| **ჩინეთი** | |
| შანდონგი-ლიაონინგი | 1:0 |
| ჟიანგსუ-გუანგჟოუ | 0:2 |
| შან. ისტ აზია-ბეიჯინგი | 1:0 |
| გუიჟოუ-შან. შენსინი | 0:1 |
| დალიანი-ჩანგჩუნი | 2:1 |
| შან. შენჰუა-ჰენანი | 0:0 |
| გუანგჟოუ RF-ჰანგჟოუ | 6:2 |
| ტიანჯინი-ჰარბინი | 3:0 |
| **იაპონია** | |
| კავასაკი-ნაგოია | 1:0 |
| სერეზო-ნიიგატა | 0:0 |
| ჰიროშიმა-ტოკუშიმა | 3:1 |
| ვეგალტა-კოფუ | 1:1 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 1:3 |
| კაშივა-ომიია | 2:2 |
| შიმიცუ-ტოკიო | 1:3 |
| კობე-ურავა | 3:1 |
| საგან ტოსუ-გამბა ოსაკა | 2:0 |
| **კორეა** | |
| პოჰანგი-სანგჯუ | 4:2 |
| ულსანი-სეული | 2:1 |
| ჟეონბუკი-სეონგნამი | 1:0 |
| ინჩეონი-ჩუნამი | 0:0 |
| ჯეჯუ-გიეონგნამი | 1:1 |
| სუვონი-ბუსანი | 1:0 |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალ კოუსტი-ვ. სიდნეი | 2:1 |
| მელბურნ ვ-სიდნეი | 1:1 |
| ველინგტონი-ადელაიდა | 0:1 |
| პერტი-ნიუკასლი | 2:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| პლატინუმი-მარიტცბურგი | 2:1 |
| ორლანდო-მოროკა | 1:0 |
| ლამონტვილი-სუპერ სპორტი | 0:1 |
| პოლოკვანე-ფრი სტეიტი | 1:1 |
| ბლუმფონტეინი-ამაზულუ | 0:0 |
| მამელოდი-უნივერსიტი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| კლივლენდი-ინდიანა | 90:76 |
| ოკლაჰომა-იუტა | 116:96 |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| ციბონა-ცრ. ზვეზდა | 67:76 |
| ზადარი-ოლიმპია | 77:75 |
| იგოკეა-შიროკი | 69:60 |
| **საბერძნეთი** | |
| ტრიკალასი-ოლიმპიაკოსი | 70:84 |
| აენეა-რეტიმნო | 84:76 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-ბილბაო | 104:75 |
| ხუვენტუდი-კანარიასი | 76:63 |
| რეალი-გრან კანარია | 83:74 |
| უნიკახა-კახა ლაბორალი | 83:64 |
| ესტუდიანტესი-ფუენლაბრადა | 86:66 |
| **იტალია** | |
| აველინო-ვენეცია | 82:78 |
| კრემონა-რეჯო ემილია | 96:94 |
| ბოლონია-კაზერტა | 74:66 |
| პისტოია-ბრინდიზი | 65:75 |
| სასარი-მონტეგრანარო | 98:75 |
| რომა-მონტეპასკი | 89:93 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| კიოლდინგი-მეტალურგი | 26:30 |
| პარიზი-გორენიე | 34:25 |
| კილი-მოტორი | 70:28 |
| ჰამბურგი-ვარდარი | 29:30 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| ფილადელფია-ბოსტონი | 3:4 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ფილახი-ბოლცანო | 3:5 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 5:1 |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ნიტრა | 6:4 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ნადალი-ჯოკოვიჩი | 3:6, 3:6 |

ფორმულა 1. ავსტრალიის გრანპრი

# მერსედესის 60 წელი

**გასულ უქმეებზე შედგა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი - მალაიზიის გრანპრი, რომელზეც „მერსედესმა“ 60-წლიანი პაუზის შემდეგ პირველი დუბლი შეასრულა...**



ჰემილტონის მერსედესი შეუჩერებელი იყო

## კვალიფიკაცია

მალაიზიის კვალიფიკაციამ წვიმის თანხლებით ჩაიარა. ზედიზედ მეორე პოული მოიპოვა **ლუის ჰემილტონმა**, ხოლო მის გვერდზე პირველ რიგში ადგილი **სებასტიან ფეტელმა** დაიკავა. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ, სეზონის პირველ რბოლაში ეს პილოტები ფინიშამდე ვერ მივიდნენ და ამიტომაც, რევანშისთვის იყვნენ განწყობილნი. მეორე ხაზიდან იწყებდნენ რბოლას **ნიკო როსბერგი** და **ფერნანდო ალონსო**, მესამედან - **დანიელ რიკარდო** და **კიმი რაიკონენი**.

კვალიფიკაციის შემდეგ **ვალტერი ბოტასი** სამი პოზიციით დააჯარიმეს რიკარდოს ბლოკირებისთვის.

კომპანია „პირელიმ“ მალაიზიაში ორი ყველაზე ხისტი შემადგენლობის საბურავი ჩაიტანა - „ჰარდი“ და „მედიუმი“. პარასკევის თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ, პილოტები საბურავების ცვეთის მაღალ დონეს უჩიოდნენ, ამიტომაც, ვარაუდობდნენ, რომ კვირას, ავტომრბოლელებს სამ-სამი პიტსტოპის შესრულება მოუწევდათ.

## რბოლა

სტარტზე ნიკო როსბერგს უკეთესი აჩქარება ჰქონდა, ვიდრე სებასტიან ფეტელს და „მერსედესის“ პილოტმა პირველ მოსახვევში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. კიმი რაიკონენმა **კევინ მაგნუსენთან** კონტაქტში უკანა საბურავი დააზიანა და მაშინვე ბოქსებში გამგზავრებამ მოუწია. საბოლოოდ, ფინელმა ქულათა ზონაში შეღწევა ვერ შეძლო.

მესამე წრისთვის ჰემილტონისა და როსბერგის უპირატესობა ოთხ წამამდე გაიზარდა, ამასობაში, ფეტელმა გაუსწრო დანიელ რიკარდოს და მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამ ოთხეულს მისდევდნენ ფერნანდო ალონსო, **ნიკო ჰიულკენბერგი** და ოდნავ უკან - „მაკლარენები“ და „უილიამსები“.

„უილიამსის“ პილოტებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. **ფელიპე მასამ** შესჩივლა გუნდს ვალტერი ბოტასის მხრიდან ზედმეტი აგრესიულობის გამო, ფინელმა კი მიანიშნა, რომ თანაგუნდელზე სწრაფად მოძრაობდა.

პიტსტოპების პირველი სერია კევინ მაგნუსენმა გახსნა, ორი წრის შემდეგ ბოქსებს მიაკითხა ალონსომ, კიდევ ერთი წრის შემდეგ რიკარდომ. ტრასაზე გამოვლისას, „რედ ბული“ კინაღამ შეეჯახა „ფერარის“. ესპანელს ჰქონდა ავსტრალიელის გასწრების შანსი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მე-13 წრეზე გამოცვალა საბურავები სებასტიან ფეტელმა. ტრასაზე დაბრუნების შემდეგ, გერმანელი რიკარდოსა და ალონსოს წყვილის წინ აღმოჩნდა.

ჰემილტონი როსბერგს რვანახევარი წამით დაშორდა, კიდევ ორი წამით უკან იყო „რედ ბულის“ წყვილი და მათ უკან მყოფი ალონსო, თუმცა დაძაბული ბრძოლა არ შეინიშნებოდა.

ლუის ჰემილტონი მთელი დისტანციაზე დამაჯერებლად აკონტროლებდა საკუთარ უპირატეობას და ფინიშამდე 20 წრით ადრე, მთელს პელოტონს 12 წამს უგებდა. ნიკო როსბერგს სერიოზული პრესინგი შესთავაზა სებასტიან ფეტელმა, რომელსაც ამაში ნაადრევი პიტსტოპი დაეხმარა. თუმცა გასწრება არც აქ შედგა. რიკარდო და ალონსო პირველ სამეულს ათნახევარი წამით ჩამორჩნენ, მათ უკან მოძრაობდა ჰიულკენბერგი, მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლა ჰქონდათ **ჯენსონ ბატონსა** და მასას, რომლებიც ახალგაზრდა თანაგუნდელებს - ბოტასსა და მაგნუსენს უსწრებდნენ.

მოკლედ, ტრასაზე საინტერესო ბევრი არაფერი ხდებოდა. იქამდე, სანამ მესამე პიტსტოპზე არ შევიდა დანიელ რიკარდო. ავსტრალიელს თითქოს მარტივად შეუცვალეს საბურავები, მაგრამ „რედ ბულის“ პილოტმა პიტ-ლეინიდან გასვლა ვერ შეძლო და მექანიკოსებმა ბოლიდი უკან გაათრიეს. გაირკვა, რომ გაჩერების პრობლემა იყო ცუდად დამაგრებული წინა საბურავი. ამ პაუზით ავსტრალიელმა ერთი წრე წააგო კონკურენტებთან, თუმცა ამით მისი პრობლემები არ დასრულებულა. 43-ე წრეზე წინა ანტიფრთის სამაგრი გამოვიდა მწყობრიდან და ამ დეტალის შეცვლისთვის, სტიუარდებმა რიკარდო 10-წამიანი ჯარიმით დასაჯეს. ასე რომ, ზედიზედ მეორე რბოლაში ავსტრალიელი არა თავისი მიზეზით ქულების გარეშე დარჩა.

ამის შემდეგ, რბოლა უფრო საინტერესო გახდა. 52-ე წრეზე ალონსო დაეწია ჰიულკენბერგს. გერმანელი კარგად იცავდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც მოუწია ესპანელის გატარებამ, რადგან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა DRS-ის სისტემა აამუშავა.

ამასობაში, „უილიამსმა“ რადიოთი აცნობა ვალტერი ბოტასს, რომ ფელიპე მასაზე სწრაფად მოძრაობდა. ბრაზილიელმა თანაგუნდელისთვის გზის დათმობის ბრძანება მიიღო. სიტუაციას ისიც ამძაფრებდა, რომ მასა დიდი ხანი ბატონის უკან მოძრაობდა, მაგრამ ბრიტანელზე შეტევა მაინც ვერ მიიტანა. ბოტასმა თანაგუნდელს რამდენჯერმე შეუტია, მაგრამ მასამ პოზიცია არ დათმო. საბოლოოდ, გასწრება არ შედგა და „უილიამსები“ მშვიდობიანად მივიდნენ ფინიშამდე.

ლუის ჰემილტონს ეს ბრძოლები დიდად არ აღელვებდა. მან ძალიან დამაჯერებლად მოიგო მალაიზიის გრანპრი, ნიკო როსბერგი კი მეორე მივიდა ფინიშთან. ეს იყო „მერსედესის“ პირველი დუბლი 1950 წლის იტალიის გრანპრის შემდეგ, როცა **ხუან-მანუელ ფანხიომ** და **პიერო ტარუფიმ** „ფერარისა“ და „მაზერატის“ გაუსწრეს. პოდიუმის მესამე საფეხურზე სებასტიან ფეტელი ავიდა - უფრო მეტზე პრეტენზიის გამოცხადება მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს არ შეეძლო.

საერთო ჩათვლაში ნიკო როსბერგმა ლიდერობა გაიმყარა - ახლა ის უახლოეს მდევარს 18 ქულით უსწრებს. გუშინდელი მოგების შემდეგ, ჰემილტონი ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადავიდა, მესამეზე კი ფერნანდო ალონსოა. დუბლმა „მერსედესი“ კონსტრუქტორთა თასზე პირველ ადგილზე გადაიყვანა. მეორე პოზიციაზე მყოფ „მაკლარენს“ 43 ქულა აქვს, რაც შეეხება ბოლო ოთხი წლის ჩემპიონ „რედ ბულს“, ეს გუნდი უკვე 50 ქულაზე მეტით ჩამორჩა ლიდერს.

ჩემპიონატის მესამე ეტაპი - ბაჰრეინის გრანპრი უახლოეს უქმეებზე გაიმართება.

### მალაიზიის გრან-პრი. II ეტაპი

სეპანგი (56 წრე, 310.408 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | 1:40.25,974 (3 პიტსტოპი) |
| 2(3). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +17,313 (3) |
| 3(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +24,534 (3) |
| 4(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +35.992 (3) |
| 5(7). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია) | +47,199 (2) |
| 6(10). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.23,691 (3) |
| 7(13). ფელიპე მასა (უილიამსი, ბრაზილია) | +1.25,076 (3) |
| 8(18). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | +1.25,537 (3) |
| 9(8). კევინ მაგნუსენი (მაკლარენი, დანია) | 1 წრე (3) |
| 10(11). დანიილ კვიატი (ტორო როსო, რუსეთი) | 1 წრე (3) |
| 11(15). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 12(6). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | 1 წრე (3) |
| 13(20). კამუი კობაიაში (კატერჰემი, იაპონია) | 1 წრე (2) |
| 14(22). მარკუს ერიქსონი (კატერჰემი, შვედეთი) | 2 წრე (3) |
| 15(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 2 წრე (3) |
| 16(5). დანიელ რიკარდო (რედ ბული, ავსტრალია) | 6 წრე |
| 17(12). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 20 წრე |
| 18(17). ადრიან სუტილი (ზაუბერი, გერმანია) | 23 წრე |
| 19(9). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 37 წრე |
| 20(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 47 წრე |
| 21(16). პასტორ მალდონადო (ლოტუსი, ვენესუელა) | 48 წრე |
| 22(14). სერხიო პერესი (ფორს ინდია, მექსიკა) | 56 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. ნიკო როსბერგი - 43 (1 მოგება); 2. ლუის ჰემილტონი - 25 (1 მოგება); 3. ფერნანდო ალონსო - 24; 4. ჯენსონ ბატონი - 23; 5. კევინ მაგნუსენი - 20; 6. ნიკო ჰიულკენბერგი - 18; 7. სებასტიან ფეტელი - 15; 8. ვალტერი ბოტასი - 14; 9. კიმი რაიკონენი - 6; 9. ფელიპე მასა - 6; 11. ჟან-ერიკ ვერნი - 4; 12. დანიილ კვიატი - 3; 13. სერხიო პერესი - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. მერსედესი - 68; 2. მაკლარენი - 43; 3. ფერარი - 30; 4. უილიამსი - 20; 5. ფორს ინდია - 19; 6. რედ ბული - 15; 7. ტორო როსო - 6.



მიხაელი და კორინა

## შუმი სახლში მიჰყავთ?

მსოფლიოსშვიდგზის ჩემპიონის - **მიხაელ შუმახერის** მეუღლე **კორინა** გრენობლის კლინიკიდან საკუთარ სახლში აპირებს პილოტის გადაყვანას.

კორინა ამზადებს 17 მილიონი დოლარის ღირებულების სპეციალურ ოთახს, რაც საშუალებას მისცემს შუმახერს შინ, ჟენევის ტბის სანაპიროზე გააგრძელოს მკურნალობა. შეგახსენებთ, რომ მიხაელი სამ თვეზე მეტია კომაში იმყოფება სამთო-სათხილამურო ტრასაზე დაცემის შემდეგ.

ბრიტანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, კორინამ მეუღლის შინ გადაყვანა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ექიმებმა უთხრეს, რომ პილოტი, შესაძლოა, გონს ველარ მოვიდეს.

*„ვერანაირი თანხით ვერ გამოასწორებ იმას, რაც მიხაელს დაემართა. ოჯახი ემზადება მისი მუდმივი უმოძრაობისთვის“*, - მოჰყავს Motorsport-ს შუმახერის ძველი მეგობრის სიტყვები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608